

კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო რევოლუციური პლატფორმა

(მსოფლიო საპროგრამო განცხადება)

2009 წლის 7 ნოემბერი



ორიგინალური გერმანული ვერსია — www.comintern.sh
ქართული თარგმანი კობა კახიძისა — www.joseph-stalin.net

კომინტერნის (ს-ხ) წინასიტყვაობა „კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო საპროგრამო განცხადების“ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით

კომინტერნი (სტალინურ-ხოჯაისტური) დიდ მადლობას უხდის ქართველ ამხანაგებს მათ მიერ ჩვენი „პლატფორმის“ თარგმნის გამო.

2009 წელს „პლატფორმა“ თავდაპირველად გერმანულ ენაზე დაიწერა და ავტორის მიერვე ინგლისურ ენაზე ითარგმნა. შემდგომში გამოქვეყნდა თარგმანები რუსულ და პორტუგალიურ ენებზე, რომლებიც რუსეთსა და პორტუგალიაში მცხოვრებმა და მებრძოლმა ამხანაგებმა შეასრულეს.

ახლა კი, ორი წლის შემდეგ, ჩვენ ერთუზიანობით ვესალმებით მის ქართულ ენაზე თარგმნას იმ ამხანაგების მიერ, რომლებიც ჩვენი საყვარელი ამხანაგის — იოსებ სტალინის - სამშობლოში ცხოვრობენ და იბრძვიან.

„პლატფორმის“ თარგმნის ყველა ეს მცდელობა ადასტურებს, რომ:

ყველა კონტინენტზე მცხოვრებ ამხანაგებს, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის 5 კლასიკოსის მოძღვრებებით ხელმძღვანელობენ, კარგად ესმით, რომ საჭიროა სასწრაფო გაერთიანება გლობალურ მასშტაბში, რათა მოახდინონ პროპაგანდის ცენტრალიზება, პროლეტარიატისა და მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მომზადება და განხორციელება..

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი შემდეგი თარგმანი გზას გაუკვლავს სტალინურ-ხოჯაისტურ მოძრაობას გამარჯვების მომტანი მსოფლიო ისტორიული ეპოქისკენ. და განსაკუთრებით ეს ქართული თარგმანი შეგვმატებს ძალას წინსვლისათვის.

რა კონკრეტულ წინადადებებს თავაზობს „პლატფორმა“ საქართველოს?

კომინტერნის (ს-ხ) „პლატფორმა“ შეიქმნა სტალინიზმ-ხოჯაიზმის ანუ პროგრესული მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე — მარქსიზმ-ლენინიზმის 5 კლასიკოსის მოძღვრებათა საფუძველზე.

სტალინიზმი შექმნა ქართველი ხალხის დიადმა შვილმა — იოსებ სტალინმა.

ხოჯაიზმი შექმნა ალბანელი ხალხის დიადმა შვილმა — ენვერ ხოჯამ.

ორივე ქვეყანა მარქსიზმ-ლენინიზმის 5 კლასიკოსიდან ერთ-ერთის სამშობლოა.

საქართველო იყო იოსებ სტალინის ხელმძღვანელობით აყვავებული სოციალისტური ქვეყანა.

ალბანეთი იყო ენვერ ხოჯას ხელმძღვანელობით აყვავებული სოციალისტური ქვეყანა.

ორივე ქვეყანა იმ მსოფლიო სოციალისტური ბანაკის წევრები იყვნენ, რომელსაც ამხანაგ ლენინისა და სტალინის საბჭოთა კავშირი ხელმძღვანელობდა.

ორივე ქვეყანა მხარდამხარ იბრძოდა საერთო, ინტერნაციონალური მიზნისთვის:

მსოფლიო რევოლუცია — მსოფლიო კომუნიზმი.

ორივე ერმა თავი გაითავისუფლა ექსპლუატაციისა და ჩაგვრისაგან მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის, ბოლშევიკური პარტიების დროშისა და კომინტერნის დახმარებით.

ორივე მათგანი პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანა გახდა.

საქართველო გახდა სოციალისტური — დიადი რუსული პროლეტარიატის დახმარებით.

ალბანეთი გახდა სოციალისტური — საბჭოთა კავშირის დიად ხალხთა დახმარებით.

კომინტერნის (ს-ხ) „პლატფორმის“ ყველაზე უფრო ფართო გაგებით სტალინიზმ-ხოჯაიზმი (განსაკუთრებით, საქართველოსა და ალბანეთის ეროვნულ ფარგლებში) შეგვიძლია განვმარტოთ როგორც:

პროლეტარული სოციალისტური რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის განახლების თეორია და ტაქტიკა უწინდელ სოციალისტურ ქვეყნებში — საქართველოსა და ალბანეთში.

თუმცა სტალინიზმ-ხოჯაიზმი არ შემოიფარგლება ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ ენვერ ხოჯას სამშობლოებით.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი მთელი მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური პროლეტარული იდეოლოგიაა.

ამის გამო გლობალურ მასშტაბში „პლატფორმა“ სტალინიზმ-ხოჯაიზმს განმარტავს როგორც:

„მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის თეორიასა და ტაქტიკას ზოგადად, და პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის თეორიასა და ტაქტიკას კერძოდ“.

„პლატფორმა“ აცხადებს:

„სტალინურ-ხოჯაისტური თეორიის გარეშე არ არსებობს სტალინურ-ხოჯაისტური პარტია, სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის გარეშე არ არსებობს მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა“.

საქართველოს პირობებზე მორგებული სტალინურ-ხოჯაისტური თეორიის გარეშე შეუძლებელია საქართველოს სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის არსებობა.

საქართველოს პირობებზე მორგებული სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის გარეშე არ არსებობს საქართველოს სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა.

ესაა ის საკვანძო მომენტები — ჩვენი „პლატფორმის“ იდეები, რომლებიც საქართველოს შეეხება.

გაუმარჯოს საქართველოს დიად პროლეტარიატს
და საქართველოს სტალინისტ-ხოჯაისტ რევოლუციონერებს!

„პლატფორმის“ ქართული თარგმანისთვის დაწერილი წინასიტყვაობა დაუსრულებელი აღმოჩნდებოდა, თუ წინა პლანზე არ წამოვწევდით საქართველოს პროლეტარიატისა და საქართველოს კომუნისტების დიდ ისტორიულ წვლილს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციაში. საქართველო საბჭოთა კავშირის ნაწილი და, ამასთან ერთად, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ბერკეტი იყო, ზოგადად კი სტალინის სოციალისტურ მსოფლიო ბანაკში შედიოდა და სოციალიზმის გაფართოებასა და აღმოსავლეთის ერებამდე მიტანას ემსახურებოდა.

საქართველოში ამაყი, თავისუფლებისმოყვარე და რევოლუციური ხალხი ცხოვრობს. მათ მდიდარი რევოლუციური ტრადიციები გააჩნიათ უცხოელი იმპერიალისტების, სოციალ-იმპერიალისტებისა და სხვადასხვა ჯურის ნაციონალური რეაქციული და ფაშისტური ძალების წინააღმდეგ როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე მთელ კავკასიაში. ქართველ ხალხს უყვარს ამხანაგი სტალინი — საქართველოს, საბჭოთა ხალხის, მსოფლიო პროლეტარიატისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა დიადი და უკვდავი რევოლუციონერი შვილი და ხელმძღვანელი.

სწორედ სტალინმა მიიყვანა საქართველოსა და კავკასიის სხვა ხალხები იმ განმათავისუფლებელ ბრძოლამდე, რომლის მეშვეობითაც ისინი გაერთიანდნენ და ბრწყინვალედ გადაჭრეს კავკასიის ნაციონალური და სოციალური საკითხები, გააერთიანეს მთელი კავკასია ერთიან სოციალისტურ ფარად მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ და გმირულად დაიცვეს იგი დიდ სამამულო ომში. არავის შეუფასებია საქართველოსა და მთელი კავკასიის ისტორია ისე, როგორც ეს სტალინმა გააკეთა. **საქართველოს მომავალი პირდაპირ კავშირშია ამხანაგ სტალინის სახელის შენარჩუნებასთან ან განადგურებასთან.**

სტალინი თავის სტატიაში „შეინარჩუნეთ აღმოსავლეთი“ წერდა:

„იმპერიალისტები აღმოსავლეთის გარევოლუციონერებისთვის თითხაც არ გაანძრევენ, მათი გაუთავებელი ანექსიები კი იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩააბამენ ახალ ქვეყნებს და მსოფლიო რევოლუციის საფუძველს გააფართოებენ“.

კომუნისტების მოვალეობაა აღმოსავლეთის ჩაბმა მზარდ სპონტანურ მოძრაობაში და მისი შემდგომი ტრანსფორმირება იმპერიალიზმის წინააღმდეგ გააზრებულ ბრძოლად (სტალინი. ერების ცხოვრება, №3, 1918 წლის ნოემბერი).

კონტრრევოლუციის დამარცხების სტალინისეული ძირითადი ფორმულა ის იყო, რომ კავკასიის მუშები, გლეხობა და წითელი არმიის ჯარისკაცები ცენტრის მუშებთან, გლეხობასთან და ჯარისკაცებთან გააერთიანებინა პროლეტარული ხელისუფლების მოსაპოვებლად.

სტალინიზმის ძალა გამოვლინდა კლასის ერთიანობის შექმნაში ცენტრის რევოლუციურ ძალებსა და პერიფერიას შორის, სოციალური და ნაციონალური საკითხების გაერთიანებაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ბერკეტად. ამრიგად, სტალინის წყალობით იქცა საბჭოთა კავშირი მსოფლიოში უძლიერეს პოლიტიკურ ძალად, რომელიც ჩაგრულ ხალხთა მშრომელი მასების ხელისუფლებას ეფუძნებოდა, რომლებიც ნებისმიერი ჩაგვრის — როგორც ეროვნული, ასევე გარე იმპერიალისტური — ჩაგვრის წინააღმდეგ იბრძოდნენ. სტალინიზმი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით გამოვლინდა. სტალინიზმის საფუძველი ნაციონალურ საკითხში — ესაა საბჭოთა კავშირის მშენებლობა პროლეტარიატის დიქტატურის შესაბამისად. გამარჯვება კავკასიაში — ეს იყო სტალინიზმის გამარჯვება. საბჭოთა კავშირში ნაციონალური საკითხის გადაჭრა სტალინისთვის გადამწყვეტი პირობა იყო მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გასამარჯვებლად! სტალინის მოძღვრება მსოფლიო სოციალისტური ბანაკის შექმნის შესახებ, ნაციონალური მასშტაბის მქონე სოციალიზმის პერიოდიდან გლობალური მასშტაბის სოციალიზმზე გადასვლის შესახებ სტალინიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. სტალინიზმი ნაციონალურ საკითხში დღესდღეობით მსოფლიოში გლობალური კაპიტალიზმისგან გათავისუფლებაა, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისთვის ბრძოლა და ნებისმიერი ცალკე აღებული ქვეყნის კაპიტალიზმისგან გათავისუფლებაა.

სტალინის მოძღვრების შესწავლა გამარჯვების მიღწევის შესწავლაა! სტალინის მოძღვრების შესწავლა საქართველოს პროლეტარიატისთვის ნიშნავს: მისი დიქტატურის დაბრუნებას, რაც კავშირშია მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლასთან მთელი კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ; მიღწევის მეთოდი: საკუთარი თავის გარდაქმნა მსოფლიო პროლეტარიატის ქვედანაყოფად. **მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების გარანტიაა საქართველოში. საქართველოს პროლეტარიატს კავკასიის რეგიონში ავანგარდის როლი დაეკისრება, თუ იგი წარმატებით გააერთიანებს კავკასიის პროლეტარიატს მსოფლიო პროლეტარული არმიის ქვედანაყოფებად.**

ერთ დროს ჰიტლერელმა ფაშისტებმა ვერ მოახერხეს კავკასიის ოკუპაცია — და ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი კავკასიის ხალხთა ანტიფაშისტური ერთიანობა იყო კერძოდ, და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობა ზოგადად. სტალინი გვასწავლიდა, რომ კავკასიის დამარცხება შეუძლებელი იქნებოდა, თუკი მისი პროლეტარიატი გაერთიანდებოდა რუსეთის ძლიერ პროლეტარიატთან კერძოდ, და მთელი

მსოფლიოს პროლეტარიატთან ზოგადად. ამხანაგ სტალინის ეს ისტორიული გაკვეთილი კვლავ აქტუალურია საქართველოს პროლეტარიატის მიმდინარე და დამდეგ კლასობრივ ბრძოლებში გამარჯვებისათვის.

საქართველო კავკასიის გადანაწილებისთვის გამართული იმ მსოფლიო იმპერიალისტური ომის ხელახალ საბრძოლო ასპარეზად გადაიქცა, რომლის მეშვეობითაც დასავლეთი იმპერიალისტური აგრესიული წრეები, უწინდელი რუსული სოციალ-იმპერიალისტები და ამჟამინდელი რუსი ღია იმპერიალისტები კავკასიის სხვადასხვა ნაწილების საკუთარი გავლენის სფეროებში შენარჩუნებას ცდილობენ. კავკასია მთლიანობაში ჯერ კიდევ ფეთქებადსაშიშ იმპერიალისტურ დენტად რჩება. ჩვენ კი, სტალინის-ხოჯაისტებმა, თითქმის ზუსტად ვიცით, რომ ყოველივე ეს მთელ კავკასიაში რევოლუციურ სიტუაციას შექმნის. საქართველოს სტალინისტ-ხოჯაისტების ამოცანაც სწორედ ისაა, რომ საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ წინააღმდეგობები სხვადასხვა იმპერიალისტთა მიზნებს შორის სოციალისტური რევოლუციისკენ გზის გასაკაფავად. **იმპერიალისტურ ომებს საქართველოსა და მთელ კავკასიაში მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლაც შემოაქვს. მსოფლიო იმპერიალისტებთან ერთად კავკასიაში კლასობრივი ბრძოლის არენაზე მსოფლიო პროლეტარიატიც შემოდის.** კავკასიის პროლეტარიატთან ერთად მსოფლიო პროლეტარიატი კავკასიაში კონტრრევოლუციის ხასიათს (=კავკასიის ხალხთა შორის შუღლის გაღვივებას მთლიანობაში კავკასიის დასასუსტებლად, ასიმილაციის იმპერიალისტური მიზნების გაადვილების მიზნით) მსოფლიო რევოლუციის ინსტრუმენტად გარდაქმნის (რომელიც გააძლიერებს რევოლუციურ სოლიდარობას კავკასიელ ხალხთა შორის და მათ ინტეგრაციას გლობალურ ანტიიმპერიალისტურ ფრონტში მსოფლიო იმპერიალიზმის დასამარცხებლად). რას ნიშნავს ეს?

თუ მსოფლიო პროლეტარიატს კავკასიის პროლეტარიატის მხარდაჭერა ექნება, მას ყველა ქვეყნის გაერთიანების საშუალებას მიეცემა — კავკასიის ჩრდილოეთით და სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით. ასეთ შემთხვევაში კავკასია იმპერიალისტური მსოფლიო გარემოცვისგან დასაცავი ყოფილი ფარიდან (რამეთუ ასე მოხდა წარსულში) ღია და კაშკაშა ხიდად გადაიქცევა სოციალისტურ ევროპასა და სოციალისტურ აზიას შორის. **მოახლოებულ მსოფლიო სოციალიზმში კავკასია მსოფლიოს გადანაწილებისა და განხეთქილების ადგილიდან მსოფლიოს გაერთიანებისა და შერწყმის ადგილად გარდაიქმნება.** სოციალისტურ მსოფლიოში ბოლოს და ბოლოს კავკასიის ხალხთა ერთიანობა გარანტირებული იქნება. კავკასიის საზღვრები ევროპული და აზიური ქვეყნების გასაერთიანებლად გაიღება, რომლებიც ერთმანეთს კავკასიის ხალხთა მეშვეობით დაუკავშირდებიან. ამ გზით კავკასია მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკის მშენებლობას შეუწყობს ხელს — იმ რესპუბლიკისა, რომელიც მსოფლიოს ყველა რესპუბლიკას დაეფუძნება და რომელსაც მსოფლიოს ყველა რესპუბლიკა დაეფუძნება.

ლენინისა და სტალინის საბჭოთა კავშირი სანიმუშო როლს ასრულებს მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკისთვის და კომინტერნისა (ს-ხ) და მთელი მსოფლიო პროლეტარიატისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსა და კავკასიის ღია სოციალისტური ისტორია, ეს უკანასკნელი კი უშუალოდ საქართველოს პროლეტარიატმა აუცილებლად უნდა შეისწავლოს: ანუ უნდა შეისწავლოს საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები სტალინიზმ-ხოჯაიზმის მეშვეობით.

სტალინიზმ-ხოჯაიზმის გამოყენება საქართველოს პირობებში: **გლობალური ტიპის სოციალისტური ქვეყნის შექმნა** — ყოფილი საბჭოთა კავშირის სასაზღვრო ქვეყნიდან სოციალისტური გარდაქმნა დამოუკიდებელ, ემანსიპირებულ და **გაერთიანებული მსოფლიო სოციალისტური ქვეყნების** განუყოფელ ნაწილად, რომელიც დასავლეთისა და აღმოსავლეთის სოციალისტური ქვეყნებით იქნება გარემოცული — ანუ ახალ და წარმატებულ საქართველოდ უკაპიტალიზმო მსოფლიოში. ისევე როგორც მსოფლიო სოციალიზმი ეხმარება კავკასიის ხალხს ნაციონალური და სოციალური საკითხების გადაჭრაში, კავკასიის ხალხი პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის გლობალური პრობლემის გადაჭრას შეუწყობენ ხელს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

რატომაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მთელი მსოფლიო პროლეტარიატისთვის და საქართველოს პროლეტარიატისთვის, რომ სქემატურად დავნახოთ ეს მომავალი სოციალისტური პერსპექტივა ჩვენი „პლატფორმის“ წინამდებარე ქართულ წინასიტყვაობაში?

სოციალიზმის პირველ პერიოდში უწინდელი სოციალისტური ქვეყნები სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროებს შორის არსებულ ანტაგონისტურ სასაზღვრო რაიონებად გადაიქცნენ. საქართველო და საბჭოთა კავშირის სხვა სასაზღვრო ზონები მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ფორპოსტი იყო უწინარეს ყოვლისა იმ სახელმწიფოებზე ზემოქმედებისთვის, რომლებიც საბჭოთა კავშირს გარს ერტყმოდნენ. და ეს მართლაც სახიფათო მუქარა იყო მსოფლიო იმპერიალისტური ბანაკისთვის. ამრიგად, სტალინის მსოფლიო სოციალისტური ბანაკის ამ პერიფერიულ ზონებს თავს დაატყდა განსაკუთრებული რეპრესიები, დევნა და კაპიტალიზმის შემოჭრა. თავდაპირველად მსოფლიო იმპერიალიზმმა მსოფლიო სოციალისტური ბანაკის სასაზღვრო ზონები დაიპყრო, თავისი ცენტრის განთავსებას კი მოსკოვში აპირებს.

ეს შემდეგს ნიშნავდა: სასაზღვრო ზონებმა მიიღეს სოციალისტური განვითარების მეტად რთული პირობები, კონფლიქტები სოციალისტურ ცენტრსა და მოსაზღვრე კაპიტალისტურ გარემოცვას შორის. ამრიგად, კლასობრივი ბრძოლა საქართველოში ძალზე რთული იყო და ზეწოლის განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობდა. სოციალისტურ საქართველოში კლასობრივი წინააღმდეგობების უმაღლესი გამოვლინება იყო ბრძოლა სტალინიზმსა და ბერიანიზმს შორის (**ბერიანიზმი** = სტალინიზმი სიტყვით და მენშევიზმი საქმით).

ამხანაგ სტალინის ღალატისა და ლაჩრულად მოკვლის შემდეგ საქართველოს ურთულესი პერიოდი დაუდგა ხელისუფლების სათავეში მყოფ თანამედროვე რევოლუციონისტებთან ბრძოლაში, მაგრამ ქართველი ხალხი გმირულად იცავდა ამხანაგ სტალინს და ქუჩის დემონსტრაციებისას საკუთარი სისხლის დაღვრასაც არ უშინდებოდა. ამხანაგ სტალინის სიკვდილის შემდეგ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ორმაგ ექსპლუატაციასა და ჩაგვრაზე — ჩაგვრასა და ექსპლუატაციაზე რუსული სოციალ-იმპერიალიზმის მხრიდან კერძოდ და ჩაგვრაზე მსოფლიო იმპერიალიზმის მხრიდან ზოგადად — რომ აღარაფერი ვთქვათ ჩაგვრასა და ექსპლუატაციაზე ნაციონალური ბურჟუაზიის მხრიდან, რომელიც მათთან თანამშრომლობდა. ამით ხასიათდება კლასობრივი ბრძოლა საქართველოში და კავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა მთლიანობაში. სოციალიზმის მშენებლობის სიძნელე და კაპიტალიზმის რესტავრაციის ყოვლისმომცველი საშიშროება იმთავითვე განსაკუთრებულ როლს თამაშობდა სასაზღვრო ზონებში მდებარე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისთვის. სწორედ სტალინმა მიმართა თავისი ყურადღება ამ საშიშროებისკენ და იგი გადაულახავ ბარიერად იქცა ქართველი ხალხის გარე თუ შინა მტრებისთვის. სტალინი აცნობიერებდა შემდეგ ფაქტს: თავისი სასაზღვრო ზონების დაცვის გარეშე რუსეთის პროლეტარიატი ვერ მიაღწევდა თავის დიდი ოქტომბრის გამარჯვებას და ვეღარც მსოფლიო რევოლუციის მისიის როლს შეასრულებდა. ამხანაგ სტალინის მსოფლიო სოციალისტური ბანაკის სასაზღვრო ზონებში აუცილებელი სასაზღვრო ციხე-სიმაგრეების როლის შეასრულებს გლობალური სოციალიზმისთვის. **ხელისუფლების სათავეში მყოფი თანამედროვე რევოლუციონისტებს კარგად ესმოდათ ეს ფაქტი და ამის გამო მსოფლიო იმპერიალისტებთან თანამშრომლობით ყველანაირად უშლიდნენ ხელს საქართველოს როგორც პლაცდარმს მსოფლიო სოციალისტური რესპუბლიკისთვის.**

სასაზღვრო ზონებს შეუტიეს და დაარღვიეს, საბოტაჟი მოუწყვეს და გაანადგურეს სხვადასხვა სახის კონტრრევოლუციური გარე იმპერიალისტური აგრესიებითა და ნაციონალისტური და სეპარატისტული ტენდენციებით და შიგა ბურჟუაზიული გადმონაშთებით, რომლებიც „სტალინისტების“ ნიღაბს ატარებდნენ. სტალინის პერიოდში და მისთვის ღალატიდან მცირე დროის შემდეგ შენიღბულმა მენშევიკებმა და თანამედროვე რევოლუციონისტებმა სასაზღვრო ზონების გამოყენება სტალინური ცენტრის საწინააღმდეგოდ დაიწყეს — მეტ-ნაკლებად გარედან თავსმოხვეული ხელმძღვანელობითა და იმპერიალისტთა მხარდაჭერით.

მიუხედავად ამისა, ამხანაგ სტალინის უკვდავ დამსახურებებს არაფერი დაშავებია!
ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ **ქართველი სტალინისტ-ხოჯაისტები ყოველთვის იქნებიან
ამხანაგ იოსებ სტალინის ყველაზე მამაც და სანიმუშო დამცველთა შორის.**

და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ **ქართველი სტალინისტ-ხოჯაისტები საქართველოში
ამხანაგ ენვერ ხოჯას დროშასაც მთელი ძალით ააფრიალებენ.**

ამხანაგებო, ჩვენ ვამაყობთ, რომ თქვენისთანა მეგობრები გაგვარჩნია!

და კიდევ ერთხელ ვუცხადებთ მადლობას მთარგმნელს ჩვენი „პლატფორმის“ თარგმნისათვის.

წარმატებას ვუსურვებთ თქვენს შესანიშნავ ვებ-გვერდს — www.joseph-stalin.net

მსოფლიო კომუნისტური მოლოცვით,
კომინტერნი (ს-ბ)

08.09.2011

საქართველოს სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობის წინასიტყვაობა „მსოფლიო საპროგრამო განცხადების“ ქართულ თარგმანთან დაკავშირებით

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს პროლეტარიატმა, საკუთარი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ადგილობრივი ბურჟუაზიული მთავრობა და ევროპელი იმპერიალისტები საკუთარი ქვეყნიდან განდევნა და საქართველოში პროლეტარიატის დიქტატურა დაამყარა.

2011 წლის 25 თებერვალს ამ უდიდესი ისტორიული თარიღიდან 90 წლის იუბილე აღვნიშნეთ რამდენიმე თანამოაზრემ თბილისში, ქართველი ბოლშევიკების მიერ მარქსისტული ლიტერატურის გასავრცელებლად 1901 წელს შექმნილი ავლაბრის არალეგალური სტამბის მახლობლად, რომლებიც ჩვენს თავს „მარქსისტ-ლენინელებს“ ვუწოდებდით. ის დღე მივუძღვენი კომინტერნის (ს-ს) — www.comintern.sh — 2009 წლის 7 ნოემბრის „კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო რევოლუციური პლატფორმის“ განხილვას, რომლის ზოგიერთი საკვანძო დასკვნა თითქმის ზუსტად დაემთხვა უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი დისკუსიების შედეგად გაკეთებულ დასკვნებს. **თუმცა ყველაფერი ამით არ ამოიწურებოდა.** „პლატფორმაში“ დასმული და დიალექტიკური მატერიალიზმის კანონების გამოყენებით იყო გადაჭრილი მრავალი ისეთი ფუნდამენტური საკითხი, რომლებზეც მანამდე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გვექონდა, რის გამოც **ხშირად უხეშ შეცდომებს ვუშვებდით.**

მაღევე მივხვდით, რომ კომინტერნის (ს-ს) „პლატფორმა“ მარქსიზმის უკვდავი მოძღვრების ყველაზე უფრო რევოლუციური განვითარება იყო თანამედროვე, გლობალურად შეცვლილ მსოფლიოში და მაქსიმალურად პასუხობდა თანამედროვე მსოფლიო პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესებსა და ყოველდღიური კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს.

„პლატფორმის“ იდეების ჯეროვნად გააზრების შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ ამიერიდან ვეღარ დავრჩებოდით უბრალოდ მარქსისტ-ლენინელებად, რამეთუ ეს ფაქტობრივად მარქსიზმ-ლენინიზმის ღალატით იქნებოდა! **ამიერიდან ჩვენ სახელი უნდა შეგვეცვალა და საკუთარი თავისთვის „სტალინისტ-ხოჯაისტები“ გვეწოდებინა!** ამიერიდან ჩვენი მოძრაობის ქვაკუთხედად უნდა ქცეულიყო არა უბრალოდ მარქსიზმი, არამედ **მარქსიზმის 5 კლასიკოსის** მოძღვრება!

თუმცა, ნიშნავდა თუ არა ეს, რომ ჩვენ უკვე დავეუფლეთ სტალინიზმ-ხოჯაიზმის თეორიას, ან იგი უკვე პრაქტიკულად განვხორციელეთ? არა და არა! ჩვენ არ ვართ **გამზადებული** სტალინისტ-ხოჯაისტები, გამზადებული სტალინისტ-ხოჯაისტების არსებობა შეუძლებელია! ჩვენ **მხოლოდ ვიწყებთ** მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე რევოლუციური ფორმის — სტალინიზმ-ხოჯაიზმის — განვითარებას და კლასობრივ ბრძოლაში გამოყენებას!

პირველი ნაბიჯი, რომელიც ამას მოვაცოლებთ, იყო „პლატფორმის“ ქართულ ენაზე თარგმნა მისი იდეების პოპულარიზაციის მიზნით (რასაკვირველია, ჩვენვე განვხორციელებთ „პლატფორმის“ თარგმანებს კავკასიის ხალხთა სხვა ძირითად ენებზეც).

შემდეგ განვხორციელებთ ჩვენი დიდი ხნის ოცნება და შეგვემენით იოსებ სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ვებ-გვერდი — www.joseph-stalin.net, რამეთუ არ არსებობს სტალინიზმი თავად სტალინის მოძღვრების გარეშე! იგი საქართველოს, კავკასიისა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს მოემსახურება. ამით სოლიდარობა გამოვუცხადებთ ჩვენს მამაც რუს თანამებრძოლებს, რომლებმაც ჩვენამდე სამი წლით ადრე უდიდესი სამუშაო შეასრულეს და შექმნეს ჭეშმარიტად რევოლუციური ვებ-გვერდი — www.enverhoxha.ru, რამეთუ არ არსებობს ხოჯაიზმი თავად ენვერ ხოჯას მოძღვრების გარეშე! მათი მეტად ღირებული გამოცდილება და ამხანაგური რჩევები მრავალი საკითხის გადაჭრაში დაგვეხმარა.

მესამე ნაბიჯად ვგეგმავთ საქართველოს სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის შექმნას, რათა საქართველოს პროლეტარიატს **კლასობრივი ბრძოლის საკუთარი ინსტრუმენტი** გაუჩნდეს.

სწორედ ამ სამი ნაპერწკლის მეშვეობით ვაპირებთ საქართველოს მუშათა კლასისთვის, გლეხობისთვის, ჯარისკაცებისთვის და ყველა ჭეშმარიტი პატრიოტისთვის იმ ცეცხლის დანთებას, რომელიც მსოფლიო რევოლუციურ ცეცხლს განუყოფლად შეერწყმება და მსოფლიო კაპიტალიზმს საბოლოოდ გადაბუგავს!

კომინტერნის (ს-ს) „პლატფორმამ“ კი, უწინარეს ყოვლისა, სწორი გზა და ის საშიშროებები დაგვანახა, რომლებსაც თავი აუცილებლად უნდა ავარიდოთ, და რომლებმაც მსოფლიოს მრავალი ე.წ. „მარქსისტულ-ლენინური“ ორგანიზაცია რევიზიონისტული და ოპორტუნისტული გადაგვარების უკურნებელი ვირუსით დაასნეულა და მსოფლიო კაპიტალიზმის ხელში მსოფლიო პროლეტარიატის ავთვისებიან სიმსივნედ აქცია!

ჩვენი მუდმივი სამუშაო იქნება ამხანაგ ენვერ ხოჯას თხზულებთა ქართულ და კავკასიის სხვა ენებზე თარგმნა და გავრცელება. უკვე ვთარგმნეთ და გამოვაქვეყნეთ მისი ორი ნაშრომი — „სტალინთან ერთად“ და „ხრუშჩოველები“ — ვებ-გვერდზე www.enverhoxha.ru. სტალინიზმის იდეების პოპულარიზაციასთან ერთად ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი იქნება ხოჯაიზმის იდეების პოპულარიზაცია კავკასიაში.

ჩვენთვის მეტად სასიხარულო იყო ის, რომ კომინტერნმა (ს-ს) მთლიანად დაუჭირა მხარი ჩვენს მოკრძალებულ წამოწყებას და „პლატფორმის“ ქართული თარგმანისთვის სპეციალური წინასიტყვაობა მოამზადა.

მსოფლიო იმპერიალისტებმა საქართველო უკვე აქციეს თავიანთ მოწინავე ევრაზიულ ახალ კოლონიად, მას მალე კავკასიაში ჩრდილო-ატლანტიკური მილიტარისტული ბლოკის — NATO-ს — სამხედრო ფორპოსტად გადააქცივენ, შემდეგ კი ევროპის პროლეტარიატთან ბრძოლის ძირითად იმპერიალისტურ ინსტრუმენტს — ევროკავშირს — შეუერთებენ. საქართველოს ჯარისკაცები ამჟამად რაოდენობრივად მესამე (!) ადგილზე დგანან ანგლო-ამერიკელი იმპერიალისტების აგრესიულ საოკუპაციო კონტინგენტში ავღანეთსა და ერაყში და თავიანთ „ინტერნაციონალურ“ (??) ვალს იხდიან. ამ ყველაფერმა უკვე გადააქცია საქართველოს პროლეტარიატი მსოფლიო პროლეტარიატის ერთ-ერთ ავანგარდულ რაზმად და სწორედ ამის გამო მისთვის ადვილად გასაგები გახდება „კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო რევოლუციური პლატფორმის“ სტალინურ-ხოჯაისტური იდეები. უფრო მეტიც — სტალინიზმ-ხოჯაიზმი მისი კლასობრივი ბრძოლის ერთადერთი ქმედითი თეორიული იარაღი და ამ გმირული ბრძოლის გამარჯვებით დასრულების ერთადერთი შანსია!

სტალინიზმ-ხოჯაიზმის იდეების გავრცელებას საქართველოში (და ამ გზით — მთელ კავკასიაში) უდიდესი და შეუპოვარი ბრძოლა დასჭირდება, თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ ამ უმდიდრესი ისტორიისა და რევოლუციური ტრადიციების მქონე ქვეყანაში ეს პროცესი გარდაუვალი და შეუქცევადი იქნება!

საქართველოს ბურჟუაზიას ეს დიადი რევოლუციური ტრადიციები აღარ ახსოვს. ჩვენც ავდგებით და შევასხენებთ.

1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში საქართველოს პროლეტარიატსა და ქართველ რევოლუციონერებს ღირსეული ადგილი ეკავათ, რის გამოც მათ ყოფილი საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს პროლეტარიატის დამსახურებული სიყვარული მიიღეს. ცარიზმის დასამხობად გამართულ ბრძოლაში წითელი დროშის ქვეშ გაერთიანებული 8000-ზე მეტი რევოლუციონერი და მუშათა კლასის სხვა ღირსეული წარმომადგენელი დაიღუპა! ქართველი რევოლუციონერები რუსი და სხვა ეროვნების რევოლუციონერების მხარდამხარ იბრძოდნენ საბჭოთა წყობილების დასამყარებლად და სოციალისტური რევოლუციის ავანგარდში იდგნენ!

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოს პროლეტარიატმა სოციალიზმის გრანდიოზული მშენებლობის ფრონტზეც ბრწყინვალე მაგალითი გვიჩვენა და სულ რაღაც 20 წელიწადში საქართველო ნახევრად ფეოდალური და ეკონომიკურად უკიდურესად ჩამორჩენილი ქვეყნიდან ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ და აგრარულ სოციალისტურ ქვეყანად აქცია.

დიდ სამამულო ომში (და არა უბრალოდ „მეორე მსოფლიო ომში“) ქართველმა კომუნისტებმა და სახელოვანმა ჯარისკაცებმა ბრძოლისა და თავდადების შესაშური მაგალითი მოგვცეს. მაშინდელი 2,5-მილიონიანი საქართველოდან ომში წავიდა 720000 ჯარისკაცი, რომელთაგანაც 319000 ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა. დაღუპული ჯარისკაცების საერთო რაოდენობით საქართველომ აშშ-საც კი გაუსწრო!

1956 წლის 5 მარტს, იმ ავადხსენებული სკკპ XX ყრილობის დამთავრებიდან 10 (!) დღეში, რომელზეც ღალატის გზაზე დამდგარმა ხრუშჩოვის რევიზიონისტულმა ხროვამ სოციალიზმის წინააღმდეგ ღია ბრძოლა გამოაცხადა, საქართველოს პროლეტარიატი ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებიდან პირველ ფრონტალურ შეტაკებაში ჩაება სოციალისტური სამშობლოს დასაცავად! მან პირველმა გაიღო სისხლი, რათა მომავალი თაობებისთვის გმირული ბრძოლის მისაბაძი მაგალითი დაეტოვებინა. დიადი იოსებ სტალინის ძეგლების, რევოლუციური საქმისა და უმწიკვლო სახელის დაცვით ისინი არ იცავდნენ უბრალოდ ქართველ იოსებ ჯუღაშვილს (როგორც ამას ულტრანაციონალისტები და ანტიკომუნისტები გაჰყვირიან ხოლმე), არამედ იცავდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, მარქსიზმ-ლენინიზმს, მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადისა და მარქსიზმის კლასიკოსის — იოსებ სტალინის — უმწიკვლო სახელს!

ამ რევოლუციურ გამოსვლებთან დაკავშირებით ჩვენს წინასიტყვაობაში მხოლოდ სამ მნიშვნელოვან მომენტს შევასხენებთ: (1) დემონსტრანტებს იოსებ სტალინის პორტრეტებთან ერთად ხელში ეკავათ დიდი ვლადიმერ ლენინის პორტრეტები, (2) სახელდახელოდ შექმნილ საპროტესტო კომიტეტს „თავისუფალი საქართველოს რევოლუციური კომიტეტი“ ერქვა, (3) დემონსტრანტების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იყო „მოლაღატე“ ნიკიტა ხრუშჩოვის, მალენკოვის, კაგანოვიჩისა და მიქოიანის დაპატიმრება და გასამართლება.

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს პროლეტარიატმა ასევე რევოლუციური გამოსვლებით უპასუნა საბჭოთა რევიზიონისტების კონტრრევოლუციურ შოვინისტურ გეგმას ქართულ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების აკძალვის შესახებ (გავიხსენოთ კონტრრევოლუციონერთა მსგავსი გეგმები სტალინის პერიოდში ჯერ ნაციონალურ ენებთან მიმართებაში, შემდეგ კი თავად რუსულ ენასთან მიმართებაში, და სტალინის მიერ მათთვის მტკიცე წინააღმდეგობის გაწევა). მაშინ საქართველოს პროლეტარიატი და მისი ავანგარდი — სტუდენტი ახალგაზრდობა — მზად იყო ახალი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის, მაგრამ რევიზიონისტებმა მზაკვრულ ტაქტიკურ ხერხს მიმართეს: უკან დაიხიეს და მშობლიური ენების გაუქმება შემდგომი პერიოდისთვის — დაკანონებული კაპიტალიზმის პერიოდისთვის — გადადეს. ამჟამად, 2011 წელს, საქართველოს პროლეტარიატისთვის ახსნაც კი აღარაა საჭირო, თუ რა მდგომარეობაშია ქართული ენა ე.წ. „დამოუკიდებელ და თავისუფალ“ საქართველოში.

1985 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირში ხრუშჩოველი რევიზიონისტების მიერ დაწყებული კონტრრევოლუციური მარში გორბაჩოვისეულმა ლიკვიდატორებმა განაგრძეს, სწორედ საქართველოს პროლეტარიატი

აღუდგა მათ წინ ერთ-ერთი პირველი, რისთვისაც 1989 წლის 9 აპრილს სამაგალითოდ დაისაჯა, და იმის გამო, რომ პროლეტარიატს საკუთარი ბოლშევიკური პარტია აღარ ჰყავდა, ადგილობრივმა ბურჟუაზიამ საკმაოდ ადვილად მისცა მას ნაციონალისტური ხასიათი და მსოფლიო იმპერიალისტების დახმარებით ცოტა მოგვიანებით საქართველოში ძმათამკვლელი სამხედრო კონფლიქტები გააჩაღა.

ამის შემდეგ მტერმა საქართველოს დაუშინა უამრავი მოწამლული იარაღი: ნაციონალიზმი და ანტიკომუნისმი, სამხედრო ინტერვენცია და მისი ტერიტორიების ანექსია (რაც კვლავ მარჯვედ გამოიყენა ადგილობრივმა ბურჟუაზიამ და პროლეტარიატთან დროებითი გაერთიანებით განაახლა თავისი ნეოლიბერალური პროპაგანდისტული წინეხი, რომელიც მზაკვრულად შეაზავა შუასაუკუნოვანი კლერიკალიზმითა და ულტრანაციონალიზმით, რითაც 2008 წელს **გააფთრებულ კლასობრივ ბრძოლაში დროებითი კარტ-ბლანში მოიპოვა**), ნეოკოლონიალიზმი, აგრესიული სეპარატიზმი და 500000 ადამიანის იძულებითი გადასახლება ეკონომიკურად განვითარებულ ცენტრებში პროლეტარიატის სარეზერვო ბრიგადების შექმნის მიზნით, სამოქალაქო ომი, ნეოლიბერალიზმი და ბოტანიკური (ვარდების) რევოლუცია, ვაჭრული მორალის ზღვარგადასული პროპაგანდა და ნარკოტიკებით გადაგვარება, პროლეტარიატის საყვარელ კომუნისტურ ბელადებზე ათასობით ინსინუაციის შეთითხვნა და მათი ძეგლების მუხანათურად დანგრევა მარიონეტული ბურჟუაზიის ხელით, ბიბლიოთეკების წმენდა მარქსისტული ლიტერატურისგან და ძალადობისა და გარყვნილების პროპაგანდა... თუმცა ყოველ ასეთ შეტევას საქართველოს პროლეტარიატი უპასუხოდ არ ტოვებდა, ყოველ ასეთ შეტევას იგი პასუხობდა **სხვადასხვა ტიპისა და მასშტაბის რევოლუციური გამოსვლებით**, რომლებიც, უწინარეს ყოვლია, ანტიიმპერიალისტური სულისკვეთებით და სოციალური თანასწორობისკენ სწრაფვით გამოირჩეოდნენ! განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ რევოლუციური გამოსვლების ავანგარდში თითქმის ყოველთვის იდგა **საქართველოს ახალგაზრდობა**, რომელიც **დიდი ალბათობით** მომავალი კლასობრივი შეტაკებების ავანგარდშიც იდგება.

ჩვენ — სტალინისტ-ხოჯაისტებს — დაუღალავი შრომა გვმართებს საქართველოს პროლეტარიატის აზრებამდე და გულებამდე ყოველივე ზემოთქმულის მისატანად და ასახსნელად, თუ **რატომ დამარცხდა იგი** ყველა კლასობრივ შეტაკებაში 1956 წლიდან დღემდე, და როგორ შეიძლება საკუთარი მარცხებიდან სწორი ისტორიული დასკვნების გაკეთება, ახალი, გადამწყვეტი ბრძოლისათვის მაქსიმალურად კარგად მომზადება და გამარჯვება აწ უკვე გლობალიზებულ მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად და მსოფლიო პროლეტარიატის აქტიური დახმარებით, რისი მყარი და უტყუარი საფუძველიც სწორედ „კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო რევოლუციური პლატფორმა“ უნდა გახდეს!

საქართველოს სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა
15.09.2011

„...რუსული რევოლუცია არსებითად მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის... გენერალური რეპეტიცია იყო“

„თქვენ ხედავთ, რომ ჩვენ არ ვიბრძვით სოციალიზმის გამარჯვებისთვის მხოლოდ ჩვენთვის... ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ მთელი მსოფლიოს მუშებმა ჩვენთან ერთად გაიმარჯვონ“

„...დაიწყო საყოველთაო პროლეტარული, კომუნისტური რევოლუციის ერა“

„...ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს კომუნისტური რევოლუციის წინააღმდეგ წასვლას“

„III, კომუნისტური ინტერნაციონალის, დაარსება წინა დღეა... საერთაშორისო კომუნიზმის გამარჯვებისა“

„პროლეტარული ინტერნაციონალი არ დაღუპულა და არც არასდროს დაიღუპება“

ლენინი

ოქტომბრის რევოლუციის (1917) 92-ე და ჩვენი კომინტერნის დაარსებიდან (1919) 90-ე წლის იუბილეს საპატივსაცემოდ „კომინტერნის (მარქსისტულ-ლენინური)“ სახელი შეიცვალა „კომინტერნით (სტალინურ-ხოჯაისტური)“.

ამის ახსნას ემსახურება ჩვენი „მსოფლიო საპროგრამო“ განცხადების გამოქვეყნება.

გაუმარჯოს კომინტერნის 90-ე წლის იუბილეს!

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის 92-ე წლის იუბილეს!

პარაზიტული, ძირგამომპალი, მომაკვდავი კაპიტალისტური სისტემის მიძიმე კრიზისი
— მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის წინა დღე!

მსოფლიოს დღევანდელი სიტუაცია რევოლუციური სიტუაციაა. იგი ხასიათდება ღრმა, დამანგრეველი რყევებითა და მოვლენათა მტკივნეული ზიგზაგებით, რომლებიც განმსაზღვრელი სახით ზემოქმედებენ მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე. მსოფლიო იმპერიალიზმი პროლეტარიატსა და მასთან ერთად მთელი მსოფლიოს ხალხებს არსებობის კატასტროფული, აუტანელი უფსკრულისაკენ მიაქანებს. ამასთან ერთად, კაპიტალიზმმა საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, ვინაიდან კაცობრიობას უკვე აღარ სურს მის უღელქვეშ ყოფნა. კაპიტალის ბატონობა მისდამი ხალხთა მასების დაპირისპირებას წარმოშობს, კაპიტალიზმი დასალუპავადაა განწირული.

მსოფლიო პროლეტარიატი, ეს ერთადერთი რევოლუციური კლასი, იცნობიერებს თავის ისტორიულ მისიას და იმპერიალიზმის ბასტიონებს ხუთივე კონტინენტზე უტევს. მსოფლიო პროლეტარიატს ხალხები ძველი მსოფლიოს ახალი მსოფლიოთი შეცვლისკენ მიჰყავს. იგი ამხობს მსოფლიო კაპიტალიზმის ძალაუფლებას, ანადგურებს ექსპლუატაციასა და ჩაგვრას, არღვევს სილატაკის ბატონობას. მსოფლიო პროლეტარიატი, მსოფლიოს საწარმოო ძალები კაპიტალისტებს ხელიდან თანდათანობით გამოჰგლეჯენ მთელი სიმდიდრეს და შედეგად თანდათანობით მოახდენენ ჩაგვრის ლიკვიდაციას მთელი კაცობრიობის მასშტაბით. კაცობრიობის ეს ყველაზე უფრო რევოლუციური და გამირული ქმედება გამოიწვევს ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ისტორიის დამთავრებას.

მსოფლიო იმპერიალიზმის ეპოქა მთავრდება — დგება მსოფლიო სოციალიზმის ეპოქა.

გასაკვირი არაა, რომ მსოფლიოს ისტორიაში მიმდინარე მთელი ეს რადიკალური ცვლილებები აუცილებლად აისახება მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებაზე.

თავისი რევოლუციური არსის გამო მარქსიზმ-ლენინიზმი ახდენს საკუთარი თავის გარეგოლუციონერებას და იწყებს საკუთარი ისტორიის ახალ ეტაპს. მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლიო აღორძინება დაკავშირებულია რევიზიონიზმის აღორძინებასთან მსოფლიო მასშტაბით.

კომუნისტური ინტერნაციონალი პირველია და არა უკანასკნელი მათ შორის, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის ახალ სტრატეგიასა და ტაქტიკას ავითარებს, მსოფლიო კლასობრივი ბრძოლის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე. სწორედ ეს მიუთითებს კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო-რევოლუციურ არსზე.

კომუნისტური ინტერნაციონალის რევოლუციონერები არასდროს ახდენენ საკუთარი ბრძოლის გარეგოლუციონერებას მანამდე, სანამ არ მოახდენენ საკუთარი მსოფლიო ოდეოლოგიის გარეგოლუციონერებას, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გზაზე სიარული უკუნით სიბნელებში მოგვიწევდა.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი

— ესაა მსოფლიო რევოლუციური მარქსიზმ-ლენინიზმი დღეს.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი

— ესაა სრული განახლება მარქსიზმ-ლენინიზმისა და სწორედ იგი გახდება მსოფლიო სოციალიზმის წარმმართველი იდეოლოგია.

ერთადერთი ძალა, რომელსაც ძალუძს მსოფლიოს გადარჩენა დაღუპვისაგან, — ესაა გაერთიანებული მსოფლიო პროლეტარიატი.

და არსებობს ერთადერთი იდეოლოგია, რომელსაც მსოფლიო პროლეტარიატი გამარჯვებისკენ მიჰყავს — საყოველთაო-პროლეტარული მსოფლიო იდეოლოგია. ესაა განვითარების ახალ საფეხურზე მდგომი მარქსიზმ-ლენინიზმი. ესაა სტალინიზმ-ხოჯაიზმი.

ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებთ „მარქსიზმ-ლენინიზმის“ სახელწოდების შეცვლას „სტალინიზმ-ხოჯაიზმის“ სახელწოდებით. შეუძლებელია მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების უზრუნველყოფა მარტოოდენ მოწოდებებით. მსოფლიო პროლეტარიატს ესაჭიროება ყველაზე უფრო მოწინავე, მეცნიერული მარქსიზმ-ლენინიზმი. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენი მოვალეობაა სტალინიზმ-ხოჯაიზმის თეორიის განახლება, რომელიც უდავოდ მარქსიზმ-ლენინიზმს ეფუძნება. ჩვენი ძირითადი მიზანია მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც იდეოლოგიური იარაღის, წამახვილება და მსოფლიო პროლეტარიატის მომზადება მოახლოებული გადაწყვეტი ბრძოლებისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი განვითარების ჩვენეული მცდელობა არც შემთხვევითია და არც უნებლიე. იგი გამოხატულებაა ყველაზე უფრო თანმიმდევრული კლასობრივი თვალთახედვისა და მოწოდებულია მსოფლიო მასშტაბში კლასობრივ ურთიერთობათა გარკვეული ცვლილებებისთვის ფარდის ასახდელად.

ჩვენი მსოფლიო პროგრამული განცხადების (პლატფორმის) ამოსავალი წერტილია შემდეგი ლენინური დებულება:

„ბურჟუაზიული წყობილება მთელ მსოფლიოში უდიდეს რევოლუციურ კრიზისს განიცდის. ახლა რევოლუციური პარტიების პრაქტიკით უნდა „დავამტკიცოთ“, რომ მათ საკმაო შეგნებულობა, ორგანიზებულობა, ექსპლოატირებულ მასებთან კავშირი აქვთ და გამბედაობა და უნარი შესწევთ, რათა ეს კრიზისი გამოიყენონ წარმატებით, ძლევამოსილი რევოლუციისათვის“ (ვი. ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ქართულ ენაზე. ტ.31, 1952წ., გვ. 269. კომუნისტური ინტერნაციონალის II კონგრესი).

მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის ეს პლატფორმა რევოლუციურ პარტიებს ყოველივე ამის საქმით დამტკიცებაში დაეხმარება.

თავდაპირველად ჩამოვყალიბებთ სამ უმთავრეს განსაზღვრებას.

რა არის სტალინიზმ-ხოჯაიზმი?

სტალინიზმ-ხოჯაიზმი — ესაა მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის — მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინისა და ენვერ ხოჯას — მოძღვრებათა განუყოფელი ნაწილი.

ესაა მსოფლიო მასშტაბში სოციალიზმისკენ შემობრუნების შესახებ არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების შემდგომი განვითარება, ანუ: სტალინიზმ-ხოჯაიზმი — ესაა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის თეორია და პრაქტიკა ზოგადად, პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის თეორია და პრაქტიკა კერძოდ.

როგორია ახალი ტიპის სტალინურ-ხოჯაისტური ორგანიზაციები?

მსოფლიო პროლეტარიატს არავითარი იარაღი არ გააჩნია მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში, გარდა მსოფლიო ორგანიზაციისა, რომელიც აერთიანებს და აცენტრალურებს ყველა ქვეყნის მებრძოლ ერთეულებს.

მსოფლიო-პროლეტარული კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმაა მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტია, მსოფლიო-ბოლშევიკური ტიპის კომუნისტური ინტერნაციონალი, კომინტერნი (ს-ხ).

სტალინურ-ხოჯაისტური ორგანიზაციების ახალი ტიპი — ესაა ბოლშევიკური ტიპი, ესაა მსოფლიო პროლეტარიატის ორგანიზაციები, რომლებიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა ქვეყნებში პროლეტარული რაზმებით საბრძოლველად, რათა მიაღწიონ საერთო მიზანს — დაამხონ მსოფლიო ბურჟუაზია, დაამყარონ პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურა და ააშენონ მსოფლიო სოციალიზმი.

მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტია მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის შეგნებული მატარებელია.

რა არის სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა?

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა არის მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძრაობა.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა წარმოიშვა ამხანაგ ენვერ ხოჯას დროინდელი ძველი, სახელოვანი მარქსისტურ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის გარდაუვალი განახლების პროცესში. ჩვენ გვსურს მისი გათავისუფლება ოპორტუნისტული ელემენტებისგან, რათა ვისხნათ დაღუპვისგან და ავულორძინოთ რევოლუციური სულიკვეთება. ჩვენ ვაგრძელებთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინისა და ენვერ ხოჯას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დიად ტრადიციას.

მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის განახლებას დღესდღეობით შეგნებულად და ცენტრალიზებულად ხელმძღვანელობს მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტია.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა — ესაა ყველა ქვეყნის პროლეტართა მებრძოლი რაზმების მსოფლიო მასშტაბით გაერთიანება მთელ მსოფლიოში პროლეტარიატის გამარჯვების მიზნით.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა — ესაა *რეალური* მსოფლიო მოძრაობა, რომლის დანიშნულებაცაა კაპიტალიზმის ბატონობის საბოლოო ლიკვიდირება.

მსოფლიო მასშტაბით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სამივე მითითებული ფორმა — **თეორია, ორგანიზაცია და მოძრაობა** — შეადგენს მის განუყოფელ, დიალექტიკურ მთლიანობას. ესაა მსოფლიო ბოლშევიზმის ძირითადი პრინციპი. მისი ცოდნა, მეთოდი და ოსტატობაა ჭეშმარიტი სტალინურ-ხოჯაისტური მებრძოლის დამახასიათებელი ნიშანი.

დღესდღეობით მსოფლიოში შექმნილ სიტუაციაში ჩვენს წინაშე ისმება ცნობილი ლენინისეული კითხვა:

„რა ვაკეთოთ?“

განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია დამარცხების-თვისაა განწირული, თუკი მსოფლიო პროლეტარიატი ბრძოლის ველზე წარმმართველი რევოლუციური თეორიის გარეშე გავა?

განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ამ თეორიის გამომუშავება შეუძლებელია ერთი ქვეყნის — თუნდაც სოციალისტურის — პირობებში? განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ მსოფლიო სოციალიზმის თეორიის შემდგომი განვითარება საჭიროებს მსოფლიო-ცენტრალიზებულ მუშაობას მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის უწინდელი გამოცდილების შესაჯამებლად და განსაზოგადებლად, გლობალური სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოსამუშავებლად მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის პრინციპების ცხოვრებაში გატარების მიზნით?

განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ მსოფლიო რევოლუციური თეორია საჭიროებს მსოფლიო რევოლუციურ პარტიას, რომელიც მსოფლიო მასშტაბში სისტემატურად უკეთებს ორგანიზებას მარქსიზმ-ლენინიზმის ყველა თეორეტიკოსს?

განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატს არ ძალუძს თავისი მებრძოლი რაზმების წარმართვა და კოორდინირება მსოფლიო ბრძოლის ველებზე ხელმძღვანელი რგოლის გარეშე, თავისი მსოფლიო პარტიის გარეშე?

განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ გაერთიანებული მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია მსოფლიო პარტიის მხრიდან გაერთიანებული ხელმძღვანელობის გარეშე აუცილებლად დამარცხდება?

განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ სოციალიზმის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბში შეუძლებელია, თუ მსოფლიო პროლეტარიატი არ მოახდენს თავისი მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის გადაჭრით გამიჯვნას, რომელიც თავისუფალი იქნება ოპორტუნიზმისგან და რევოლუციური დაუნდობლობით მიუდგება მსოფლიო ბურჟუაზიას, ექსპლუატაციასა და დათრგუნვას, შემრიგებლურ ელემენტებსა და კაპიტულანტებს?

განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ მსოფლიო პროლეტარული პარტიის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ რევოლუციური მასების ორგანიზება მსოფლიო კაპიტალიზმის წინააღმდეგ?

განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ ჩვენ ვერ შევურიგდებით მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის შიგნით არსებულ ოპორტუნისტულ ელემენტებსა და ტენდენციებს?

განა უკიდურესად ნათელი არაა ის ფაქტი, რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელია ნეო-რევოიზიონიზმის (= ანტირევოიზიონიზმი სიტყვით, რევოიზიონიზმი საქმით) განადგურების გარეშე?

**სტალინურ-ხოჯაისტური თეორიის გარეშე არ არსებობს სტალინურ-ხოჯაისტური პარტია,
სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის გარეშე არ არსებობს მსოფლიო
სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა.**

I
სტალინურ-ბოჯაისტური მსოფლიო თეორია
მსოფლიო-რევოლუციური გზა მსოფლიო სოციალიზმისკენ

საზოგადოების არსებობის ისტორია დღემდე — ესაა კლასთა ბრძოლის ისტორია. ეს კლასობრივი ბრძოლა დღესდღეობით ადის იმ დონემდე, სადამდეც ერთხელ უკვე ავიდა, — მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის დონემდე. ამრიგად, კლასობრივი ბრძოლა დღესდღეობით სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო კაპიტალიზმის პირდაპირი და ერთდროული განადგურება, პროლეტარიატის პირდაპირი და ერთდროული დიქტატურა, მსოფლიო სოციალისტური საზოგადოების შექმნის პირდაპირი და ერთდროული მომზადება. დღევანდელი კლასობრივი ბრძოლა მთელი მსოფლიოს მასშტაბით — ესაა მსოფლიო საზოგადოებრივ ცვლილებათა მამოძრავებელი ძალა.

დღევანდელი კლასობრივი ბრძოლა განსხვავდება მთელი ადრინდელი კლასობრივი ბრძოლისაგან. იგი ეფუძნება მსოფლიო მასშტაბის მქონე კლასობრივ წინააღმდეგობებს, რაც განაპირობებს მისი პოლარიზაციის უმაღლეს ხარისხს და ერთიან საერთო მიზნამდე მისვლას. დღევანდელი მსოფლიოს ისტორია განისაზღვრება მსოფლიო მასშტაბის კლასობრივი წინააღმდეგობებით და გამოხატავს მათი გადაჭრისთვის ბრძოლას მსოფლიო მასშტაბში. თავად ხალხები, მსოფლიო ხალხთა მასები, გადაწყვიტავენ, თუ როგორ შეიცვლება მსოფლიო ისტორია. ისინი არა მარტო მსოფლიო მასშტაბით შეცვლიან კლასობრივ ძალთა თანაფარდობას, არა მარტო განადგურებენ მათ, არამედ ააშენებენ თავიანთ უკლასო საზოგადოებას, მსოფლიო კომუნიზმს.

კლასობრივი ძალების დღევანდელი თანაფარდობის შედეგად ერთმანეთს ებრძვის ორი მსოფლიო კლასი: მსოფლიო პროლეტარიატი, რომლის მიზანიცაა პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება; მსოფლიო ბურჟუაზია, რომლის მიზანიცაა პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნება.

მსოფლიო კლასი მსოფლიო კლასის წინააღმდეგ!

მსოფლიო რევოლუციური იარაღი მსოფლიო კონტრრევოლუციური იარაღის წინააღმდეგ!

მსოფლიო პროლეტარიატის ძალადობა მსოფლიო ბურჟუაზიის ძალადობის წინააღმდეგ!

ტერმინში „მსოფლიო პროლეტარიატი“ ვგულისხმობთ მსოფლიო მასშტაბის მუშათა კლასს, რომელიც ყველა ქვეყნის პროლეტარებისგან შედგება. პროლეტარები ერთ მსოფლიო კლასად ერთიანდებიან, რაც წარმოების ერთიანი მსოფლიო წესის არსებობითაა განპირობებული. მსოფლიო პროლეტარიატი გადამწყვეტი მსოფლიო რევოლუციური მამოძრავებელი ძალა და ყველაზე უფრო ექსპლუატირებული და დაჩაგრული კლასია. მსოფლიო პროლეტარიატი იბრძვის მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ამნობს და საბოლოოდ ანადგურებს მას.

„**«სხვა კლასები დგანან „ბარიკადის როგორც ერთ, ისე მეორე მხარეზე“... ეს და მხოლოდ ეს არის მეცნიერული საფუძველი იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ ახალ რევოლუციაზე»** (ვ.ი. ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ქართულ ენაზე. ტ.26, 1952წ., გვ. 45. პუბლიცისტის დღიურიდან).

XXI საუკუნის დასაწყისიდან მსოფლიო პროლეტარიატი მსოფლიო სოციალიზმის ეპოქაში შედის, რათა საბოლოოდ მოიტოვოს უკან მსოფლიო იმპერიალიზმი. კლასობრივი ბრძოლის დაძაბულობის ზენიტის დადგომისთანავე მსოფლიოს ისტორიაში ახალი თავი იწყება.

კომინტერნის (ს-ბ) ეს მსოფლიო-კომუნისტური პლატფორმა მსოფლიო პროლეტარიატის ყურადღებას ამახვილებს ეპოქალურ ცვლილებებზე კლასობრივ ურთიერთობებში. ჩვენ მსოფლიო პროლეტარიატს ვასწავლით თავისი ხელმძღვანელი, წამყვანი როლის გაცნობიერებას მსოფლიო-რევოლუციური მისიის განხორციელებაში, საზოგადოების შეგნებულ მამოძრავებელ ძალად გადაქცევაში.

მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატს გააჩნია ყველა ექსპლუატირებული და ჩაგრული მასების სათავეში ჩადგომის გამბედაობა. მსოფლიო პროლეტარიატს არაფერში სჭირდება კაპიტალისტური მსოფლიოს შენარჩუნება. მსოფლიო პროლეტარიატს სძულს და წყევლის მსოფლიო კაპიტალიზმს. მსოფლიო პროლეტარიატი ანადგურებს საკუთარი გათავისუფლების გზაზე არსებულ ყველა დარბკოლებას. მსოფლიო პროლეტარიატი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ახორციელებს მსოფლიო ხალხთა მასების ხელმძღვანელობის საკუთარ მისიას. მსოფლიო პროლეტარიატს დასაკარგი არაფერი აქვს, საკუთარი ბორკილების გარდა. მან ეს უნდა გააკეთოს, რათა მთელი მსოფლიო მოიპოვოს. მსოფლიო სოციალიზმის ეპოქაში მსოფლიო პროლეტარიატი თავს იმ მმართველ კლასად წარმოაჩენს, რომელიც მსოფლიო ისტორიის მიმართულებას განსაზღვრავს.

მსოფლიო პროლეტარული პარტია — კომინტერნი (ს-ბ) — მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების მატარებელია და ამ მსოფლიო კლასს მისი კლასობრივი ბატონობისთვის ამზადებს. მას მსოფლიო პროლეტარული კლასი მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვებისკენ მიჰყავს და მსოფლიო კომუნიზმის შემდგომი გამარჯვებისაკენ მიმართავს.

რაც შეეხება მსოფლიო კლასობრივ ურთიერთობებს, ცალკე აღებული ქვეყნის პროლეტარიატს გამარჯვების მისაღწევად მსოფლიო პროლეტარიატის მხრიდან ხელმძღვანელობა სჭირდება. მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატი, როგორც მსოფლიო კლასობრივი ბრძოლის ხელმძღვანელი, მოახერხებს მსოფლიო კაპიტალიზმისგან ერების გათავისუფლებას. მათ ამის მიღწევა მხოლოდ იმ ცენტრალიზებული მსოფლიო არმიის

რაზმებად ორგანიზებით შეუძლიათ, რომელსაც მსოფლიო დონეზე საერთო შტაბი ხელმძღვანელობს და რომელიც თავისი კლასობრივი მოკავშირეებითაა გარემოცული.

მსოფლიო კაპიტალიზმის მმართველი კლასობრივი საზოგადოება ორ ანტაგონისტურ ბანაკად გაიხლიჩა — ბურჟუაზიის მსოფლიო ბანაკად და პროლეტარიატის მსოფლიო ბანაკად. თითოეული ბანაკი აყალიბებს თავის მსოფლიო ცენტრს — მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციურ მსოფლიო ცენტრს და მსოფლიო ბურჟუაზიის კონტრრევოლუციურ მსოფლიო ცენტრს. ერთიანობის მსოფლიო პროლეტარული პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ კლასობრივი მოკავშირეები მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ გააერთიანოს, მობილიზება გაუკეთოს და მსოფლიო კაპიტალიზმის საწინააღმდეგო მსოფლიო ფრონტზე წაიყვანოს. მსოფლიო ბურჟუაზია, თავისი მხრიდან, აერთიანებს თავის მოკავშირეებს მსოფლიო კონტრრევოლუციურ ფრონტად, რომლის მიზანიცაა მსოფლიო კაპიტალიზმის დაცვა.

მსოფლიო კაპიტალიზმის მომხრე თუ მოწინააღმდეგე — ესაა სადემარკაციო ხაზი, რომელიც გადის ორ მსოფლიო მტრულ ბანაკს შორს, ორ მსოფლიო ანტაგონისტურ მოძრაობას შორის, რომლებიც მსოფლიო ასპარეზზე ერთმანეთს ებრძვიან. მსოფლიო კაპიტალიზმის გამარჯვება ან დამარცხება გადაწყვეტავს მსოფლიოს მომავლის ბედს:

**მსოფლიო ბარბაროსობა ან მსოფლიო სოციალიზმი?
სხვა ალტერნატივა არ არსებობს.**

მესამე და მეოთხე გამოსავალი არ არსებობს. არ არსებობს კაპიტალიზმად და სოციალიზმად დაყოფილი მსოფლიოც. დღესდღეობით არსებობს ერთიანი კაპიტალისტური მსოფლიო, იმპერიალიზმის ერთპიროვნული ბატონობა. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის უწინდელ გენერალურ ხაზს მოქმედება აღარ შეუძლია იმ ფაქტის გამო, რომ მსოფლიოში არ არსებობს არც ერთი სოციალისტური სახელმწიფო. კომინტერნმა (ს-ს) შექმნილი აუცილებლობის გამო გადახედა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის უწინდელ გენერალურ ხაზს და 2001 წელს ახალი გენერალური ხაზი შეიმუშავა. ამ მსოფლიო საპროგრამო განცხადებაში კომინტერნის (ს-ს) გენერალური ხაზი შესწორდა, დაიხვეწა და შეივსო.

ერთიანი მსოფლიო წარმოების წესის გაჩენის შედეგად მსოფლიო პროლეტარიატი ერთიან მსოფლიო კლასად გარდაიქმნა. არადა ყოველივე ეს გულისხმობს ეკონომიკურ კატეგორიას „კლასი თავისთავად“. ლოზუნგი „მსოფლიო კლასი მსოფლიო კლასის წინააღმდეგ!“ პირველ რიგში ნიშნავს ბრძოლას პოლიტიკური ძალაუფლებისთვის, მსოფლიო პოლიტიკურ ბრძოლას. აქედან გამომდინარე, მსოფლიო პროლეტარიატი უნდა გადაიქცეს პოლიტიკურ კლასად, რომელსაც თავისი პოლიტიკური პარტია გააჩნია.

თავის ხელმძღვანელ პარტიასთან ერთად მებრძოლი მსოფლიო პროლეტარიატი ხდება შეგნებულად ორგანიზებული კლასი, მსოფლიო სოციალისტური კლასი, რომელიც თავის მსოფლიო რევოლუციურ პოლიტიკას ეყრდნობა, საპირისპიროდ მსოფლიო კაპიტალისტური პოლიტიკისა მთლიანობაში და მსოფლიო რევიზიონისტული პოლიტიკისა განსაკუთრებით.

მხოლოდ პირდაპირი და შეგნებული კლასობრივი ბრძოლის შედეგად ორგანიზებულ მსოფლიო პროლეტარიატსა და ორგანიზებულ მსოფლიო ბურჟუაზიას შორის მოხდება მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია.

მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ხელისუფლების ხელში ჩაგდების აქტით. ეს კლასობრივი ბრძოლის მხოლოდ უმაღლესი წერტილია, რომელიც ხელისუფლების ხელში აღებასა და მის შენარჩუნებას შორის მდებარეობს. მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კლასობრივი ბრძოლა კიდევ უფრო გაძლიერდება. მსოფლიო სოციალიზმის პერიოდი — ესაა გამარჯვებებისა და დამარცხებების აუცილებელი პერიოდი. მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ როგორც შედეგი უმძიმესი მსოფლიო კლასობრივი ბრძოლის მთელი პერიოდისა.

მსოფლიო პროლეტარიატს არაფერში სჭირდება არც რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნის პროლეტარიატის ცნობიერება, არც „ერთი“ ქვეყნის წარსული სოციალიზმის ცნობიერება.

ახალი სოციალისტური ცნობიერების განსაზღვრება შემდეგნაირია:

მსოფლიო მასშტაბის სოციალისტური ცნობიერება, რევოლუციური მსოფლიო პროლეტარიატის ცნობიერება, რომლის მიზანია მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა გამოყენება მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად, მსოფლიო სოციალიზმის ასაშენებლად.

რევოლუციონერი შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ის, ვინც მსოფლიო-სოციალისტურ ცნობიერებას რევოლუციური მსოფლიო პროლეტარიატის სასარგებლოდ გამოიყენებს.

მხოლოდ შეგნებულ პროლეტარიატს ძალუძს დაქირავებული მონობისგან და არსებობის საშინელი პირობებისგან გათავისუფლება. მსოფლიო-სოციალისტური ცნობიერება მსოფლიო პროლეტარიატს შესაძლებლობას აძლევს, შექმნას ცნობიერების უკეთესი პირობები მსოფლიოში კაპიტალიზმის გარეშე.

მხოლოდ მაშინ, როცა მსოფლიო პროლეტარიატი საკუთარ კლასობრივ ცნობიერებას მთლიანად დაეუფლება, თუ ეს ცნობიერება იქნება თითოეულ ქვეყანაში ყველაზე გავრცელებული, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება

მსოფლიო პროლეტარიატი მომწიფებულად მსოფლიო რევოლუციისათვის — როგორც ობიექტურად, ასევე სუბიექტურად.

მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება დამოკიდებულია ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა შესაბამისობაზე მსოფლიოში თითოეულ რევოლუციურ სიტუაციისთან.

რაც უფრო მეტია ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა შესაბამისობა მსოფლიოში თითოეულ რევოლუციურ სიტუაციასთან, მით უფრო მეტია გამარჯვების შესაძლებლობა. ეს შესაბამისობა იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც რევოლუციური სიტუაცია მართლა გახდება **გაცნობიერებული** მსოფლიო რევოლუციური პროცესი.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშათა კლასი გაერთიანდება მსოფლიო მასშტაბით, პროლეტართა მსოფლიო კლასს გაუჩნდება არა მარტო ერთიერთქმედების, არამედ ყველა ქვეყანაზე უკუხემოქმედების შესაძლებლობაც. ამრიგად, ქვეყნები საკუთარ თავს საშუალებას მისცემენ, მიაღწიონ უდიდეს სიძლიერეს როგორც რაზმებმა მსოფლიო რევოლუციის არმიისა, რომელიც კლასობრივი საზოგადოების ყველა ფორმაციის უძლიერესი და ყველაზე რევოლუციური არმია გახდება.

პროლეტარული ძალის სრული ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის მიღწევა შესაძლებელია მაშინ, თუ უკლებლივ ყველა ქვეყნის რაზმები მთლიანად ნაწილებად გაერთიანდებიან.

ერთიანდება არა ცალკეული ქვეყნების მუშათა კლასები, არამედ, პირიქით, მსოფლიო პროლეტარიატი აერთიანებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშათა კლასებს. ეს პასუხობს **შრომით კაპიტალსა და მსოფლიოს მასშტაბით არსებულ კაპიტალს შორის არსებული წინააღმდეგობის** განვითარების ობიექტურ კანონებს.

ეროვნული კაპიტალის უარყოფა მსოფლიო კაპიტალის მიერ და ეროვნული შრომის უარყოფა მსოფლიო შრომის მიერ, რაც განპირობებულია წარმოების გლობალური კაპიტალისტური წესით, ობიექტურად განსაზღვრავს მსოფლიოს დაყოფას ორ კლასად.

მსოფლიო კაპიტალიზმში ახდენს საკუთარი თავის უარყოფას კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალის უარყოფის შედეგად. ამრიგად, სწორედ მსოფლიო კაპიტალიზმში ახდენს ყველა ქვეყნის პროლეტართა ობიექტურად გადაქცევას მსოფლიო კლასის რაზმებად. და სწორედ მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტია უქვემდებარებს მთელ მსოფლიოში არსებულ შეგნებულ რაზმებს ერთიან მსოფლიო კლასს. მას ურთიერთშესაბამისობაში მოჰყავს თითოეული ქვეყნის მსოფლიო კლასის ყველა რაზმის ობიექტური და სუბიექტური ხასიათი.

მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მთავარი მიზანია კრიზისებით გაჯერებული გლობალური კაპიტალიზმის პირობებში საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობებს შორის არსებული კლასობრივი ზეწოლით განპირობებული შეუსაბამობის საზოგადოების გაუქმებისთვის ბრძოლა.

კლასობრივი ბრძოლის **მიზანი** დღესდღეობით ეკონომიკური განვითარების კანონის გათავისუფლებაა არა მარტო მსოფლიო კაპიტალისტური კერძო საკუთრებისგან, არამედ მისი შეუსაბამობის გარდაუვლობის გაუქმებაც. ეს ნიშნავს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის აუცილებლობის გაუქმებას. მხოლოდ ამ გზით შეუძლია ეკონომიკური განვითარების კანონს (საწარმოო ძალთა შესაბამისობას საწარმოო ურთიერთობებთან) პროლეტარიატისა და მთელი კაცობრიობის სამსახურში ჩადგომა.

კლასობრივი ბრძოლის **საშუალებად** ამჟამად მსოფლიო ბურჟუაზიის მმართველი კლასის დამხობა და მსოფლიო პროლეტარიატის შეიარაღებული დიქტატურის დამყარება გვევლინება. ეს ნიშნავს მსოფლიო ზედნაშენის (ანუ მსოფლიო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა და ა.შ. საბჭოების მსოფლიო სისტემის) შესაბამისობაში მოყვანას მსოფლიო წარმოების წესთან თითოეულ ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში.

მიზნებისა და საშუალებების ამგვარად კომბინირებისას მსოფლიო კლასობრივი ბრძოლის კანონი მთლიანად იქნება დაცული მიზნის მიღწევის პერიოდში.

მთელი მსოფლიოს მუშათა ბრძოლა ინტერნაციონალურ კლასობრივ ბრძოლად მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიქცევა, თუკი ყველა ქვეყნის მუშათა კლასის პროგრესული წარმომადგენლები მთლიანად გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ თითოეული პროლეტარი მსოფლიო პროლეტარიატს მიეკუთვნება, და თუ ყველა ქვეყნის პროლეტარები თავიანთ ბრძოლას არა მარტო საკუთარი ქვეყნების კაპიტალისტთა წინააღმდეგ, არამედ მსოფლიო ბურჟუაზიის მთელი კლასის წინააღმდეგ მიმართავენ, ისინი გაანადგურებენ მსოფლიო ბურჟუაზიის კლასის ინსტრუმენტებს — მთავრობებსა და მსოფლიო კაპიტალისტურ ასოციაციებს.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ყველა ქვეყნის პროლეტარები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ ისინი მსოფლიო პროლეტარიატის მეზობლი რაზმები არიან, თუკი ისინი საკუთარ ქვეყნებში გამართულ ყოველდღიურ ბრძოლას მსოფლიო ბურჟუაზიისა და ჩაგვრის საერთაშორისო აპარატის წინააღმდეგ მიმართული კლასობრივი ბრძოლის განუყოფელ ნაწილად აღიქვამენ, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, რომ მათი ბრძოლა მსოფლიო კლასობრივ ბრძოლად გადაიქცეს.

ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილება თავისთავად ჯერ კიდევ არაა რევოლუციური არსის მაჩვენებელი. კლასის რევოლუციური ცნობიერება და რევოლუციური ბრძოლა რევოლუციურ ხასიათს განაპირობებენ. ეს შეეხება როგორც ცალკე აღებული ქვეყნის პროლეტარიატს, ასევე მსოფლიო პროლეტარიატს. თითოეული ქვეყნის პროლეტარიატი, რომელიც, რასაკვირველია, მსოფლიო პროლეტარიატის ნაწილია, არ იძენს რევოლუციურ ხასიათს მხოლოდ ამ კუთვნილების საფუძველზე. **არა მარტო კუთვნილება, არამედ, პირველ რიგში, მსოფლიო პროლეტარიატის მსოფლიო-რევოლუციური ცნობიერება და მსოფლიო-რევოლუციური ბრძოლა**

განაპირობებენ მის მსოფლიო-რევოლუციურ ხასიათს. ესაა თანამედროვე სტალინიზმ-ხოჯაიზმის მოძღვრების ანბანი.

და მაინც, ცალკეულ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლის ზოგიერთი გამოვლინება უფრო გაბედულად და ძლიერად გვეჩვენება მთლიანობაში მსოფლიო პროლეტარიატთან შედარებით, თუმცა შეგვიძლია წინასწარ განვჭვრიტოთ, რომ მსოფლიო პროლეტარიატი მსოფლიო რევოლუციისკენ უფრო სწრაფად იწყებს სვლას, ვიდრე ცალკეულ ქვეყნებში რევოლუციებისკენ. ეს ხდება იმიტომ, რომ მსოფლიო კლასობრივი ბრძოლა ჩნდება მსოფლიო კაპიტალისტური წარმოების წესის წინააღმდეგობათა გაღრმავების შედეგად. ეს წინააღმდეგობები ვერ შეედრება კაპიტალისტური წარმოების წესის უწინდელ წინააღმდეგობებს ცალკე ადგილზე ქვეყნებში. ამის გამო მსოფლიო პროლეტარიატი მსოფლიო რევოლუციის ლოკომოტივი, თითოეულ ქვეყანაში მსოფლიო კლასობრივი ბრძოლის წამყვანი ძალა ხდება.

იარაღი, რომლითაც მსოფლიო ბურჟუაზიამ სოციალისტური საზოგადოება განგმირა, ამიერიდან თავად მის წინააღმდეგაა მიმართული.

მსოფლიო ბურჟუაზიამ არა მარტო გამოჰყვია იარაღი საკუთარი თავის წინააღმდეგ, არამედ მოახდინა მსოფლიო კაპიტალიზმის გლობალიზაცია, ვინაიდან იძულებული იყო, მოგების მაქსიმალურად ზრდის კაპიტალისტურ კანონს დამორჩილებოდა.

მსოფლიო ბურჟუაზიამ, ამრიგად, გლობალური ხასიათი შესძინა მსოფლიო არმიას, ვის ხელშიცაა ეს იარაღი, — პროლეტარიატის არმიას.

მსოფლიო ბურჟუაზიის გაერთიანებისა და პოლარიზაციის შედეგებია მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანება და პოლარიზაცია. მსოფლიო ბურჟუაზიის ხელში არსებული მთელ მსოფლიოზე ბატონობის ცენტრალიზაცია მსოფლიო პროლეტარიატის ხელში მსოფლიოზე ბატონობის ცენტრალიზაციას იწვევს.

ცალკეული ქვეყნების მუშებმა ერთხელ უკვე მოიპოვეს დროებითი გამარჯვება, თუმცა ამ გამარჯვების მთავარი შედეგი იყო არა სოციალისტური საზოგადოების აშენება ამა თუ იმ ქვეყანაში, არა მსოფლიო სოციალისტური ბანაკი, არამედ პროლეტარიატის შემდგომი გაერთიანება მომავალ მსოფლიო რევოლუციურ კლასად. პროლეტარიატის გლობალიზაცია აუცილებელი პირობაა მისი ჭეშმარიტი ინტერნაციონალური ძალის წარმოსაქმნელად. ამის გარეშე შეუძლებელია მსოფლიო კაპიტალიზმის საბოლოო დამხობა ისე, რომ ამ უკანასკნელს აღდგენის საშუალება აღარ ჰქონდეს, რასაც ვერაფრით ვერ მოახერხებდა „ცალკე ადგილზე“ ქვეყნის პროლეტარიატი.

დღევანდელი სტალინიზმ-ხოჯაიზმი მსოფლიო პროლეტარიატს ასწავლის, რომ გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში გამარჯვება „ცალკე ადგილზე“ ქვეყანაში სოციალიზმის არსებობის გარეშეა (!!) შესაძლებელი.

გლობალიზაციის კატასტროფული მსოფლიო-იმპერიალისტური წინააღმდეგობები, რომლებიც აუცილებლად ომს გამოიწვევენ, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება — ეს ყველაფერი მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვებას მსოფლიო მასშტაბით არა მარტო შესაძლებელს, არამედ აუცილებელსაც (!!) ხდის.

უწინ გამარჯვება ცალკე ადგილზე ქვეყანაში შესაძლებელი იყო. განვითარებულ ქვეყანათა უმრავლესობის გაერთიანება საჭირო არ იყო ბურჟუაზიაზე გასამარჯვებლად. დღესდღეობით დასუსტებული მსოფლიო ბურჟუაზიის დამარცხება შესაძლებელია ყველა ქვეყნის პროლეტართა გაერთიანებული მოქმედებებით, ვინაიდან გადაგვარებული მსოფლიო იმპერიალიზმი დღესდღეობით ღრმა კრიზისებით, გაჭიანურებული სწეულებითა და მოახლოებული კოლაფსებით ხასიათდება. **სტალინიზმ-ხოჯაიზმი ამ ახალ შესაძლებლობებს განსაზღვრავს როგორც „სოციალიზმის უარყოფის“ უარყოფის განვითარებას „ერთ“ ქვეყანაში.**

ყველა ქვეყნის პროლეტართა მობილურობის ნაკლის მიზეზია მათი არასაკმარისი საერთაშორისო ცენტრალიზება. ამან განაპირობა სიძნელებები სოციალიზმის განვითარებისთვის ცალკე ადგილზე ქვეყანაში, პროლეტარიატის დიქტატურის აღდგენისთვის „ერთ“ ქვეყანაში და ა.შ. ყველა ეს დაბრკოლება გადაილახება ცენტრალიზებული პროლეტარული და კომუნისტური მოძრაობით, რომელიც იმ მსოფლიო კაპიტალიზმის მსოფლიო-ცენტრალიზებულ ძალაუფლებას უპირისპირდება, რომელიც დღითიდღე სულ უფრო და უფრო ღრმა კრიზისებში ეფლობა.

ამასთან ერთად, მსოფლიო პროლეტარიატს შეუძლია წარმოიდგინოს საკუთარი კომუნისტური ინტერნაციონალის გარეშე ბრძოლის ფატალური შედეგებიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში (1943-2000).

ამასთან ერთად, მსოფლიო პროლეტარიატს შეუძლია წარმოიდგინოს ოპორტუნისტთა ღალატის მასშტაბი, რამაც კომინტერნის დაშლა გამოიწვია.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორია გვიჩვენებს, რომ მისი არსებობის უმეტესმა ნაწილმა კომუნისტური ინტერნაციონალის გარეშე ჩაიარა. ამის გამო კომუნისტურ პარტიებს ბრძოლა ცენტრის — მსოფლიო პარტიის — გარეშე უხდებოდათ.

ამ ხარვეზმა თავად მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაზე მოახდინა გავლენა. საბოლოო ჯამში ეს ნიშნავს კომუნისტური ინტერნაციონალის როლის ჯეროვნად შეუფასებლობას როგორც მსოფლიო დონეზე, ასევე „ცალკე ადგილზე“ ქვეყნის დონეზე. და ამას არ შეეძლო, არ გაეცოცხლებინა „სოციალიზმისკენ ეროვნული გზის“ შესახებ არსებული რევიზიონისტული ლოზუნგი.

ამასთან ერთად, მსოფლიო პროლეტარიატს შეუძლია წარმოიდგინოს 2000 წელს კომინტერნის (ს-ს) შექმნის ფასეულობა, რამაც ახალი ერის დასაწყისს დაუდო სათავე.

მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატს, რომელიც განვითარებული იქნება როგორც დამოუკიდებელი ძალა, როგორც საკუთარ ძალებზე დამყარებული კლასი, შეუძლია ყველა ქვეყნის პროლეტართა იმდენად მოქნილი ცენტრალიზების მიღწევა, რომელიც აუცილებელია მსოფლიო პროლეტარიატის სიძლიერის გასამტკიცებლად.

ერთიან კლასს აყალიბებენ არა ყველა ქვეყნის პროლეტარები, არამედ, პირიქით, მსოფლიო პროლეტარიატი აყალიბებს ყველა ქვეყნის პროლეტარებს — ზუსტად ისევე, როგორც ეროვნული კაპიტალი განისაზღვრება კაპიტალის მსოფლიო ფორმით. მსოფლიო პროლეტარიატი ის დომინირებადი ფაქტორია, რომელიც ყველა ქვეყანას მსოფლიო პროლეტარული არმიის რაზმებად აქცევს.

მსოფლიო ბურჟუაზიის არსებობისთვის საჭირო სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პირობები დაანგრია მსოფლიო პროლეტარიატის — საკუთრების გარეშე არსებული კლასის — არსებობის პირობებმა.

ბურჟუაზიას არ ძალუძს მსოფლიოზე ბატონობა, ვინაიდან არ ძალუძს ექსპლუატირებული კლასების ნორმალურად არსებობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა ექსპლუატატორული სისტემის ფარგლებში.

კაპიტალის გლობალიზაცია გაძლიერდა ქვეყნების ექსპლუატაციითა და ჩაგვრით, თანაც შრომა და კაპიტალი ერთიმეორეს მიყოლებით დაასუსტა და უფსკრულის პირამდე მიიყვანა, რის გამოც ისინი ერთმანეთს ღიად დაუპირისპირდნენ.

მსოფლიო კაპიტალიზმს მილიარდიანი მასები ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავს, როდესაც კაპიტალი იძულებულია, გამოკვებოს ისინი და არა მათ ხარჯზე თავად იცხოვროს.

მსოფლიო საზოგადოებას აღარ შეუძლია მსოფლიო ბურჟუაზიის უღელქვეშ ცხოვრება, ვინაიდან არ სურს მსოფლიო კაპიტალიზმთან ერთად დაღუპვა.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციით მსოფლიო ბურჟუაზია საკუთარ თავს დასაღუპავად სწირავს. იგი საკუთარი ხელით „ჭედავს“ კერძო მისაკუთრების წესის ბორკილებს.

მსოფლიო ბურჟუაზია თავადვე წარმოშობს მსოფლიო პროლეტარიატს — თავის მესაფლავეს...

მსოფლიო ბურჟუაზია წარმოშობს კომუნისტურ ბელადებს, რომლებიც აშუქებენ საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევას მსოფლიო მასშტაბში როგორც მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ძირითად საკითხს („ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია“).

საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების გაუქმება მსოფლიო მასშტაბით — ესაა ერთადერთი საშუალება გლობალური კაპიტალისტური დაქირავებული მონობის ბორკილების გასაწყვეტად, და სწორედ ეს მონობა ამდიდრებს და აძლიერებს მსოფლიო ბურჟუაზიას.

გლობალიზაციის პირობებში თითოეული ქვეყნის მუშათა კლასის მოქმედებები დაუყოვნებლივ და გარდაუვლად **გლობალურ** ხასიათს იძენენ.

პირველად ისტორიაში პროლეტართა კლასის ობიექტური გლობალიზაცია მთლიანად პასუხობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ხასიათს. და სწორედ იმის გამო, რომ შესაძლებელია მსოფლიო ბრძოლის ფორმების კომბინირება (!) პროლეტართა კლასის ინტერნაციონალურ ხასიათთან გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში, მსოფლიო პროლეტარული კლასობრივი ბრძოლა თავის მაქსიმალურ გაქანებას პოულობს, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ბურჟუაზიის დამარცხება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. **ამრიგად: კაპიტალისტური გლობალიზაციის დღევანდელი კრიზისი — ესაა მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის დასაწყისი!**

რა არის დღეს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ეკონომიკური საფუძველი?

დღესდღეობით მოწმენი ვხდებით კაპიტალიზმის გლობალური ეკონომიკური კრიზისისა, რაც იმ კონფლიქტის საფუძველზე გაჩნდა, რომელიც განპირობებულია შეუსაბამობით მითვისების კერძო ხასიათსა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, მსოფლიო საწარმოო ძალების საზოგადოებრივ ხასიათს შორის. საწარმოო საშუალებების კერძო ხასიათი მსოფლიო მასშტაბში, ერთი მხრივ, უდიდეს შეუსაბამობაშია წარმოების საზოგადოებრივ ხასიათთან, მეორე მხრივ.

ეს *გლობალური* შეუსაბამობა დღევანდელი გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიზეზიცაა და შედეგიც, და მას საწარმოო ძალების *გლობალურ* დანგრევამდე (ჭარბწარმოება) მივყავართ. სწორედ ესაა *გლობალური* რევოლუციის — მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის — ეკონომიკური ბაზა, რომლის დანიშნულებაა წარმოების დღევანდელი კერძო ურთიერთობების დანგრევა მსოფლიო დონეზე, წარმოების ახალი ურთიერთობების შექმნა, რომლებიც ჰარმონიულად შეერწყმებიან *გლობალურ* საწარმოო ძალებს *მსოფლიო მასშტაბით*.

ამჟამად ვუახლოვდებით ობიექტურ მსოფლიო-რევოლუციურ სიტუაციას, რომელსაც რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის სპეციფიკური სტრატეგია და ტაქტიკა სჭირდება, რომლებიც კომინტერნის (ს-ხ) სტრატეგიისა და ტაქტიკის მსოფლიო მასშტაბით მოქმედების პრინციპს ეფუძნება.

ახლა უნდა განვიხილოთ **მსოფლიო რევოლუციისთვის** საჭირო ობიექტური პირობების არსებობა იმპერიალისტური მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ სისტემაში ზოგადად.

ცალკეული ქვეყნების განვითარებაში დიდი გარეგნული განსხვავებების არსებობის შემთხვევაშიც კი ისინი არ გვევლინება დაბრკოლებად, ვინაიდან გლობალური სისტემა, როგორც ერთი მთლიანი, ობიექტურად მომწიფდა **მსოფლიო რევოლუციისათვის**.

მსოფლიო კაპიტალის ცენტრალიზება სოციალისტური რევოლუციის ცენტრალიზებას მოითხოვს. კაპიტალიზმი გლობალურ კაპიტალიზმს წარმოშობს. სოციალისტური რევოლუცია წარმოშობს გლობალურ სოციალისტურ რევოლუციას — არა უშუალოდ „ერთ“ ქვეყანაში რევოლუციის განხორციელების მეშვეობით, არამედ გლობალური მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგობათა გაუქმების მეშვეობით.

თუ მსოფლიო პროლეტარიატი ერთადერთი ძალაა, რომელსაც მთლიანობაში მსოფლიო საზოგადოების გარეგოლუციონერება შეუძლია, იგი ამავე დროს ის ძალაცაა, რომელიც მსოფლიო რევოლუციას თავისი რევოლუციური მოძრაობის წყაროდ და ბირთვად აქცევს. მსოფლიო პროლეტარიატი გლობალური მობილიზაციით იწყებს და მსოფლიო მასების გამარჯვება მსოფლიოს ყველა ქვეყანამდე მიაქვს.

მსოფლიო პროლეტარიატს სრულიად საკმარისი მატერიალური სახსრები გააჩნია მსოფლიო სოციალიზმის ასაშენებლად. ასე მაგალითად, მსოფლიო პროლეტარიატს შეუძლია და უნდა გადალახოს კიდევ მსოფლიო ბურჟუაზიის ხელისუფლება თავისი კლასობრივი მოკავშირეების დახმარებით და სოციალიზმი კაპიტალიზმისგან მიღებული მემკვიდრეობის ბაზაზე უნდა ააშენოს.

მსოფლიო პროლეტარული კლასის ისტორია — ესაა ცენტრალიზებული მსოფლიო რევოლუციის ისტორია.

მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გლობალიზაცია — აი, რას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა. ესაა ახალი კლასობრივი ურთიერთობების მეცნიერული ბაზა ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის პირობებში, რომელიც კომინტერნის (ს-ხ) ახალ მსოფლიო-რევოლუციურ პოლიტიკას განაპირობებს.

კომინტერნის (ს-ხ) პოლიტიკა — ესაა გლობალური პოლიტიკა, გლობალური პროლეტარული კლასის გლობალური ავანგარდის გლობალური პოლიტიკა, ახალი მსოფლიო პოლიტიკა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებებს ეფუძვნება.

უკანასკნელ ისტორიულ მოვლენათა დიალექტიკა იმაში მდგომარეობს, რომ გლობალურმა კრიზისმა გარდაუვლად გააძლიერა მსოფლიო მონოპოლისტური კაპიტალიზმის მსოფლიო მონოპოლიზმის საზოგადოებრივ საკუთრებად გადაქცევა. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო სოციალიზმის საფუძვლად მყოფი მატერიალური პირობები ყველაზე უფრო ხელსაყრელი ხდება.

მარქსმა უკვე აღმოაჩინა კაპიტალისტურიდან სოციალისტურ საზოგადოებაზე გადასვლის გარდუვალობა, ეკონომიკური მოძრაობის ობიექტური კანონიდან გამომდინარე. მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტურ მანიფესტში“ უკვე აღწერეს კაპიტალიზმის კანონზომიერი ტენდენცია გლობალიზაციისკენ, საიდანაც გამომდინარეობს სოციალიზმის გლობალიზაციის კანონზომიერი ტენდენცია. კაპიტალიზმის გლობალიზაცია უკანასკნელი საფეხურია გლობალური სოციალიზმისკენ მიმავალ გზაზე!

მსოფლიო სოციალიზმი თავისი არსით სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო სახელმწიფო მონოპოლია, რომელიც ყველა ერის მოთხოვნილებებს ემსახურება და რომელიც უკვე აღარაა მსოფლიო კაპიტალისტური მონოპოლია.

დროს ველარ დავკარგავთ, ველარ ვისხდებით გულხელდაკრეფილნი, ველარ შევხედავთ გულგრილად, თუ როგორ მიმდინარეობს მსოფლიო კრიზისი. დღევანდელ მსოფლიო რევოლუციურ სიტუაციას ფენი უნდა ავუწყოთ. უნდა ვიაროთ პირდაპირ, მსოფლიო სოციალიზმისკენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამორჩენილობის უდაბნოში და ნაციონალურ იზოლაციაში დაბუნება მოგვიწევს.

წარმოების გლობალურმა წესმა შეუძლებელი გახადა სოციალიზმის ბრძოლით მოპოვება „ცალკე აღებულ“ ქვეყანაში. თუმცა მსოფლიო მასშტაბით მსოფლიო სოციალისტურ ქვეყნებს გაეხსნა გზა, რომელიც თავისუფალია „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის კურსის ვიწრო ჩარჩოებისგან. მსოფლიო სოციალისტური ქვეყნები — ეს სხვა არაფერია, თუ არა სოციალიზმის იზოლაციის პრობლემის გადაჭრა კაპიტალისტურ-რევიზიონისტულ გარემოცვაში; სხვა არაფერია, თუ არა ცალკეულ ქვეყანაში იმ პროლეტარული დიქტატურის აუცილებლობის დასასრული, რომელიც იძულებულია ხელისუფლება ბურჟუაზიის მსოფლიო დიქტატურას გაუნაწილოს.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი დღესდღეობით გვასწავლის, რომ უარი უნდა ვთქვათ „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ძველ ფორმულაზე და იგი უნდა ჩავანაცვლოთ ახალი ფორმულით — **მსოფლიო-სოციალისტური ქვეყნების შექმნის ფორმულით.** „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების მოთხოვნა სოციალიზმის პირველ ისტორიულ პერიოდში მუშაობდა. გლობალიზაცია განაპირობებს იმ ფაქტს, რომ „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის აშენება უკვე აღარაა მსოფლიო რევოლუციის აუცილებელი ბერკეტი და საფუძველი. „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებამ ერთხელ უკვე გაუწია სამსახური მსოფლიო რევოლუციას. ახლა კი მას აღარ ძალუძს მის სასარგებლოდ მოქმედება, ვინაიდან იგი აღარ არსებობს და აღარც ისე არსებობა შეუძლია, როგორც უწინ ხდებოდა.

სოციალიზმისთვის ბრძოლა დღესდღეობით შეიძლება იყოს მხოლოდ მარში მსოფლიო რევოლუციისკენ, რათა გზა გაკვალოს სოციალიზმის გლობალიზაციისკენ!

ბრძოლა სოციალიზმისთვის დღესდღეობით — ესაა გლობალური პროცესი, რომელსაც გარდაუვლად უპირისპირდება მსოფლიო კაპიტალიზმი, ვინაიდან კრიზისის ნებისმიერი „გამოსწორება“ მომავალში კიდევ უფრო ღრმა კრიზისის განვითარების წინაპირობაა. თავად კაპიტალიზმი ახორციელებს გლობალიზაციის შემდგომი განვითარების ბლოკადას. ესე იგი, მსოფლიო პროლეტარიატი ამ ბლოკადის გამრღვევი გლობალური ძალაა!

სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მსოფლიო პროლეტარული ძალების შეიარაღებას, პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას გლობალურ საწარმოო საშუალებებზე ბატონობის დასამყარებლად, რათა დავიწყოთ საკუთარი გლობალური წარმოების წესით და გზა გავუკვალოთ ახალ მსოფლიო-სოციალისტურ ეკონომიკურ სისტემას. ეს ერთადერთი ალტერნატივაა გარდაუვალი მსოფლიო კაპიტალისტური კრიზისების აღმოსაფხვრელად. ეს ერთადერთი ალტერნატივაა მთელ მსოფლიოში მასების სულ უფრო და უფ-

რო გაძლიერებული გადატაკების დასაძლევად. სხვა გამოსავალი არ არსებობს. ის, ვისაც მსოფლიო სოციალიზმისკენ სიარულისა ეშინია, თავისი საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს!

გლობალიზაციის განხორციელებით კაპიტალიზმმა თავისი უკანასკნელი ვალი მოიხადა. ეს სწორედ ასეა! თავისი უაღრესად ღრმა კრიზისის მომენტში კაპიტალიზმი მთელ გლობალიზებულ მსოფლიოს მსოფლიო რევოლუციის წინაშე აყენებს. სწორედ ამ საფეხურზე ამხობს მსოფლიო პროლეტარიატი მსოფლიო ბურჟუაზიას.

სოციალიზმის გამარჯვება დღესდღეობით სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვებას, რომელიც ეფუძნება მსოფლიოს პროლეტარიატს, როგორც გლობალურ წარმმართველ ძალას, როგორც ახალი მსოფლიო-სოციალისტური ბანაკის მოწინავე ძალას.

თუმცა მსოფლიო ძალაუფლების მოპოვება არაა საკვანძო პრობლემა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროლეტარიატის მილიონობით ჯარისკაცის სიდიადეს. გლობალური ძალაუფლების გავრცელება თითოეულ ქვეყანაზე — აი ესაა უმთავრესი პრობლემა. გავრცელების პროცესი სტრატეგიულად მსოფლიო რევოლუციის ყველაზე სუსტი მომენტია.

თითოეულ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებაში დახმარების აღმოჩენა შესაძლებელი და აუცილებელი მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური ძალაუფლების მეშვეობით ხდება. კაპიტალისტური ქვეყნების მსოფლიო კაპიტალიზმთან (პირველ რიგში) და უკანასკნელის პირველთან (მეორე რიგში) გლობალური ურთიერთკავშირის გაწყვეტა სასიცოცხლო მნიშვნელობის პირობაა თითოეულ ქვეყანაში კაპიტალიზმის დასამარცხებლად.

სხვადასხვა ქვეყნების გაერთიანებული პროლეტარიატი ქმნის გლობალურ გამარჯვების პირობებს როგორც თავიანთ ქვეყნებში გარანტირებული გამარჯვების პირობას. ამრიგად, მსოფლიო პროლეტარიატს სხვადასხვა ქვეყნების პროლეტარებისგან საკუთარ მხრებზე გადააქვს მსოფლიო რევოლუციის ბერკეტისა და საფუძვლის როლი.

მსოფლიო რევოლუციის ბერკეტი და საფუძველი განიხილება არა სტატიკურად, არამედ დიალექტიკურად, საფეხურების სახით, რომლებიც მსოფლიო რევოლუციურ პროცესს გამოხატავენ: ჯერ ერთი, კაპიტალიზმის გლობალურ დამარცხებას; მეორეც, კაპიტალიზმის ნაციონალურ დამარცხებას.

კაპიტალიზმის ცენტრალიზებულად და გლობალურად დასამხობად მსოფლიო პროლეტარიატს ბერკეტი და საფუძველი სჭირდება თავიანთ ქვეყნებში ბურჟუაზიის დასამხობად.

მსოფლიო რევოლუციის ორი ფაზა, ანუ საფეხური, ძირითადად განპირობებულია მსოფლიო კაპიტალიზმის პოლიტიკური ძალაუფლების დანაწილებით, ერთი მხრივ, და კაპიტალიზმით ცალკეულ ქვეყნებში, მეორე მხრივ. ამ მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინების გარეშე პროლეტარიატის საყოველთაო გამარჯვება საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. მსოფლიო რევოლუცია დაწყებასაც კი ვერ მოასწრებს, რომ უმაღლეს დამარცხებული აღმოჩნდება.

აქედან გამომდინარე, თითოეული ბურჟუაზიული სახელმწიფოს გარდაქმნა პროლეტარულ სახელმწიფოდ ერთიანი პროლეტარული მსოფლიო დიქტატურის შესაქმნელად ერთბაშად უნდა განხორციელდეს.

სწორედ ესაა მსოფლიო რევოლუციის მთელი პერიოდის ყველაზე უფრო რთული, ძნელი და სახიფათო მომენტი. კონტრრევოლუციისთვის ეს ყველაზე ხელსაყრელი მომენტია, როდესაც შესაძლებელია მსოფლიო პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების გლობალურად ხელში ჩაგდებისთვის შეწინააღმდეგება და მისი იზოლირება ცალკეულ ქვეყნებში. ძალაუფლების გლობალურად ხელში ჩაგდება მარცხით დასრულდება, თუ კონტრრევოლუცია ცალკეულ ქვეყნებში მის თავიდან აშორებას მოახერხებს.

ამ პრობლემის გადაჭრაში პერმანენტული რევოლუციის მარქსისტული თეორია დაგვეხმარება. საჭიროა მხოლოდ მისი იერსახის შეცვლა დღევანდელი გლობალური პირობების შესაბამისად. ამჟამად მხოლოდ გლობალურ პერმანენტულ სოციალისტურ მსოფლიო რევოლუციაზე ვლაპარაკობთ. ამისათვის კომენტარს გავუკეთებთ კარლ მარქსის შემდეგ გამონათქვამს, რომლისგანაც დღევანდელი მსოფლიო რევოლუციის გლობალურ პერმანენტობას გამოვიყვანთ.

კარლ მარქსი რევოლუციის პერმანენტობას შემდეგნაირად აღწერდა:

„მაშინ როცა დემოკრატიულ წვრილ ბურჟუებს შეძლებისდაგვარად სწრაფად სურთ რევოლუციის დასრულება, უკეთეს შემთხვევაში ზემოხსენებული მოთხოვნების გატარებით [დღეს — სრულიად დაკმაყოფილებიან მსოფლიო პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიის გლობალურად დამხობით. — რედაქტ. შენიშვნა], ჩვენი ინტერესები და ჩვენი ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ რევოლუცია უწყვეტი გავხადოთ [დღეს — განვავრცოთ რევოლუცია ყველა ქვეყანაზე და თითოეულ ქვეყანაში მისი მიღწევები განვამტკიცოთ. — რედაქტ. შენიშვნა] მანამდე, ვიდრე ყველა მეტ-ნაკლებად მდიდარი კლასის ბატონობას წერტილს დავუსვამთ [დღეს — ყველა ქვეყანაში. — რედაქტ. შენიშვნა], ვიდრე პროლეტარიატი სახელმწიფო ძალაუფლებას არ მოიპოვებს, ვიდრე პროლეტართა ასოციაცია არა მარტო ერთ ქვეყანაში [დღეს — არა მარტო მსოფლიო მასშტაბით. — რედაქტ. შენიშვნა], არამედ მსოფლიოს ყველა გაბატონებულ ქვეყანაშიც [დღეს — მსოფლიოს თითოეულ ცალკეულ ქვეყანაში. — რედაქტ. შენიშვნა] იმდენად არ განვითარდება, რომ კონკურენცია პროლეტარებს შორის ამ ქვეყნებში შეწყდება, და რომ, ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტი საწარმოო ძალები [დღეს — ძირითადი გლობალურად გაერთიანებული საწარმოო ძალები. — რედაქტ. შენიშვნა] პროლეტართა ხელში [დღეს — მსოფლიო პროლეტარიატის ხელში. — რედაქტ. შენიშვნა] იქნება კონცენტრირებული“

ლი". (ვ. მარქსი, ფ. ენგელსი. თხზულებები 39 ტომად. რუსულ ენაზე, მე-2 გამოცემა, ტ.7, გვ.261. ცენტრალური კომიტეტის მიმართვა კომუნისტთა კავშირს).

სტალინიზმ-ხოჯაიზმი გვასწავლის, რომ მსოფლიო რევოლუციის პერმანენტობა და თითოეულ ქვეყანაში რევოლუციის პერმანენტობა დიალექტურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

მსოფლიო სოციალიზმის აშენების პერმანენტობის თეორია — ესაა მსოფლიო სოციალიზმის განხორციელებასა და ცალკე ადგილზე ქვეყნებში სოციალიზმის განხორციელებას შორის პერმანენტული შესაბამისობის განხორციელების თეორია.

მსოფლიოს ქვეყნების კომუნისტური პარტიები ფარავენ კომუნისტურ ინტერნაციონალს, სანამ ამ უკანასკნელს იმპერიალიზმის ბასტიონებზე იერიში მიაქვს. თითოეული ქვეყნის კომუნისტური პარტიები განსაზღვრავენ, თუ როგორ დაამყარონ და განამტკიცონ პროლეტარული ძალაუფლების გლობალური ბალანსი თავიანთ ქვეყნებში. მსოფლიო რევოლუციის მომავალი პროცესის წარმატება დამოკიდებულია რევოლუციის განვითარებაზე ცალკე ადგილზე ქვეყნებში. და ბოლოს, მსოფლიო რევოლუციის რევოლუციური **პერმანენტობა** მსოფლიოს ქვეყნებში დამოკიდებულია პროლეტარიატის მთელი მსოფლიო დიქტატურის გამარჯვებაზე ან დამარცხებაზე.

მხოლოდ ცალკეულ ქვეყნებში მიმდინარე სოციალისტურ რევოლუციებს ძალუძთ მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვების დაცვა, კონსოლიდირება და განმტკიცება.

თუმცა აუცილებლად უნდა გვახსოვდეს: შეუძლებელია ამ ყველაფრის მიღწევა იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო პროლეტარიატი არ შეარყევს მსოფლიო კაპიტალიზმის ძალაუფლებას. მსოფლიოს ქვეყნები ვერ მიაღწევენ გამარჯვებას მსოფლიო იმპერიალიზმის ძალაუფლების დანგრევის გარეშე. ესაა მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების ძირითადი წინაპირობა.

მსოფლიო რევოლუციის ორი უმთავრესი ელემენტი — ესენია ძალაუფლების გლობალურად ხელში ჩაგდება და მისი განმტკიცება მსოფლიოს ქვეყნებში.

თუ ამ ორი ელემენტის კომბინირება არ იქნება ჰარმონიული სტრატეგიულად და არ იქნება შესაბამისობაში მოყვანილი მსოფლიო რევოლუციის პროცესის შეცვლილ პირობებთან, სრული გამარჯვება ვერ მიიღწევა. ეს გააჩენს დამატებით სირთულეებს, რომლებიც გასათვალისწინებელია ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კომუნისტური ინტერნაციონალი იარაღის ხელში ადებისკენ მოგვიწოდებს. სხვაგვარად უსარგებლო მსხვერპლს ვერ ავცდებით.

კაპიტალიზმის ფესვების საბოლოო განადგურება სხვადასხვა ქვეყნებში მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური ძალაუფლებით სრულფასოვნად ვერ განხორციელდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ წარმოების გლობალური კაპიტალისტური წესი ჯერ კიდევ არსებული ნაციონალური კაპიტალიზმის ბაზაზე აშენდა. ამის გამო ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია და მისი იგნორირება არ შეიძლება. წარმოების ნაციონალურ წესები ჯერ კიდევ არსებობს და წარმოების გლობალურ წესთან ერთიანდება.

ამათან დაკავშირებით ლენინმა ჩამოაყალიბა უმნიშვნელოვანესი კაპიტალიზმის საყოველთაო კანონი და მისი ორი მიმართულება:

„განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი იცნობს ორ ისტორიულ ტენდენციას ნაციონალურ საკითხში. პირველი: ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და ა.შ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ჭარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ და სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს“ (ვ.ი. ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ქართულ ენაზე. ტ.20, 1951წ., გვ.14. კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე).

მეორე მიმართულება დღევანდელი გლობალიზაციით ხასიათდება. ჩვენ, სტალინისტ-ხოჯაისტებმა, გვერდი არ უნდა ავუაროთ პირველი მიმართულების გავლენის ხანგრძლივობის მნიშვნელობას, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს როგორც კაპიტალიზმის ერთიანი კანონის ნაწილი. სტალინიზმ-ხოჯაიზმი, საყოველთაო გლობალური პირობების გათვალისწინებით, ორივე ტენდენციას ითვალისწინებს.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი — ესაა კაპიტალიზმის ორ მიმართულებას შორის არსებული ანტაგონისტური წინააღმდეგობების გამოყენების თეორია და პრაქტიკა მსოფლიო რევოლუციის სასარგებლოდ!

მსოფლიო იმპერიალიზმი ორ ტენდენციას შორის არსებული ანტაგონისტური წინააღმდეგობებით ხასიათდება და, აქედან გამომდინარე, არ ძალუძს ერების გაერთიანება. პირიქით, მსოფლიო იმპერიალიზმი ეროვნულ ჩაგვრასა და ექსპლუატაციას დაფუძნებული (სტალინი).

„კომუნიზმისათვის, პირიქით, ეს ტენდენციები მხოლოდ ორი მხარეა ერთი და იმავე საქმისა, იმპერიალიზმის უღლისაგან ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების საქმისა, ვინაიდან კომუნიზმმა იცის, რომ ერთიან მსოფლიო მეურნეობაში ხალხთა გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთნდობისა და ნებაყოფლო-

ბითი შეთანხმების საფუძველზე“ (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ქართულ ენაზე, ტ.6, 1949წ., გვ.169. ლენინიზმის საფუძვლების შესახებ).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება გამოხატავს სოლიდარობას ანტიიმპერიალისტურ ძალებთან, მსოფლიო იმპერიალიზმის მიერ ექსპლუატირებულ და დაჩაგრულ ერებთან. სტალინიზმ-ხოჯაიზმი გვასწავლის ჩაგრული და ექსპლუატირებული ხალხების ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გამოყენებას მნიშვნელოვან ბიძგად სოციალისტური რევოლუციისათვის.

რატომ?

გლობალიზაციით კაპიტალიზმმა თავისი კანონი მსოფლიოს ყველა ქვეყანას მოახვია თავს და მნიშვნელოვნად შეცვალა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ხასიათი. ლენინის მიერ აღმოჩენილი კაპიტალიზმის კანონი იმას ნიშნავს, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობათა განვითარების საწყის საფეხურზე მათში ნაციონალური ხასიათი ჭარბობს, მაშინ როცა გლობალიზაცია მათ ინტერნაციონალურებად აქცევს, მათ მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრესირებად ხასიათს სძენს და შედეგად ხალხებს მსოფლიო სოციალიზმისთვის ამზადებს, აახლოებს მათ მსოფლიო პროლეტარიატთან, რომელიც მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებულ ფრონტს აყალიბებს.

მსოფლიო პროლეტარიატისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ურთიერთშერწყმა ერთიან ფრონტად მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ — ესაა სოციალიზმის საყოველთაო კანონის განხორციელების წინაპირობა.

სტალინიზმ-ხოჯაიზმს ესმის როგორც კაპიტალიზმის საყოველთაო კანონი, ასევე სოციალიზმის საყოველთაო კანონი როგორც იმ ობიექტური პროცესების ანარეკლი, რომლებიც რეალობაში, ადამიანის ნებისგან დამოუკიდებლად, მოქმედებენ. ეს არ ნიშნავს, რომ ადამიანები არ მოახდენენ გავლენას ერთი საყოველთაო კანონის მეორეთი შეცვლაზე. ადამიანებს უდავოდ შესწევთ ამ კანონების გაკონტროლების ძალა: მაგალითად, შეასუსტონ მათი მოქმედება, შეზღუდონ კაპიტალიზმის საყოველთაო კანონის ეფექტი და, პირიქით, გააძლიერონ სოციალისტური საყოველთაო კანონის ეფექტი. ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია სოციალიზმისთვის ჩვენი ბრძოლის ბოლომდე მიყვანა, თუ მას სოციალიზმის საყოველთაო კანონის შესაბამისად განვახორციელებთ.

სტალინიზმ-ხოჯაიზმს ლენინური კაპიტალიზმის საყოველთაო კანონიდან სოციალიზმის საყოველთაო კანონი გამოჰყავს.

იგი ორი მიმართულებითაა წარმოდგენილი.

პირველი მიმართულება: სოციალისტური მოძრაობის გაძლიერება ცალკეულ ქვეყნებში, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების სისტემის ჩამოყალიბება ნაციონალურ დონეზე, გეზი სოციალიზმისკენ „ერთ“ ქვეყანაში, ბრძოლა ექსპლუატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ ცალკე აღებულ ქვეყნებში, ბრძოლა თვითგამორკვევისთვის, ბრძოლა რევოლუციებისთვის ცალკეულ ქვეყნებში, სოციალისტური ერების წარმოქმნა, მსოფლიო კაპიტალისტური ჯაჭვის გაწყვეტა, კაპიტალიზმთან თანაარსებობა [ნამგალი, ურო და შაშხანა = პროლეტარიატის დიქტატურას „ერთ“ ქვეყანაში].

მეორე მიმართულება: ერთიანი მსოფლიო პროლეტარიატის გაძლიერება, მსოფლიო სოციალისტური მოძრაობის გაძლიერება, მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გაძლიერება, ნაციონალური ბარიერების დანგრევა მსოფლიო მარქსისტულ-ლენინურ მოძრაობაში, ძირის გამოთხრა ცალკეული ქვეყნების იმპერიალისტურ-რევიზიონისტული გარემოცვისთვის, მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი ჯაჭვის განადგურება მსოფლიო პროლეტარიატის ხელმძღვანელობით მსოფლიოს ხალხთა გაერთიანების გზით, ბრძოლა სოციალიზმისთვის მსოფლიო კაპიტალიზმთან თანაარსებობის გარეშე, ინტერნაციონალური სოციალისტური გაერთიანების შექმნა. ესაა მიმართულება სოციალიზმის ეკონომიკური სისტემისკენ, მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარება სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის, მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოური სისტემის გლობალიზაცია (საყოველთაო ურო, საყოველთაო ნამგალი და საყოველთაო შაშხანა = პროლეტარიატის საყოველთაო დიქტატურა).

პირველი მიმართულება განვითარების ადრეულ საფეხურზე ჭარბობდა, მეორე მათგანი პასუხობს განვითარების მაღალ საფეხურს, სოციალისტურ მსოფლიო საზოგადოებად ტრანსფორმაციას, სოციალიზმისკენ მოძრაობას.

კაპიტალიზმის საყოველთაო კანონის ორი ტენდენციის საპირისპიროდ, სოციალიზმის საყოველთაო კანონი ორ მიმართულებას შორის არაანტაგონისტური ურთიერთქმედების საფუძველზე მოქმედებს.

ჩვენთვის, კომუნისტებისთვის, ეს ორი მიმართულება მხოლოდ ორი მხარეა ერთი მოვლენისა: ყველა კლასობრივი საზოგადოების ანტაგონისტური ხასიათის გარდუქვალობის გადალახვა და, საბოლოო ჯამში, განადგურება. რამეთუ კომუნისტმა იცის, რომ ადამიანებს მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ გათავისუფლება და კომუნისტური მსოფლიოსთვის პირობების ერთობლივად შექმნა. ერებად დაყოფილი მსოფლიო არ შეიძლება თავისუფალი იყოს, სანამ მსოფლიოში სადმე მაინც იარსებებენ ექსპლუატირებულები და დაჩაგრულები.

მსოფლიო სოციალიზმი, რომელიც სოციალისტურ ქვეყნებს ექსპლუატაციას უწყევს და ჩაგრავს, ვერანაირად ვერ იქნება მსოფლიო სოციალიზმი. და პირიქით: სოციალისტური ქვეყანა ვერანაირად ვერ იქნება ჭეშმარიტად სოციალისტური ქვეყანა, თუ იგი სოციალისტურ მსოფლიოს არ ემსახურება.

სოციალიზმის პირველ პერიოდში არსებული ნაციონალური საკითხი, რომელიც მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე წყდებოდა, ვერ გაუთანაბრდება ნაციონალური საკითხის სტალინურ-ხოჯაისტურ გადაწყვეტას მსოფლიო სოციალიზმის პერიოდში. ეს ორი მიდგომა არა მარტო თავიანთი მასშტაბითა და წარმოქმნის პერიოდით, არამედ განსაკუთრებით თავისი შინაგანი ხასიათითაც განსხვავდება.

ვიმეორებთ, რომ ორივე მიმართულება, როგორც ერთი მთლიანის ორი არაანტაგონისტური მხარე, სოციალიზმის საყოველთაო კანონია. ისინი არაა ერთურთისგან ჩინეთის დიდი კედლით გაყოფილი. სოციალიზმის ტენდენცია ერთ ქვეყანაში არ ნადგურდება მეორე მიმდინარეობით, მსოფლიო სოციალიზმით. ჩვენ, მსოფლიო სოციალიზმისთვის მებრძოლები, არავითარ შემთხვევაში არ ვუარყოფთ სოციალიზმს ერთ ქვეყანაში. ჩვენ მხოლოდ მის გათავისუფლებას ვცდილობთ ბორკილებისგან, რისთვისაც მეორე მიმართულებას პრიორიტეტულად გამოვყოფთ სოციალიზმის შემდგომი განვითარების მიზნით.

[მნიშვნელოვანი განმარტება ტერმინისა «ერთი» სოციალისტური ქვეყანა», რომელიც ბრჭყალებში არაორაზროვნადაა ჩასმული.

ეს მარქსისტულ-ლენინური კლასიფიკაციაა, რომელიც იმ სოციალისტურ ქვეყანასთან მიმართებაში იხმარება, რომელიც გარემოცულია მსოფლიო კაპიტალიზმით, კაპიტალისტური ქვეყნებით, განსხვავებით სოციალიზმისგან ერთ ქვეყანაში (ბრჭყალების გარეშე).

ესაა ისეთი სოციალისტური ქვეყნის მეორე მარქსისტულ-ლენინური კლასიფიკაცია, რომელიც სხვა სოციალისტური ქვეყნებითაა გარემოცული. იგი მიეკუთვნება სოციალიზმის მეორე პერიოდის პირობებს — კაპიტალისტურ-რევიზიონისტული გარემოცვის განადგურებას.

ძველი მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობა სოციალიზმის პირველი პერიოდის პირობებში — „ერთ“ ქვეყანაში არსებული სოციალიზმის პირობებში — იბრძოდა. დამამძიმებელი ფაქტორი იყო კაპიტალისტურ-რევიზიონისტული გარემოცვა. მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის განცალკევება ალბანეთისგან — მსოფლიო პროლეტარიატის სამშობლოსგან, გადამწყვეტი დაბრკოლება იყო ძველი მარქსისტულ-ლენინური მოძრაობისთვის მთლიანობაში და „ერთ“ ქვეყანაში არსებული სოციალიზმისთვის კერძოდ.

გლობალურ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში ეს პრობლემა აღარ არსებობს და, აქედან გამომდინარე, ახალ ხასიათს იძენს.

ახალი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა თავის საკუთარ მსოფლიო ცენტრს ქმნის მსოფლიოს ყველა ქვეყნისგან განუყოფლად. იგი იბრძვის გლობალურ დონეზე, კოორდინირდება ერთიანი ცენტრის მიერ და უშუალოდ მსოფლიო სოციალიზმისკენაა მიმართული, გვერდს უვლის რა „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის არსებობის გაძნელებულ პირობებს. იგი იბრძვის მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის გასანადგურებლად მსოფლიო რევოლუციის მეშვეობით, სოციალისტური ქვეყნების მსოფლიოსთვის, გლობალური სოციალიზმისთვის — ბრჭყალების გარეშე!]

ორივე ტენდენცია, ავსებს რა ერთურთს, ერთმანეთს უნდა შეერწყას მსოფლიო კომუნისტური მიმართულებით, მოახდინონ თვითიდენტიფიკაცია და ამის შედეგად გარდაიქმნან კომუნისტური საყოველთაო კანონის საფუძველად. კომუნისტური საყოველთაო კანონი სოციალიზმის მალაღმკვიდრებულ საყოველთაო კანონს ეფუძნება. იგი კლასობრივი საზოგადოების ნაციონალური და სოციალური გადმონაშთების გადალახვაა, იმ მტრული კლასების ნარჩენთა განადგურება, რომლებიც ჯერ კიდევ იზრდებიან ანტაგონისტური წინააღმდეგობებიდან გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის და ა.შ.

მნიშვნელოვანია არა მარტო ის, რომ კაპიტალიზმის საყოველთაო კანონი აუცილებლად შეიცვლება სოციალიზმის საყოველთაო კანონით, არამე ის, თუ როგორ ჩაივლის ტრანსფორმაციის ეს პროცესი.

კაპიტალიზმის საყოველთაო კანონმა ყველა უწინდელი კლასობრივი საზოგადოების ანტაგონიზმების საერთო ხასიათი მსოფლიო მასშტაბით უმაღლეს წერტილამდე გააერთიანა და ამის შედეგად ყველა პირობა წარმოშვა სოციალიზმის საყოველთაო კანონის ასამოქმედებლად. ამრიგად, სოციალიზმის საყოველთაო კანონი კაპიტალიზმის საყოველთაო კანონს ცვლის. ეს უკანასკნელი ყველა პირობას ქმნის იმისთვის, რომ სოციალიზმის საყოველთაო კანონი ამოქმედდეს და გლობალური კლასობრივი საზოგადოების ანტაგონიზმი არაანტაგონისტურ ხასიათად გარდაქმნას.

მსოფლიო სოციალიზმის მთელი პერიოდი დროის დიდ მონაკვეთს იკავებს, რომლის განმავლობაშიც პროლეტარიატის დიქტატურამ უნდა მოასწროს სოციალიზმის საყოველთაო კანონის ცხოვრებაში მთლიანად გატარება, კერძოდ კი, საბოლოოდ გადალახოს არაანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოება და შედეგად უკლასო საზოგადოების საყოველთაო კანონად გარდაიქმნას.

ვიმეორებთ: სოციალიზმის საყოველთაო კანონი გვასწავლის, რომ გლობალური სოციალიზმის აშენება შეუძლებელია მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის მეშვეობით, თუ ბოლოს არ მოვულებთ ძველი კაპიტალიზმის მეტ-ნაკლებად ძლიერ ნიადაგს თითოეულ ქვეყანაში, თუ თითოეულ ქვეყანაში სოციალიზმს მყარ საფუძველზე არ ავაშენებთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო კაპიტალიზმის რესტავრაციამდე და, აქედან გამომდინარე, მსოფლიო რევოლუციის დამარცხებამდე მივალთ. ამრიგად, სოციალისტური მსოფლიო რევოლუციის ამ ფაზას გვერდს ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ავუვლით. ეს განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს თითოეული ქვეყ-

ნის რევოლუციური პროლეტარიატის მხრიდან მთელი მსოფლიო პროლეტარიატისა და მისი ცენტრალიზებული მსოფლიო სოციალისტური სისტემის მიერ ინტერნაციონალური წინამძღოლობის პირობებში.

და ბოლოს, მსოფლიო პროლეტარიატი ამტკიცებს, რომ იგი მსოფლიო რევოლუციის მთელი პროცესის მამოძრავებელი ძალაა.

მსოფლიო რევოლუციის თავისებურებები შემდეგში მდგომარეობს.

ჯერ ერთი, მსოფლიო რევოლუციის თავისებურება იმაშია, რომ იგი სიჩქარეს იკრებს და მანამდე ვითარდება, სანამ ელვისებურ ხასიათს არ მიიღებს. მილიონიან მასებს არ შეუძლიათ თვალის დახამხამებაში მობილიზება. მსოფლიო რევოლუცია იწყება ამა თუ იმ ქვეყნებში, მაგრამ არა ყველა ქვეყანაში ერთდროულად და არც ერთსა და იმავე დროს.

მეორეც, მსოფლიო რევოლუციის თავისებურებაა ის, რომ ეს ერთადერთი რევოლუციაა, რომელიც საზღვრობს გარედან — სხვადასხვა ქვეყნებში მომხდარი რევოლუციებიდან — და არა საკუთარი წიალიდან.

მესამეც, მსოფლიო რევოლუციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ეს ერთადერთი რევოლუციაა, რომელსაც შეუძლია ყველა სხვა რევოლუციების გამარჯვების რეალური გარანტიის მოცემა.

მეოთხე თავისებურება მსოფლიო რევოლუციისა ისაა, რომ ეს ერთადერთი რევოლუციაა, რომელმაც გადაჭრა პროლეტარიატის დიქტატურის კაპიტალისტურ-რევიზიონისტული გარემოცვის პრობლემა. ეს იყო „ერთ“ ქვეყანაში არსებული სოციალიზმის ყველაზე დიდი პრობლემა.

ეს ოთხი თავისებურება ხაზს უსვამს მსოფლიო რევოლუციის მიზანს, კერძოდ კი (1) სოციალიზმის აღდგენას (ბრძოლის დაბრუნებას), (2) მსოფლიო სოციალიზმის შექმნას და (3) მსოფლიო კომუნისმისკენ მიმავალი გზის გათავისუფლებას.

მსოფლიო რევოლუცია არაა რევოლუციის ექსპორტი ერთი ქვეყნიდან მეორეში. ეს არაა ერთმანეთის მიყოლებით მიმდინარე რევოლუციები. მსოფლიო რევოლუცია არ იწყება დედამიწის ერთ ნახევარსფეროში, რათა მეორეში დამთავრდეს. ეს არაა შემთხვევითი მოვლენა, რომელიც რულეტის თამაშს მოგაგონებთ. მსოფლიო რევოლუცია არაა გამოცანის გამოცნობა მისი წარმოქმნის ადგილისა და იმ გზის შესახებ, რომელსაც იგი აიღებს. პროლეტარიატი თავის სტრატეგიულ გამარჯვებებს სპეკულაციების საფუძველზე არ აღწევს.

მსოფლიო რევოლუცია — ესაა მსოფლიო პროლეტარიატისა და მისი კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ რევოლუციის ყველაზე უფრო განვითარებული მარქსისტული მეცნიერების პრაქტიკაში გამოყენება.

მსოფლიო რევოლუცია არის არა თვითმიზანი, არამედ პროლეტარიატის გამარჯვების მისაღწევი საშუალება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

რევოლუცია თავისთავად გლობალური რევოლუციაა, რომელიც ყველა ქვეყანაში მიმდინარე რევოლუციებს გლობალურ, საყოველთაო რევოლუციურ პროცესად აერთიანებს. რაც უფრო მეტ რევოლუციებს მოიცავს იგი, მით უფრო ყოვლისმომცველად და შედეგიანად გარდაიქმნება მსოფლიო მასშტაბით.

მსოფლიო რევოლუცია სისტემატურად და მეცნიერულად იგეგმება კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ და შედეგია მსოფლიო მასშტაბით კომპლექსური სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენებისა. მსოფლიო რევოლუცია — ესაა კლასობრივი ბრძოლის წარმოების გლობალური ხელოვნების დახვეწა, მსოფლიოს პროლეტარული არმიის გლობალური ბრძოლა, შეიარაღებული პროლეტარების მოქმედებათა კოორდინირება მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში.

საქმე მხოლოდ იმაშია, თუ რამდენად ხანგრძლივი იქნება გლობალური რევოლუციური ბრძოლების პერიოდი პროლეტარიატის გამარჯვებებთან და დამარცხებებთან ერთად.

„ერთ“ ქვეყანაში მომხდარ სოციალისტურ რევოლუციას არ შეეძლო „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების გარანტირება. სოციალისტური რევოლუციები ერთმანეთს ყოველთვის აღმავალი ხაზით მიჰყვებიან: მაგალითად, სოციალისტური რევოლუცია რევიზიონისტთა დიქტატურის დასამხობად, კაპიტალისტური რესტავრაციის დახმობა სოციალისტური რესტავრაციის გზით.

ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის რესტავრაცია კი შეუძლებელი აღმოჩნდა. იგი გლობალურ რევოლუციურ პროცესად გარდაიქმნა. ინტერნაციონალური რევოლუცია არავითარ შემთხვევაში არ ახდენს მსოფლიოს თითოეულ ცალკე აღებულ ქვეყანაში რევოლუციის ჩანაცვლებას. პირიქით, მსოფლიო რევოლუცია სტიმულს აძლევს თითოეულ ცალკე აღებულ რევოლუციას და პირიქით.

ამასთან დაკავშირებით უნდა ვთქვათ, პირველ რიგში, შემდეგი: დაიწყეთ მსოფლიო რევოლუციით და მიიღებთ გამარჯვების მომტანი რევოლუციების მხარდაჭერას ცალკეულ ქვეყნებში, რომლებშიც მოსალოდნელი იქნება მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება ამ ქვეყნებში რევოლუციების გამარჯვების გზით.

მეორეც, აუცილებელია შემდეგი გარემოების აღნიშვნაც.

დაიწყეთ მსოფლიო რევოლუციიდან და განავითარეთ იგი, იცით რა, რომ ახლო მომავალში სხვადასხვა ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვების გარეშეც ბრძოლის პირობები დღესდღეობით, იმპერიალიზმის გლობალურად ლპობისა და სიკვდილის პერიოდში, იმდენად ხელსაყრელია, რომ ჯერაც შესაძლებელია გამარჯვების მიღწევა, შემდეგ კი რევოლუციის ხანძრის გაჩაღება ამ ცალკეულ ქვეყნებში. ეს საპირისპირო შემთხვევაა. რატომ?

უფრო მარტივად ვიტყვით, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე.

მსოფლიო პროლეტარიატი ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია მსოფლიო კაპიტალიზმის დამარცხება და, ამრიგად, უმნიშვნელოვანესი მსოფლიო რევოლუციური სუბიექტია. აქედან გამომდინარეობს, რომ მსოფლიო პროლეტარიატმა სოციალისტური მსოფლიო რევოლუცია უნდა დაიწყოს. მსოფლიო პროლეტარიატს გააჩნია საკუთარი მსოფლიო პარტია თავისი რაზმების მობილიზაციისა და ცენტრალიზაციისთვის მსოფლიოს ქვეყნებში ერთიანი კომუნისტური პარტიების მეშვეობით.

თითოეული კომუნისტური პარტიის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა მსოფლიო რევოლუციაში მაქსიმალური წვლილის შეტანა თავიანთი ეროვნული განყოფილებებიდან, რათა მსოფლიო პროლეტარიატს საშუალება ჰქონდეს, თავისი ძალები მაქსიმალურად მოიკრიბოს და გლობალური შეტაკება მოამზადოს, რათა მას საკმარისი ძალა გააჩნდეს იმისათვის, რომ მსოფლიო იმპერიალიზმის ყველა ბასტიონი მთლიანად გაანადგუროს.

მსოფლიო პროლეტარიატის ამა თუ იმ ეროვნულ რაზმს რომც არ ჰქონდეს საშუალება, რათა თავის ქვეყანაში რევოლუციის გამარჯვებას ერთბაშად მიაღწიოს, ნაწილობრივი გამარჯვებაც კი უკვე მიღწეული იქნებოდა, ვინაიდან მსოფლიოს პროლეტარიატის ეს განყოფილებები თავიანთ წვლილს შეიტანდნენ მსოფლიო პროლეტარიატის როგორც ერთი მთლიანის გლობალურ ტრიუმფში.

გამარჯვება უშუალოდ და ერთბაშად მიიღწევა მსოფლიო პროლეტარიატის მიერ, რომელიც გლობალურ გამარჯვებას მიაღწევს. მსოფლიო პროლეტარიატის გლობალურ ძალაზე დაყრდნობით ამ ქვეყნებს ინტერნაციონალური დახმარების იმედიც ექნებათ სოციალისტური რევოლუციის საბოლოოდ გამარჯვებისთვის.

ბოლშევიზმის მსოფლიო ფორმულა სტალინიზმ-ხოჯაიზმს ეფუძნება და კომინტერნის (ს-ხ) მსოფლიო სტრატეგიის მთავარი ღერძია.

უარესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ დღესდღეობით გლობალური კრიზისების პირობებში ვიბრძვით, და რომ გლობალური კლასობრივი ბრძოლის ახალი ფორმების შექმნას ვსწავლობთ ამ გლობალური კრიზისების აღმოსაფხვრელად, და რომ მსოფლიო კაპიტალიზმის ძალაუფლების დამხობა პირდაპირ კავშირშია მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებასთან. ან პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურა, ან კიდევ ბურჟუაზიის მსოფლიო დიქტატურა — სხვა გზა არ არსებობს.

აუცილებელია ყველა გლობალური რევოლუციური ძალის თავმოყრა მსოფლიო იმპერიალისტური სისტემის წინააღმდეგობათა მაქსიმალური დაძაბულობის მომენტში, რათა გავწყვიტოთ ეს უკანასკნელი.

მსოფლიო იმპერიალიზმი იმდენად დასუსტდება, რომ მთელი ჩვენი გლობალური რევოლუციური ძალების დაყოფა მხოლოდ ორ ნაწილად გახდება შესაძლებელი, ვინაიდან რაიმეს გაწყვეტის საუკეთესო გზაა ორი ძალის განლაგება ერთმანეთის საპირისპიროდ და შემდეგ იმპერიალიზმის ყველაზე უფრო სუსტ წერტილებში თავ-თავისკენ გაწევა. მსოფლიო პროლეტარული ფრონტი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი, რომლებიც ერთიან ანტიიმპერიალისტურ ფრონტად გაერთიანდებიან მსოფლიო პროლეტარიატისა და კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით — სწორედ ესაა ის ძალა.

ამრიგად, ორ ნაწილად დაყოფა გარდაუვალია, თუკი მიზნად დასახული გვაქვს იმპერიალისტური ჯაჭვის გაწყვეტა, საბოლოო გაწყვეტა, როცა მისი ყველა რგოლი აქეთ-იქეთ დაიფანტება. ეს აუცილებელია, კაპიტალიზმის საყოველთაო კანონიდან გამომდინარე, რომელსაც გარდაუვლად მივყავართ ანტაგონიზმის აფეთქებამდე ორ მიმართულებას შორის.

მსოფლიო კაპიტალიზმის ყველა ყოფილი რგოლი, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო სოციალიზმის ჯაჭვის რგოლებად ტრანსფორმირდება მსოფლიო პროლეტარიატის ახალი გაერთიანებული ძალების ზემოქმედებით. მისი კლასობრივი ძალების დესტრუქციული ხასიათის ტანსფორმირება კონსტრუქციულ ხასიათად — სწორედ ესაა მსოფლიო პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციური ძალის დიალექტიკა. სწორედ ესაა მსოფლიო რევოლუციის დიალექტიკა, რომელიც დაძაბულობის უმაღლესი წერტილია!

მსოფლიო რევოლუციის პროცესის დიალექტიკა კონკრეტულად შემდეგნაირად განისაზღვრება: ჯერ ერთი, ნაკერები, რომლებითაც იმპერიალიზმის ქსოვილია შეკერილი, ყველაზე უფრო სუსტ ადგილებში უნდა გაიგლიჯოს; მეორეც, გაიყოს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება (ერთიანი ცენტრიდან კოორდინაციის გზით); მესამეც, შეერთდეს რგოლები ახალ მსოფლიო სოციალისტურ ჯაჭვად.

ვემხრობით თუ ვეწინააღმდეგებით გლობალიზაციას ჩვენ?

ჩვენ კაპიტალისტურ გლობალიზაციას ვეწინააღმდეგებით, თუმცა მთლიანად ვემხრობით სოციალისტურ გლობალიზაციას (სოციალიზმის საყოველთაო კანონის მეორე მიმართულების გაძლიერება).

ჩვენი ინტერნაციონალური ბრძოლა არ შემოიფარგლება გლობალური კაპიტალიზმის ყველაზე უფრო ყბადაღებულ ბოროტებებთან ბრძოლით. ჩვენ მსოფლიო რევოლუციის მეზობლები ვართ და არა მსოფლიო რეფორმების. ჩვენ ვიბრძვით კაპიტალიზმის დასანგრევად და არა კაპიტალისტური რეფორმიზმისთვის, როგორც გლობალურ, ასევე ნაციონალურ მასშტაბში.

სტალინურ-ხოჯაისტური ბრძოლა თანამედროვე კაპიტალიზმის ნებისმიერი ფორმის გამოვლინების წინააღმდეგ ძირითადად ისეთი ბრძოლაა, რომელიც ნებისმიერ პირობებში მიმდინარეობს, არაფრით არაა შეზღუდული და პრინციპული და საყოველთაო კლასობრივი ხასიათი გააჩნია!

ჩვენ არ ვაპირებთ ნაციონალური კაპიტალისტური ინტერესების დამცველთა რიგში ჩადგომას გლობალური კაპიტალისტური ინტერესების საპირისპიროდ და პირიქით. მსოფლიო პროლეტარიატი მხოლოდ თავის საკუთარ ინტერესებს იცავს. მსოფლიო პროლეტარიატი საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს კაპიტალიზმის საყოველთაო კანონის ორ მიმართულებას შორის არსებულ ანტაგონიზმს. მართლაც, შეუძლებელია კაპიტალიზმის საყოველთაო კანონის წინააღმდეგ ბრძოლა, თუ იგნორირებას გაუფრთხილებთ ორ მიმართულებას შორის არსებულ ანტაგონიზმს (**ერთი მხრივ**) და გლობალური კაპიტალიზმის შიგნით არსებულ ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს, ისევე როგორც ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს ნაციონალური კაპიტალიზმის შიგნით და ნაციონალურ კაპიტალიზმებს შორის (**მეორე მხრივ**).

დიახ, ჩვენ ვეწინააღმდეგებით საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების გლობალიზაციას, ვეწინააღმდეგებით გლობალურ კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობებს, ვეწინააღმდეგებით გლობალურ დაქირავებულ მონობას, ვეწინააღმდეგებით გლობალიზაციით გაერთიანებულ მსოფლიოში ხალხთა გალატაკებას, ვეწინააღმდეგებით იმპერიალისტური ომებისა და ფაშიზმის გლობალიზაციას, ვეწინააღმდეგებით კაპიტალისტურ მსოფლიო მონოპოლიზმს და ა.შ. და ა.შ. თუმცა ჩვენი ბრძოლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ არ შემოიფარგლება მისი მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებული ფორმებით. ჩვენ ვიბრძვით ნებისმიერი კაპიტალისტური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, ჩაგვრის ნებისმიერი სისტემის წინააღმდეგ, გამონაკლისების გარეშე.

ჩვენ გამოვდივართ როგორც კაპიტალიზმის ნაციონალური ბორკილების, ისე მისი გლობალური ბორკილების წინააღმდეგ, ვინაიდან ჩვენი მიზანი ყოველგვარი ბორკილების აუცილებლობის განადგურებაა, რომლებსაც კაპიტალიზმი პროლეტარიატზე დადებს ცდილობს. აქედან გამომდინარე, ყველაზე დიდი ბოროტება — ესაა ბორკილების გარდუვალობა. ამ გარდუვალობის გადალახვა მოხდება კაპიტალიზმის დანგრევით და მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის აშენებით.

თუმცა ყველაფერი ამით არ მთავრდება.

ვართ რა სტალინისტ-ხოჯაისტები, ჩვენ კარდინალურად განვსხვავდებით გლობალიზაციის ნებისმიერი სხვა მოწინააღმდეგეებისგან სწორედ იმით, რომ ჩვენ ვიბრძვით კაპიტალიზმის გარდუვალობის წინააღმდეგ. სწორედ ამაშია ყველაზე დიდი და ფუნდამენტური განსხვავება.

ჩვენ ვემხრობით არა მარტო კაპიტალიზმის თანამედროვე გლობალური სისტემის გაუქმებას. ჩვენ ვემხრობით მსოფლიო სოციალიზმს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა კაპიტალიზმის საბოლოო განადგურება.

ჩვენ არ ვიზიარებთ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის თანაარსებობის იდეას. ამაში მდგომარეობს ჩვენი ახალი სტალინურ-ხოჯაისტური რევოლუციური პოლიტიკა, ყველა იმ ძალისგან განსხვავებით, რომლებიც იცავენ ორი ანტაგონისტური საზოგადოებრივი ფორმაციის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის — „მშვიდობიანი თანაარსებობის“ ძველ ფორმულას. ჩვენ არასდროს დავივიწყებთ კაპიტალიზმის რესტავრაციას, რომელიც ერთხელ უკვე განხორციელდა. ჩვენ პირდაპირი და არაორაზროვანი პასუხი გვაქვს „ანტიგლობალისტებისთვის“:

პროლეტარიატის პოლიტიკური ძალაუფლება გლობალურად განუყოფელია!

მსოფლიო და მისი გლობალიზაცია განუყოფელია. მსოფლიო პროლეტარიატი და ხალხები უარს ამბობენ კაპიტალიზმზე მთელ მსოფლიოში. მსოფლიოს თავად ხალხები დაინაწილებენ. და ხალხთა შეერთებით თავად მსოფლიოც შეერთდება. მსოფლიო სოციალიზმის ახალი სტალინურ-ხოჯაისტური ფორმულა ასე უღერს:

თითოეული ქვეყნისგან შესაძლებლობათა მიხედვით, თითოეულ ქვეყანას მოთხოვნილებათა მიხედვით!

სოციალისტური გლობალიზაცია ემსახურება ახალი მსოფლიო საზოგადოების შექმნის საქმეს, ყველა ერის დაახლოებასა და საბოლოო შერწყმას ერთიან მსოფლიო კომუნისტურ საზოგადოებად. ეს გლობალიზაცია ემსახურება ერთა ჩაგვრის განადგურების საქმეს, მათი არსებობის გარდუვალობის განადგურების საქმეს.

კომუნისმის ყოველთვის გამოდიოდა გლობალური ეკონომიკური განვითარების ნებისმიერი შემაჩერებელი ან შემაკავებელი მცდელობის წინააღმდეგ (ლენინი). ეს მარქსიზმ-ლენინიზმის ანბანური ჭეშმარიტებაა.

კომინტერნი (ს-ხ) არ აპირებს ეკონომიკური გლობალიზაციისთვის შეწინააღმდეგებას. ეკონომიკური განვითარება ობიექტურ ხასიათს ატარებს, რომლის გაუქმებაც შეუძლებელია (სტალინი), რაოდენ დიდადაც არ უნდა გვსურდეს ეს. ეს მტკიცებულება ჩვენი მსოფლიო სოციალისტური პროგრამის ფუნდამენტური საფუძველია (1928 წლის ძველი კომინტერნის პროგრამა). და ბოლოს, გლობალიზაცია ქმნის ყველა მატერიალურ პირობას მასების მსოფლიო მოძრაობისთვის, რაც აუცილებელია კაპიტალისტური გლობალიზაციის სოციალისტური გლობალიზაციით შესაცვლელად. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ სოციალისტური საწარმოო ურთიერთობები გლობალურ საწარმოო ძალებთან შესაბამისობაში მოვიყვანოთ. ჩვენ ვიბრძვით გლობალური კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობების გასანადგურებლად, არა თავად გლობალიზაციის წინააღმდეგ, არამედ გლობალური სოციალისტური წარმოების წესის გასავითარებლად.

გლობალიზაცია — ესაა კაცობრიობის განვითარების ობიექტური კანონი, რომელსაც ჩვენ, კომუნისტები, არ ვეწინააღმდეგებით, პირიქით, ყველაფერს ვაკეთებთ საწარმოო ძალებთან საწარმოო ურთიერთობების შესაბამისობაში მოსაყვანად მსოფლიო დონეზე. ეკონომიკის საყოველთაო კანონის სულ უფრო და უფრო კარგად ათვისების შემდეგ ვისწავლით მის გამოყენებას მსოფლიო სოციალისტური ეკონომიკის სასარგებლოდ, რათა კომუნისტური გლობალიზაციის გზა გავკვალოთ.

მსოფლიო ბურჟუაზია გლობალიზაციას ეყრდნობა, რათა არ დაემხოს. თუმცა სწორედ გლობალიზაციის გამო დაემხო იგი. დაემხო არა გლობალიზაცია, არამედ კაპიტალიზმი. პროლეტარიატი თავისუფლდება გლობალური კაპიტალიზმისაგან იმ შემთხვევაში, თუ იგი გლობალიზაციას გაათავისუფლებს ბორკილებიდან სოლიარისტური გლობალიზაციის გზით.

პროლეტარიატი — ესაა რევოლუციური ძალა, რომელიც წარმოების მსოფლიო წესს მსოფლიო სოციალიზმის ინტერესებს უქვემდებარებს. მსოფლიო პროლეტარიატი გლობალიზაციის ბატონ-პატრონია.

შევაჯამებთ: ისინი, ვინც მსოფლიო კაპიტალიზმს ეწინააღმდეგება, ჩვენს მხარეზე იბრძობენ. ისინი კი, ვინც პროგრესულ პროლეტარულ გლობალიზაციას „უარს“ უცხადებს, კომუნიზმის მოწინააღმდეგენი არიან და ბარიკადების მიღმა დგანან.

ლენინი „ასიმილაციონის ნაციონალურ საფრთხობელაზე“ ლაპარაკობდა და კრიტიკის ქარცეცხლს კომუნისტური მოძრაობის შიგნით მოკალათებული ნაციონალური ფილისტერებისკენ მიმართავდა:

„რჩება... ის მსოფლიო-ისტორიული ტენდენცია... ერების ასიმილაციისა, რა ტენდენციაც ყოველ ათწლით სულ უფრო მძლავრად იჩენს თავს და წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს მამოძრავებელს, რომელიც კაპიტალიზმს სოციალიზმად აქცევს“ (ვ.ი.ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ქართულ ენაზე. ტ.20, 1951წ., გვ.15. კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე).

სტალინიზმ-ხოჯაიზმი სარგებლის მიღების იდეოლოგიაა გლობალიზაციიდან როგორც მსოფლიო სოციალიზმზე გადასვლის მამოძრავებელი ერთ-ერთი უდიადესი ძალიდან.

ლოზუნგი „გლობალიზაცია ან სოციალიზმი?“ ანტიმარქსისტული, ნეო-რევოციონისტული ან წვრილბურჟუაზიული ლოზუნგია.

ჩვენი კომინტერნის ლოზუნგი ასე უღერს:

„კომუნისტური გლობალიზაცია კაპიტალისტური გლობალიზაციის წინააღმდეგ!“

ჩვენ ვიბრძვით სოციალისტური კლასობრივი ბრძოლის გლობალიზაციისთვის, რათა გავანადგუროთ კაპიტალიზმის გარდუვალობა. ჩვენ ვემხრობით მსოფლიო პროლეტარიატის პოლიტიკური ძალაუფლების გლობალიზაციას. სოციალიზმის გლობალიზაცია — ესაა სოციალიზმის კანონზომიერი გაგრძელება „ერთ“ ქვეყანაში, მსოფლიო სოციალისტური ბანაკის შემდგომი განვითარება, მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული კომუნიზმის აუცილებელი წინაპირობა.

„ბოლშევიზმი საყოველთაო ტაქტიკის ნიმუშია“ (ლენინი).

მსოფლიო ბოლშევიზმი დღევანდელ დღეს — ესაა მსოფლიო პროლეტარული განმათავისუფლებელი ბრძოლის გლობალური ტაქტიკა. ბოლშევიზმი მსოფლიო ტაქტიკა იყო „ერთ“ ქვეყანაში პროლეტარული ძალაუფლების მხარდაჭერის პირობებში. მსოფლიო ბოლშევიზმი — ესაა მსოფლიო ტაქტიკა მთელი პროლეტარიატის მსოფლიო ძალაუფლების მხარდაჭერის პირობებში.

ჩვენ ვემხრობით კლასობრივი წინააღმდეგობების გლობალური ზრდისა და გაძლიერების გამოყენებას. ჩვენ მსოფლიო კრიზისის გაჩაღებას ვცდილობთ. იმაზე, თუ რამდენად წარმატებით ვართმევთ თავს ამ ამოცანას, დამოკიდებულია პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ან დამარცხება!

ესაა ჩვენი როგორც მსოფლიო რევოლუციონერების სამუშაო. კაპიტალიზმის მესაფლავე ვერ იქნება მისი სიკვდილის სარეცელთან მჯდომი ექიმი. ეს რევოციონისტთა სამუშაოა.

ჩვენი მსოფლიო ბოლშევიკური ტაქტიკა შეიძლება შემდეგი ლოზუნგით გამოიხატოს:

„მსოფლიოს პროლეტარებო, შეაერთეთ ყველა ქვეყანა!“

თითოეული ქვეყნის პროლეტარიატი გაათავისუფლებს თავის ქვეყანას, რათა მთელი მსოფლიო გაათავისუფლოს, ისევე როგორც მსოფლიო პროლეტარიატი, თავის მხრივ, განახორციელებს საკუთარი თავის გაათავისუფლებას მსოფლიო კაპიტალიზმის უღლისაგან, რათა თითოეული ქვეყანა კაპიტალიზმის უღლისგან გაათავისუფლოს. ეს ნიშნავს პროლეტარიატის რევოლუციურ გაათავისუფლებას როგორც უცხოური კაპიტალის, ასევე ნაციონალური კაპიტალის ძალაუფლებისგან.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

„მსოფლიოს პროლეტარებო, შეაერთეთ ყველა ქვეყანა!“

თანამედროვე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ამ ორი ტაქტიკის კომბინაცია — აი ესაა მსოფლიო ბურჟუაზიის გლობალური გაერთიანების წინააღმდეგ პროლეტარიატის გლობალური გაერთიანების დიალექტიკური მეთოდი. იგი მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებას ემსახურება. იგი აუცილებელია იმისთვის, რომ ყველა ქვეყანას დაეხმაროს მსოფლიო კაპიტალიზმისგან გაათავისუფლებაში.

მსოფლიო იმპერიალიზმის ზურგი ჯაჭვის უმნიშვნელოვანესი რგოლია.

ჩვენ უნდა ავიღოთ იგი, რათა მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი ჯაჭვი მოვიპოვოთ. სწორედ აქ იწყება მოქმედება მსოფლიო რევოლუციური ბერკეტი. რაც საბჭოთა კავშირისთვის გამოდგებოდა, ის დღესდღეობით გლობალურ დონეზე უნდა გამოვიყენოთ. სტალინიმა წინასწარ განჭვრიტა:

„ორში ერთი: ან ჩვენ იმპერიალიზმის ღრმა ზურგს — აღმოსავლეთის კოლონიურ და ნახევრად-კოლონიურ ქვეყნებს — ვამოძრავებთ, გავარევოლუციურებთ და ამით დავაჩქარებთ იმპერიალიზმის დამხობას, ან ჩვენ აქ საქმე ჩაგვეშლება, და ამით გავამაგრებთ იმპერიალიზმს, ამით დავასუსტებთ ჩვენი მოძრაობის ძალას. ასე დგას საკითხი“ (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ქართულ ენაზე, ტ.5, 1949წ., გვ.263. რკპ(ბ) XII ყრილობა).

სტალინიზმ-ხოჯაიზმს პროლეტარიატის გაერთიანება ესმის როგორც გლობალური პროცესი. მას ორი მხარე აქვს, რომლებიც რთულ ურთიერთქმედებაში იმყოფებიან:

პროლეტარიატის გაერთიანება ერთ ქვეყანაში საკუთარი ბურჟუაზიის დასამარცხებლად (ერთი მხრივ) და ინტერნაციონალური კლასის გაერთიანება მთელი მსოფლიო ბურჟუაზიის დასამარცხებლად (მეორე მხრივ). ერთი მეორეს გარეშე შეუძლებელია. ორივე მათგანი ერთმანეთზეა დამოკიდებული. და ისინი ურთიერთქმედებენ სწორედ იმიტომ, რომ ერთი და იგივე მოვლენის ორ მხარეს შეადგენენ. ეს ყოველ საათში ხდება.

სხვადასხვა ქვეყნის პროლეტართა მომწიფებულობის სხვადასხვა ხარისხებად დალაგების წყარო, გაერთიანებული მსოფლიო პროლეტარიატის მომწიფებულობის უმაღლესი დონის ჩათვლით, დღესდღეობით გაერთიანებული მსოფლიო კაპიტალიზმია ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებით.

მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ ბურჟუაზიას ერთი დარტყმით დაამარცხებს, მაგრამ ვერ გაიმარჯვებს, თუ ეროვნული ბურჟუაზიის ძალებში მსოფლიო კაპიტალიზმი განხეთქილებას დათესავს, რამეთუ სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზია გადაგვარების სხვადასხვა დონეზე იმყოფება.

მსოფლიო ბურჟუაზიის გაერთიანებული მტრები გაიმარჯვებენ ფინალური შეტაკების — მსოფლიო კაპიტალიზმსა და მსოფლიო სოციალიზმს შორის შეტაკების — გადავადების შედეგად. თუმცა ეს წყარო ფართოდება, ღრმავდება და ახალ კომუნისტებს წარმოშობს. შეიძლება უფრო ნელაც, ვიდრე ეს გვსურს, თუმცა მაინც განუხრელად. ეს წყარო ხელს უწყობს მსოფლიო-რევოლუციური მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანებას. იგი ბრძოლაში გამოიბრძმდება და დაქსაქსული მტრის წინააღმდეგ ბრძოლას ისწავლის: „**მსოფლიო პროლეტარიატი ყველა ქვეყანას აერთებს!**“ — *აი, კომუნიზმის წყარო.*

დიდ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებული დამანგრეველი კონკურენცია და მათი საერთო შიში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მიმართ — აი **გლობალური კონტრრევოლუციის მამოძრავებელი ძალები.**

პროლეტარული ძალების ორგანიზებული ერთიანობა და შიშის არარსებობა მსოფლიო კაპიტალიზმის მიმართ — აი **მამოძრავებელი ძალები მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისა, რომლის სათავეშიც გლობალური ინდუსტრიული მუშა დგას!**

**ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ
გლობალური ინდუსტრიული მუშის საკვანძო პოზიციებს
როგორც ჩვენი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ყველაზე უფრო პროგრესულ
მამოძრავებელ ძალას.
რატომ?**

ეს სრულიად გასაგებია: გლობალური ინდუსტრიული მუშა — სწორედ ისაა ყველა მსოფლიო რევოლუციური ძალის გამაერთიანებელი. მსოფლიო კაპიტალისტურმა სისტემამ გლობალური ინდუსტრიული მუშა პირველ გლობალურ მესაფლავედ აირჩია.

მხოლოდ მისი გლობალური მდგომარეობა როგორც გლობალური ინდუსტრიული მუშისა აძლევს მას საშუალებას, რომ გზა გაუკვალოს მუშათა კლასის გლობალურ გათავისუფლებას.

მხოლოდ ინდუსტრიული მუშების გლობალიზაციით იქმნება მატერიალური პირობები მსოფლიო სოციალიზმისათვის. მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებული ინდუსტრიული პროლეტარიატი განდებს მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებული საზოგადოების მატარებელი და მამოძრავებელი ძალა. მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებული ინდუსტრიული პროლეტარიატი ყველაზე უფრო დიდი მწარმოებელი ძალაა. მასზე მოდის არა მარტო უმეტესი ნაწილი მსოფლიოში წარმოებული ღირებულებისა, არამედ შრომის მსოფლიო სოციალურ ორგანიზაციაში უმნიშვნელოვანესი ადგილიც უჭირავს.

ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებული ინდუსტრიული მუშა ყველაზე უფრო პროდუქტიულ ხასიათს ატარებს. აქედან გამომდინარე, იგი ყველაზე უფრო შემოსავლიანია მსოფლიო კაპიტალისტებისთვის, მსოფლიოს სხვა კლასებთან შედარებით. მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული წარმოების წესი თანამედროვე ინდუსტრიულ მუშას გადასცემს საკვანძო როლს მსოფლიო წარმოებაში და, ამასთან ერთად, მას დაქირავებული მონის ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაში აყენებს. ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ ინდუსტრიული მუშა ერთიან მსოფლიო ფრონტზე გამძვინვარებულ კლასობრივ ბრძოლას აწარმოებს.

მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული ინდუსტრიული პროლეტარიატი მთელი მსოფლიო-რევოლუციური ძალების ამოძრავებელს ახდენს, ათავისუფლებს ყველა სხვა პროლეტარული ელემენტის ძალებს. მას წინ მიჰყავს ყველაზე ნაკლებად პროგრესული ელემენტები და ამის შედეგად მსოფლიო პროლეტარიატს ამწიფებს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის. იგი კლასის მამოძრავებელია და საკუთარ თავზე იღებს კლასის მთელი გლობალური მოძრაობის გააქტიურებასა და მობილიზაციას.

მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული ინდუსტრიული მუშა, ამრიგად, ყველა ექსპლუატირებულისა და ჩაგრულის წარმომადგენელია.

მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული ინდუსტრიული მუშა, გარდა ამისა, თითოეული ქვეყნის პროლეტარიატის წარმომადგენელი და გლობალური ბელადია, რომელიც იძულებულია, საკუთარი სამუშაო ძალა გლობალურ კაპიტალიზმს მიჰყიდოს.

ამრიგად, იგი არა მარტო წარმომადგენელი, არამედ მსოფლიო პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის უცვლელი ლიდერია. იგი თანამედროვე მსოფლიო პროლეტარიატის ყველაზე უფრო რევოლუციური ელემენტია.

რეალურად მხოლოდ მას შეუძლია ქვეყნების რევოლუციური გაერთიანების მიღწევა. მის გარეშე სხვადასხვა ქვეყნის პროლეტარიატი ვერ შეძლებს მსოფლიო კაპიტალიზმის ბორკილებისგან გათავისუფლებას.

ამ საუკეთესო რევოლუციური პროლეტარული ელემენტების ორგანიზაციას უპირველესი მნიშვნელობა აქვს ავანგარდის ფორმირებისთვის, კომინტერნისთვის. პროლეტარული ერთიანობის გლობალური ჯაჭვის უმნიშვნელოვანესი რგოლი უდავოდ გლობალური ინდუსტრიული მუშაა. ამ რგოლის გაძლიერება კერძოდ და მთელი ჯაჭვის გაძლიერება მთლიანობაში — აი, როგორ აღწევს გლობალური ერთიანობა მმართველი კლასის პოზიციებამდე.

გლობალური ინდუსტრიული მუშის ცნობიერების გაძლიერების დასაწყისი გლობალური პროლეტარული ერთიანობის დასაწყისი და პროლეტარული მსოფლიო ძალაუფლების დასაწყისია. მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციური გამოფხიზლება გლობალური ინდუსტრიული მუშის გამოფხიზლებიდან იწყება. მსოფლიო რევოლუციის გაგება აბსოლუტურად გამორიცხულია გლობალური ინდუსტრიული მუშის ცენტრალური პოლიტიკური როლის გაგების გარეშე.

ამრიგად, სწორედ გლობალურ ინდუსტრიულ მუშას მოსწონს ყველაზე მეტად ჩვენი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო პოლიტიკა. იგი პირველი რწმუნდება მის სისწორეში. პროლეტარიატის გლობალური ავანგარდის გამოჭედვა ყველაზე უფრო რევოლუციური გლობალური ინდუსტრიული მუშის გამოჭედვით იწყება.

მისი ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია ქვეყნების ერთიანობა.

მისი ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია მსოფლიო კაპიტალიზმის დაძლევა.

მისი ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურა.

მისი ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია ლოზუნგი „მსოფლიო პროლეტარიატო, შეაერთე მსოფლიოს ქვეყნები!“

კომუნისტური ინტერნაციონალი (ს-ხ) მოკლე დროში მიხვდა გლობალური ინდუსტრიული მუშების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ძალების უდიდეს ღირებულებასა და მათ გარეშე სოციალიზმისთვის ბრძოლის შეუძლებლობას. ამის გამო მათი კონკრეტული ინტერესები მსოფლიო პროლეტარიატის მთელი კლასობრივი ინტერესების უმნიშვნელოვანეს ნაწილად მიგვაჩნია. ამის გამო ჩვენ პირველ რიგში დაინტერესებული ვართ მისი მსოფლიო კომუნისტური ცნობიერების განვითარებით.

თუ მხედველობაში მივიღებთ მის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სტატუსს, მაშინ გლობალური ინდუსტრიული მუშა ყველაზე უფრო ახლოს დგას მომავალ უკლასო ინტერნაციონალურ საზოგადოებასთან. უკლასო მსოფლიოს მისეული მსოფლიო რევოლუციური ცნობიერება უღრმესი და უსწრაფესი სახით შეიძლება განვითარდეს.

ამჟამად ყველაზე უფრო რევოლუციური ძალა გლობალური ინდუსტრიული მუშაა! მას უყალიბდება უდიადესი ცნობიერება მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრების შესწავლითა და პრაქტიკაში გამოყენებით. იგი მსოფლიო კომუნიზმის მთავარი მატარებელი და ხელმძღვანელი ელემენტია. თავისი საკუთარი ღონიერი ხელებით და თავისი ხელმძღვანელი როლის პირობებში იგი აშენებს და განამტკიცებს კომუნისტურ ინტერნაციონალურ პარტიას.

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში მსოფლიო პროლეტარიატი საკუთარ თავს ერთადერთ რევოლუციურ კლასად გარდაქმნის. თითოეული ქვეყნის პროლეტარები მსოფლიო რევოლუციური პროცესის ნაწილი მხოლოდ იმიტომ არიან, რომ ისინი მსოფლიო პროლეტარიატის საბრძოლო ერთეულებად გვესახება.

რევოლუციური ძალა, რომლის მატარებელიც თითოეული მუშაა თავისი გლობალური კლასის გასამტკიცებლად, საბოლოო ჯამში თავის საკუთარ გათავისუფლებას ემსახურება. მას ადვილად შეუძლია დარტყმა მთელ კონტრრევოლუციაზე, მთელ რეაქციულ სამყაროზე ხელების ოდნავ განძრევით, ვინაიდან მის უკან მილიონობით ამხანაგი დგას.

ამრიგად, **დღეს**: ენერჯის დაგროვება მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური სიძლიერის დასაგროვებლად, საყოველთაო გამარჯვებისთვის.

ხვალ: ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე.

ზეგ: კიდევ უფრო მეტი სამსახურის გაწევა ინტერნაციონალური კოლექტივის ინტერესებისთვის და, აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტი სამსახურის გაწევა საკუთარი ქვეყნისათვის.

ეს პროგრესული პროცესია, რომელიც თავის უდიდეს ღონეს აღწევს.

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

— და:

„პროლეტარებო, შეაერთეთ ყველა ქვეყანა!“

ესაა ორი ურთიერთშემავსებელი ფორმულა, რომლებიც პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ახალი სულისკვეთების გამოხატულებაა ორი — ნაციონალური და ინტერნაციონალური — მიმართულებით.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, იბრძოლეთ ქვეყნების ერთიანობისთვის მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ!

სწორედ ესაა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უმაღლესი ხარისხი, რომელიც მაქსიმალურ განვითარებას აღწევს მაშინ, როცა მისი მატარებელი მსოფლიო მმართველი კლასია. ესაა მსოფლიო კაპიტალისტური გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ყველა ქვეყნის პროლეტარტა მსოფლიო-რევოლუციური ორგანიზებისთვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიალექტიკური გაშლის ძირითადი იდეა. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო პროლეტარიატს გააჩნია ძალა და, აქედან გამომდინარე, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ცენტრალიზებულად გაერთიანდეს და მსოფლიო დონეზე ორგანიზდეს თითოეული ქვეყნის ყველა რევოლუციური ძალა. მსოფლიო პროლეტარიატმა ერთიანი მუშეტი უნდა დაარტყას მსოფლიო იმპერიალიზმს და არა რომელიმე ცალკე აღებულ ქვეყანაში.

პირველი პირობა პროლეტარიატის რევოლუციური გათავისუფლებისათვის — ესაა ყველა ქვეყნის პროლეტარტა კავშირი. მეორე პირობა — ქვეყნების კავშირი მსოფლიო პროლეტარტის მეშვეობით.

რაც უფრო მეტალია პროლეტარული მსოფლიო ორგანიზაციის დონე, მით უფრო ძლიერია მსოფლიო პროლეტარული მოძრაობა თითოეულ ქვეყანაში.

რაც უფრო განვითარებულია პროლეტარტა კლასის ცნობიერება მსოფლიო დონეზე, მით უფრო მაღალია პროლეტარტა ცნობიერების განვითარების დონე ქვეყნებში.

მსოფლიო პროლეტარტა მსოფლიო რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლას სათავეში უდგას და თითოეულ ქვეყანაში არსებულ მის მეზობელ რაზმებს მეთაურობს.

არ შეიძლება ამის შედარება სოციალიზმთან „ერთ“ ქვეყანაში. „ერთ“ ქვეყანაში მმართველი პროლეტარტის სოციალისტური ცნობიერება რევოლუციური მსოფლიოს წამყვანი ცნობიერება იყო. სოციალიზმი „ერთ“ ქვეყანაში იმ პერიოდში საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის მსოფლიო ცენტრი იყო.

სოციალიზმი „ერთ“ ქვეყანაში უკვე მოძველებულია. მომავალი მხოლოდ მსოფლიო დონეზე არსებულ სოციალიზმს ეკუთვნის. ახალი კომუნისტური მოძრაობის გაძლიერება მისი გაერთიანებული მსოფლიო ცენტრის — კომინტერნის — მეშვეობით მოხდება. და ახალი მსოფლიო ცენტრი, თავის მხრივ, გააძლიერებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გლობალიზაციას.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი — ესაა მსოფლიო პროლეტარტის რევოლუციური თვითგანმსახვრელი კლასობრივი პოზიცია.

მსოფლიო პროლეტარტა უწინ „ერთ“ ქვეყანაში არსებული სოციალიზმის მმართველი პროლეტარტატი, კერძოდ კი, სტალინური მსოფლიო სოციალისტური ბანაკი, ედგა სათავეში. ამჟამად იგი საკუთარ ხელმძღვანელ ძალას ავითარებს და თავადვეა თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესების წარმომადგენელი. თითოეულ ქვეყანაში პროლეტარტა საყოველთაო, გლობალური ინტერესების მატარებელი დღესდღეობით თავად მსოფლიო პროლეტარტატი.

სტალინიზმ-ხოჯაიზმმა სრულყო „იმპერიალისტური ჯაჭვის სუსტი რგოლისა და მისი გაგლეჯვის“ ძველი მარქსისტულ-ლენინური ფორმულა.

ჯაჭვის დამოუკიდებელი რგოლები არ გაათავისუფლებენ ერთმანეთს თავისთავად, ერთმანეთის მიყოლებით, იმპერიალისტური ჯაჭვიდან.

პირიქით, მსოფლიო პროლეტარტის ცენტრალიზებული მოქმედებებით ჯაჭვის ყველა რგოლი ისეთ გლობალურ ძალად ერთიანდება, რომ მთელი იმპერიალისტური ჯაჭვი იშლება. ამ გზით ჯაჭვის ყველა რგოლი ადრე თუ გვიან დაიშლება.

კაპიტალისტური კრიზისების გლობალურ პირობებში სუსტი რგოლი ძლიერდება ყველა დანარჩენ რგოლთან გაერთიანების მეშვეობით. ეს საკმარისია, რათა ძველი ფორმულა შეიცვალოს ახალი ფორმულით — იმპერიალისტური ჯაჭვის როგორც მთლიანის განადგურების ფორმულით.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ცვალებადი გარემოებები: ეს მეტად მნიშვნელოვანია, რამეთუ იმპერიალისტური ჯაჭვის პროგრესირებადი რღვევა ძალიან გაღრმავდა და საკმარისად მომწიფდა განადგურებისთვის.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი გვასწავლის, რომ მსოფლიო სოციალისტური ჯაჭვის ახალი რგოლების გათავისუფლება ორი ასპექტისგან იქნება შემდგარი: ბურჟუაზიულ-რევიზიონისტული გარემოცვის გარდუვალობის განადგურება — (1) გათავისუფლება გარედან; კაპიტალიზმის რესტავრაციის გარდუვალობის განადგურება — (2) გათავისუფლება შიგნიდან. ამრიგად, მსოფლიო რევოლუცია გზას უკაფავს სოციალიზმის საბოლოო და შეუქცევად გამარჯვებას ამ უკანასკნელის კომუნიზმად ტრანსფორმირების მეშვეობით.

თუმცა სტალინიზმ-ხოჯაიზმი არ გვასწავლის, რომ მსოფლიო რევოლუციას შეუძლია მსოფლიო სოციალიზმის საბოლოო და შეუქცევადი გამარჯვების გარანტირება. ეს რევიზიონიზმი იქნებოდა. ეს ფატალური შეცდომა დაუშვა ძველმა კომინტერნმა, როდესაც VII მსოფლიო კონგრესზე საბჭოთა კავშირის საბოლოო და შეუქცევადი „გამარჯვება“ გამოცხადდა. მსოფლიო სოციალიზმის ეპოქაში მხოლოდ დაუნდობელ კლასობრივ ბრძოლას შეუძლია საბოლოო გამარჯვების გარანტირება. აი, რას გვასწავლის სტალინიზმ-ხოჯაიზმი.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი გვასწავლის: თუ მსოფლიო იმპერიალისტური ჯაჭვის სუსტი რგოლის ძალა, რომელიც პირველი ეთიშება ჯაჭვს, განისაზღვრება ჯაჭვის რევოლუციური რგოლების გლობალიზაციის ხარისხით.

იმპერიალისტური ჯაჭვის მხოლოდ გლობალური, საყოველთაო დასუსტებით (გახლეჩვით, დანაწევრებით, დეგრადაციითა და, ბოლოს, საბოლოო დაშლით) ქვეყნები იმპერიალისტური ჯაჭვისგან მოწყვეტის ხელსაყრელ პირობებში ვარდებიან.

მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტია მსოფლიო რევოლუციური სიტუაციის განვითარების პროცესის დაჩქარებისთვის იბრძვის. **დღესდღეობით შესაძლებელი გახდა ჯაჭვიდან რგოლების მოწყვეტა განვითარებული მსოფლიო რევოლუციური პროცესის შედეგად, რაც თავისებური ფინალია.** უწინ „ერთ“ ქვეყანაში არსებულ სოციალიზმს სუსტი რგოლისთვის ათწლეულების მანძილზე უნდა მოეცადა, ვინაიდან მსოფლიო იმპერიალიზმი საკმარისად ძლიერი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კაპიტალისტურ-რევიზიონისტული გარემოცვის ტაქტიკა გამოეყენებინა. თუმცა დღესდღეობით იმპერიალისტური ჯაჭვი საკმარისად დასუსტდა იმისთვის, რომ პროცესი დაჩქარდეს და გაძლიერდეს.

რაც უფრო შეგნებულად უერთდება თითოეული ქვეყნის პროლეტარიატი მსოფლიო რევოლუციას, მით უფრო სწრაფი და სრულფასოვანი იქნება საკუთარი ქვეყნის გათავისუფლება. ამას გლობალური მსოფლიო-რევოლუციური პროცესი გამოიწვევს.

ერთ ქვეყანაში დიქტატურისაკენ მიმავალი პროლეტარიატის გზა აუცილებლად იწვევს მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურას. ამის წყალობით პროლეტარიატის დიქტატურა ერთ ქვეყანაში ახდენს თვითგანსაზღვრებას მთელი მსოფლიო პროლეტარიატის მხრიდან **ხელმძღვანელობისა და მხარდაჭერის** პირობებში.

თუ მშრომელთა ინტერნაციონალური მოძრაობის ისტორია, ისევე როგორც კომუნისტური მოძრაობის ისტორია, თავდაპირველად ნაციონალურ დონეზე განისაზღვრებოდა, გლობალიზაციის თანამედროვე პროცესში ისტორია ეროვნული დაბრკოლებების გადალახვის გზით ვითარდება.

მსოფლიო პროლეტარიატი თავიდანვე იყენებს ფორმულას — *„მსოფლიო პროლეტარიატო, გააერთიანე ყველა ქვეყანა!“* — მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი რევოლუციური საყოველთაო ინტერესების სასარგებლოდ. მსოფლიო რევოლუციის მეორე ფაზაში თითოეული ქვეყნის რევოლუციური ინტერესები დაკმაყოფილდება.

მსოფლიო ბურჟუაზიის დიქტატურის ძალადობრივი დამნობა — ესაა მსოფლიო რევოლუციის ცენტრალური და გადამწყვეტი ამოცანა, მსოფლიო პოლიტიკური ძალაუფლების დამყარების აუცილებელი საშუალება — არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულად. მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება გადამწყვეტი წინაპირობაა თითოეულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთვის გლობალური კაპიტალიზმის მომაკვდავი მსოფლიო სისტემის პირობებში. მსოფლიო სოციალიზმის ეპოქის დასაწყისი ამ გადამწყვეტ პირობაზეა დამოკიდებული. მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების გარეშე მსოფლიო სოციალიზმი შეუძლებელია.

მსოფლიო პროლეტარიატი აერთიანებს თავის ქვეყნებს მსოფლიო რევოლუციისთვის, გარდაქმნის საკუთარ თავს მმართველ კლასად და ძალადობრივი გზით ანადგურებს მსოფლიო კაპიტალიზმის ძველ საწარმოო ურთიერთობებს.

მსოფლიო პროლეტარიატი ანგრევს არა მარტო მსოფლიო-კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობებს, არა მარტო ბურჟუაზიის არსებობის საშუალებებს კერძოდ, არამედ ყველა უწინდელი კლასობრივი საზოგადოებების ქვესტრუქტურებსაც მთლიანობაში. საბოლოო ჯამში მსოფლიო პროლეტარიატი ანადგურებს ყველა კლასს და, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით თავის საკუთარ დიქტატურასაც. კლასებისა და კლასობრივი ანტაგონიზმების მქონე ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ადგილას მოდის მსოფლიო კომუნისტური ასოციაცია, რომელშიც თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა.

„...იმპერიალისტურ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ბრძოლის გაძლიერებადი ინტერნაციონალიზაცია... კომუნისტური ინტერნაციონალის დამფუძნებელ პროგრამას მისი ყველა სექციისთვის აუცილებელს ხდის“ (კომინტერნის პროგრამა, 1928).

მარქსიზმ-ლენინიზმის ზოგადი გადასინჯვა და მსოფლიო-ისტორიული განვითარება სტალინიზმ-ხოჯაიზმად

რევოიონისტებს არ უნდა მიეცეს მარქსიზმ-ლენინიზმის ნილაბქვეშ დამალვის საშუალება. ისინი ამ ნილაბს ძველი მარქსიზმ-ლენინიზმის ნიადაგზე სტალინიზმ-ხოჯაიზმის წინააღმდეგ უფრო წარმატებული შეტევებისთვის იყენებენ.

მარქსიზმ-ლენინიზმის დასაცავად საჭიროა სტალინიზმ-ხოჯაიზმის შემდგომი განვითარება.

ჩვენ რევოიონისტებს ვაძულებთ, რომ გააძლიერონ შეტევები მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის უმაღლეს ფორმაზე — სტალინიზმ-ხოჯაიზმზე. ეს ახალი გზაა მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მემკვიდრეობის გააზრებისთვის რევოიონიზმის წარმატებით გასანადგურებლად.

შეუძლებელია მარქსიზმ-ლენინიზმის დაცვა, თუ სტალინს მხოლოდ ლენინის მოწაფედ განვიხილავთ, თუკი ენვერ ხოჯას მხოლოდ სტალინის მოწაფედ აღვიქვამთ. ჩვენ არ ვუარყოფთ, რომ ორივე მათგანი საუკეთესო მოწაფე იყო. თუმცა სტალინი და ენვერ ხოჯა თავადვე არიან მარქსიზმ-ლენინიზმის ორი კლასიკოსი, ანუ „ოდნავ მეტი“, ვიდრე თავიანთ წინამორბედთა მოწაფეები! რაც არ უნდა იყოს, სტალინმაც და ენვერ ხოჯამაც შეიმუშავეს მარქსიზმ-ლენინიზმის საკუთარი მოძღვრებები — სტალინიზმი და ხოჯაიზმი. ამის გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია. მართლაც, მარქსიზმ-ლენინიზმი არასდროს უარყოფს სტალინისა და ენვერ ხოჯას ცალკეულ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებებს.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი გვასწავლის, რომ ჩვენ ვიბრძვით არა მარტო მარქსის, ენგელსისა და ლენინის მოძღვრებათა საფუძველზე, არამედ სტალინისა და ენვერ ხოჯას მოძღვრებათა საფუძველზეც. მხოლოდ ეს შეიძლება ნიშნავდეს ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა საფუძველზე. ჩვენ ვერ მივიღებთ ამხანაგებს, რომლებიც არ იბრძვიან მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის მხარდამხარ, სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის მხარდამხარ ნეო-რევოიონისტური პარტიების წინააღმდეგ, ნეო-რევოიონისტური მოძრაობების წინააღმდეგ.

უწინ არ გვაშინებდა ახალი მარქსისტულ-ლენინური პარტიების განვითარება და საკუთარი ახალი მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის ორგანიზება, მაშინ როცა თანამედროვე რევოიონისტებს ჩვენი კომუნისტური პარტიებისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დანგრევა უნდოდათ!

მარქსიზმ-ლენინიზმი მაშინ აუცილებელი სადემარკაციო ხაზი იყო კომუნისტთა და თანამედროვე რევოიონიზმს შორის. და დღეს სტალინიზმ-ხოჯაიზმი აუცილებელი სადემარკაციო ხაზია ნეო-რევოიონისტების წინააღმდეგ!

მაშინ ახალი სახელი დავირქვით — მარქსისტ-ლენინელები. ახლა კი?

ვინ აგვიკრძალავს, რომ დავირქვათ ახალი დამატებითი სახელი — სტალინისტ-ხოჯაისტები, რათა მსოფლიო პროლეტარიატმა უკეთ გვიცნოს და მათ თვალში ნეო-რევოიონისტებს გავემიჯნოთ?!

მარქსიზმ-ლენინიზმის უახლესი ისტორია მმართველი პროლეტარიატის გამარჯვების ისტორიაა. ესაა დრო, როდესაც მსოფლიო კაპიტალიზმი ჯერ კიდევ დომინირებადი ძალა და ამის გამო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო, ანტაგონისტური სოციალური ფორმაციის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის — თანაარსებობის პირობებში პროლეტარიატის გამარჯვების პერიოდი იყო.

წარსული სოციალისტური საზოგადოების მმართველი იდეები „ერთ“ ქვეყანაში მმართველი პროლეტარიატის იდეები — ამხანაგ სტალინის სოციალისტური მსოფლიო ბანაკის იდეები — იყო. მოგვიანებით ეს იყო სოციალისტური ალბანეთის იდეები. ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების უმაღლესი ხარისხი.

მას შემდეგ, რაც უკანასკნელ სოციალისტურ ქვეყანაში — ალბანეთში — სოციალიზმი დაემხო, ჩვენ ვიცავდით მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის იდეებს ახალ, გლობალურად გაერთიანებულ მატერიალურ პირობებში. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის იდეა მსოფლიო სოციალიზმის მმართველ იდეად ტრანსფორმირდება.

დღესდღეობით სტალინიზმ-ხოჯაიზმის შესწავლა და გამოყენება — ესაა მსოფლიო პროლეტარიატის შეიარაღება მსოფლიო რევოლუციის იდეოლოგიით, მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული სოციალიზმის იდეოლოგიით.

ჩვენ ვლაპარაკობდით მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ განვითარებაზე, რომლის მეშვეობითაც მთელი მსოფლიოს ცნობიერება რევოლუციონირდება.

ჩვენ ვლაპარაკობთ მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული თანამედროვე მსოფლიო კაპიტალიზმის საზოგადოების მოგერიებაზე — ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო რევოლუციის თეორიის შემდგომ განვითარებაზე ვლაპარაკობთ.

ამის გამო არსებული ფაქტებიდან გავაკეთეთ ის დასკვნა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ძველი ფორმულების, მითითებებისა და დოქტრინების გაქრობა მსოფლიო კაპიტალიზმის ძალაუფლების ეპოქაში არსებობის პირობების გაქრობის პარალელურად მიმდინარეობს, თუნდაც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის თანაარსებობის პირობებში არსებობის ძველი პირობების გაქრობის პარალელურად.

დღევანდელი დღე გლობალიზაციის სამყაროში ხასიათდება ღრმა, კარდინალური ცვლილებებით საზოგადოებაში, ეკონომიკასა და პოლიტიკაში. ეს ცვლილებები გამოწვეულია ღრმა კრიზისებით. გასაკვირი

არაა, რომ ეს ახალი მსოფლიო სიტუაცია გამოხატავს ბრძოლას მარქსიზმ-ლენინიზმის დღევანდელი გარეგნულ-სოციალური მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების შორის.

მსოფლიო პროლეტარიატი ეძებს რადიკალურ გამოსავალს ცხოვრების სწრაფად გაუარესებადი პირობებიდან, ეძებს რევოლუციურ ცვლილებებს მსოფლიო დონეზე. ამის გამო დღევანდელი კომუნისტების მოვალეობაა ახალი რევოლუციური იდეების შექმნა მთელი მსოფლიო პროლეტარიატისთვის.

ამის მიღწევა შეუძლებელია მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი რეკონსტრუქციის გარეშე.

მარქსიზმ-ლენინიზმის გადაიარაღება — აი, ამას ჰქვია სტალინიზმ-ხოჯაიზმი.

სტალინიზმ-ხოჯაიზმის განვითარების დონე მსოფლიო-ბურჟუაზიული იდეოლოგიის ძალაუფლების დამხობას ემსახურება. იდეოლოგიურ ფრონტზე გამარჯვება გზას უკაფავს კლასობრივი ბრძოლის ყველა ფრონტზე გამარჯვებას, გზას უკაფავს უდიადეს გამარჯვებას მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში — მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვებას!

კაპიტალიზმის ლენინისტული საყოველთაო კანონი ორივე ურთიერთმოქმედი მიმართულების (კოსმოპოლიტიზმისა და ნაციონალიზმის) იდეოლოგიურ ანტაგონიზმსაც შეიცავს. ეს ანტაგონიზმი თავის განვითარებასთან ერთად გაფაშისტურებას, ორი პოლუსის ღიად ურთიერთდაჯახებას იწვევს. ბურჟუაზიული იდეოლოგიის კოლაფსი სწორედ იმ მომენტში იწყება, როდესაც იგი მსოფლიო პროლეტარიატზე თავის დომინირებად გავლენას კარგავს, როდესაც მსოფლიო-სოციალისტური ცნობიერება მსოფლიო პროლეტარიატის დომინირებად ცნობიერებად იქცევა. ეს მხოლოდ დროის საკითხია. ბურჟუაზია ველარ შეძლებს თავისი ნეორევიზიონისტული ლაქიების მეშვეობით სტალინიზმ-ხოჯაიზმის შეჩერებას.

ბურჟუაზიამ მშვენივრად იცის, რომ **სტალინიზმ-ხოჯაიზმი მსოფლიო მატერიალური ძალა გახდება, თუკი სოციალიზმის საყოველთაო კანონთან შესაბამისობაში მოსვლას დაიწყებს.**

ბურჟუაზია აუცილებლად ეწინააღმდეგება ამ სახიფათო განვითარებას და მსოფლიო პროლეტარიატის ხელში მოძველებული და დაბლაგვებული იარაღის ჩადებას ცდილობს.

მაინც როგორი შეიძლება იყოს ეს დაბლაგვებული იარაღი? დაბლაგვებული იარაღი — ესაა მარქსიზმ-ლენინიზმის ძველმოდური ფორმულები, რომლებიც ბურჟუაზიისთვის საშიში არაა. ამრიგად, ახალი რევიზიონიზმის ფორმულა შემდეგში მდგომარეობს.

სიტყვით — „მარქსიზმ-ლენინიზმით“ შეიარაღება პროლეტარიატის გათავისუფლების აღმოსაფხვრელად ამ უკანასკნელის ხელში ძველი, დაბლაგვებული მარქსისტულ-ლენინური ფორმულების ჩადებით. საქმით — ამ გამოუსადეგარ იარაღზე მოდებული ჟანგის წითელი საღებავით დაფარვა.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი — **მთლიანობაში** ესაა თავისი განვითარების უმაღლეს დონემდე მისული იგივე მარქსიზმ-ლენინიზმი, მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი განვითარება მიმართველი მსოფლიო პროლეტარიატის გაბატონებულ იდეოლოგიად, რომელიც ბიძგია მსოფლიო სოციალიზმის ეპოქისკენ.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი განვითარების თანამედროვე საფეხურზე მსოფლიო სოციალიზმისკენ მიმავალი სახელოვანი რევოლუციური გზის სულ ბოლო პერიოდს აშუქებს.

ამრიგად, როგორია სტალინიზმ-ხოჯაიზმის განსაზღვრება?

სტალინიზმ-ხოჯაიზმი — ესაა მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის თეორია და ტაქტიკა მთლიანობაში, პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის თეორია და ტაქტიკა კერძოდ.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი — ესაა მსოფლიო კაპიტალიზმის მსოფლიო სოციალიზმად გლობალური ტრანსფორმაციის თეორია და პრაქტიკა.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი — ესაა მსოფლიო პროლეტარიატის **ჰეგემონიის** იდეოლოგია.

კომინტერნი (ს-ხ) არავითარ შემთხვევაში არ აპირებს მარქსიზმ-ლენინიზმის ეჭვქვეშ დაყენებას, არ აპირებს მის შეცვლას რალაცით. ჩვენ ვაპირებთ მის შესაბამისობაში მოყვანას თანამედროვეობასთან. მხოლოდ ეგაა, რომ ჩვენი ოპონენტები ამას „მარქსიზმ-ლენინიზმისგან დაშორებად“ აღიქვამენ. საკითხი სულაც არ დგას როგორც „სტალინიზმ-ხოჯაიზმი ან მარქსიზმ-ლენინიზმი“? საქმე ისაა, რომ მოვახდინოთ კლასობრივი ბრძოლის ცვალებად პირობებთან მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრების ადაპტირება.

სხვა სიტყვებით, კომინტერნი სადემარკაციო ხაზს ავლებს ისეთი ოპონენტების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია სტალინიზმ-ხოჯაიზმის განცალკევება ან მთლიანად გამოთიშვა მარქსიზმ-ლენინიზმისგან, რათა სტალინიზმ-ხოჯაიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის მტრულ იდეოლოგიად მოგვაწოდონ.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი — ეს არაა მარქსიზმ-ლენინიზმის მრავალრიცხოვან მიმდინარეობათაგან ერთ-ერთი. ესაა დღესდღეობით მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის იდეოლოგიის ერთადერთი სწორი განვითარება — სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა.

მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა მხარდაჭერა სიტყვით და სტალინიზმ-ხოჯაიზმის შეურაცხყოფა საქმით — ესაა ოპორტუნისტული დამოკიდებულება მარქსიზმ-ლენინიზმის მიმართ, მარქსიზმ-ლენინიზმის ადაპტაცია ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, მსოფლიო სოციალიზმის ადაპტაცია მსოფლიო კაპიტალიზმთან. სტალინიზმ-ხოჯაიზმის უარყოფა — ესაა მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა უარყოფა.

სტალინიზმ-ხოჯაიზმის დაცვა „მარქსისტ-ლენინელების“ ნიღაბს ამოფარებულ ყველა ჯურის ოპორტუნისტთან იდეოლოგიურად გამიჯვნის გარანტიას იძლევა. ისინი ამახინჯებენ მარქსიზმ-ლენინიზმს, შეუძლებელს ხდიან მის გამოყენებას პრაქტიკაში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის იდეოლოგიურ იარაღად.

დღესდღეობით კომინტერნის (ს-ს) გეგმები ის კი არაა, რომ ფორმალურად დააკანონოს სტალინიზმ-ხოჯაიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ განვითარებად, არამედ ის, რომ გააკეთოს სტალინიზმ-ხოჯაიზმის შესწავლისა და ამ დიადი მოძღვრების მუდმივად განახლების მოწოდება.

ის, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმს თავისი პოლიტიკური ხაზის უცვლელ საფუძვლად თვლის, მას არ შეუძლია სტალინიზმ-ხოჯაიზმზე აკრძალვის დამლის დასმა.

მარქსიზმი თავისთავად ყოველთვის იმარჯვებდა ხოლმე, როცა მარქსისტებს თავისი პოლიტიკური პლატფორმა განითარების უმაღლეს დონეზე აჰყავდათ (ლენინი).

ენვერ ხოჯამ და სტალინმა ისტორიულად დამტკიცეს მარქსიზმ-ლენინიზმის სისწორე სიტყვითაც და საქმითაც. მათ აჩვენეს, რომ რევოლუციონიზმის თავიდან აცილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ კომუნისტური პარტია თავის რევოლუციურ პრინციპებს არ ღალატობს, თუ იგი არ გადაუხვევს ბოლშევიკური ხაზიდან, კლასობრივი ბრძოლის პოლიტიკას ცხოვრებაში ატარებს და ყველა ზომას იღებს იმისთვის, რომ ოპორტუნისტული გადაგვარება თავიდან აიცილოს.

თუმცა მარქსიზმ-ლენინიზმის ისტორიულად დამტკიცებული სისწორე სიტყვითა და საქმით მათი ერთადერთი დამსახურებაა არაა. გარდა ამისა, სტალინიზმ-ხოჯაიზმმა გაამდიდრა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება. ეს დებულება კარდინალურად განგვასხვავებს ეგრეთ წოდებული „მარქსისტ-ლენინელებისაგან“. და ჩვენ მოვახერხებთ ამის ახსნას სხვადასხვა მუშებისთვის.

ეს გადაწყვეტილება სპონტანურად არ მიგვიღია. მის გამომუშავებას ხანგრძლივი დრო დასჭირდა და ლოგიკური შედეგი იყო 2000 წლის 31 დეკემბერს კომინტერნის (ს-ს) ჩამოყალიბების გადაწყვეტილებისა, რათა დაგვეცვა მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი და ენვერ ხოჯა — მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსი.

2009 წლის 7 ნოემბრისა და 2000 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებები ერთმანეთს არანაირად არ ეწინააღმდეგება და ერთმანეთთან რთულ დიალექტიკურ ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

შეუძლებელია ერთ-ერთი ამ გადაწყვეტილებათაგანის მიღება მეორეს მიუღებლად. ისინი ერთმანეთის შემავსებელი ელემენტებია, შეიცავენ ერთსა და იმავე შინაარსს და ჩვენი ორგანიზაციისა და ჩვენი ახალი მოძრაობის განუყოფელ თეორიულ ერთიანობას წარმოქმნიან.

ამის გამო რევოლუციონერი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც თავის რევოლუციურ საქმიანობას კრიტიკულად ალიქვამს. ჩვენ არ გვეშინია თვითკრიტიკისა მარქსიზმ-ლენინიზმის ძველი ფორმულების გადასინჯვის სახით, ვინაიდან ისინი გარდაუვალი და აუცილებელია რევოლუციის განვითარებისათვის.

მარქსიზმი თავისი არსით კრიტიკული იდეოლოგიაა — პროლეტარიატის, როგორც კლასის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის მეცნიერული გამოხატულება. მოძრაობა მხოლოდ მაშინაა რევოლუციური, როდესაც იგი წინ მიიწევს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი განვითარების დახმარებით (ეგრეთ წოდებული მემარჯვენე ან „მემარცხენე“ „რევოზისგან“ და „ევოლუციისგან“ ან ცენტრიზმისგან განსხვავებით, რომელიც მარქსიზმის ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ადაპტაციას გამოხატავს).

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის მტრები უთხრიან ძირს და უქმნიან დაბრკოლებებს მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ განვითარებას. მარქსიზმ-ლენინიზმს სიკვდილით ემუქრება არა შემდგომი განვითარება, არამედ მარქსიზმ-ლენინიზმზე ბურჟუაზიის ტრიუმფი.

აქედან გამომდინარე, ბურჟუაზიის დამარცხება მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი განვითარებით შეიძლება. და პირიქით: ბურჟუაზიას პროლეტარიატის გაკონტროლება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, როცა პროლეტარიატი არ ეყრდნობა მარქსიზმის შემდგომ განვითარებას.

ლენინიზმი მარქსიზმის შემდგომი განვითარება იყო. ლენინიზმის გამარჯვება ნიშნავდა გამარჯვებას ოპორტუნისტებზე, რომლებიც მარქსიზმის შემდგომი განვითარების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

სტალინიზმი შემდგომი განვითარება იყო და ლენინიზმიდან გამომდინარეობდა. სტალინიზმის გამარჯვება ნიშნავდა გამარჯვებას ოპორტუნისტებზე, რომლებიც ლენინიზმის შემდგომი განვითარების წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

ხოჯაიზმი სტალინიზმის შემდგომი განვითარება იყო. ხოჯაიზმის გამარჯვება ნიშნავდა გამარჯვებას ოპორტუნისტებზე (თანამედროვე რევოლუციონისტებზე), რომლებიც სტალინიზმის შემდგომ განვითარებას არ უჭერდნენ მხარს.

დღესდღეობით არსებობენ ოპორტუნისტები, რომლებიც ეთანხმებიან სტალინიზმ-ხოჯაიზმის მოძღვრებას სიტყვით, თუმცა მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობის ცხოვრებაში გატარებაზე გადაჭრით ამბობენ უარს. ამ ოპორტუნისტებმა მშვენივრად იციან, რომ განვითარების გარეშე გადარჩენა არაფერს არ შეუძლია. სტალინიზმ-ხოჯაიზმი სიტყვით — ესაა ანტი-სტალინიზმ-ხოჯაიზმი საქმით!

სტალინიზმ-ხოჯაიზმი უმაღლესი დონეა, თუმცა არც უკანასკნელი ნაბიჯია მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში. მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების ისტორია უწყვეტი პროცესია. მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების ზღვარი არ არსებობს.

მარქსიზმი მარქსამდელ სოციალიზმთან ბრძოლაში ვითარდებოდა. ლენინიზმი მარქსიზმის ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ ვითარდებოდა. სტალინიზმი ვითარდებოდა ლენინიზმის ბურჟუაზიული რევოლუციის

წინააღმდეგ. ხოჯაიზმი — სტალინიზმის ბურჟუაზიული რევიზიის (თანამედროვე რევიზიონიზმის) წინააღმდეგ.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მისი შემდგომი განვითარება მისივე დაცვის განუყოფელი ნაწილია. და მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ჩვენ თვითონ შეგვიძლია მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარება და ჩვენვე ვართ პასუხისმგებელი მის შემდგომ განვითარებაზე. განვითარებაზე შეწყვეტილი მარქსიზმ-ლენინიზმის გამოყენება მართებული არაა.

მთლიანობაში მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარებაში არსებობს გარკვეული მომენტები, რომლებიც თავისთავად მთლიანები არიან, კერძოდ კი ის ხუთი საფეხური, რომლებსაც ხუთმა კლასიკოსმა ჩაუყარა საფუძველი. თუმცა შეუძლებელია ამ განვითარების შეწყვეტა. რევოლუციური მარქსიზმის განვითარების შეჩერება შეუძლებელია და ვერანაირად ვერ შეესაბამება მის ძირითად პრინციპებს.

მარქსიზმ-ლენინიზმი — ესაა დამოუკიდებელი თეორია, პროლეტარიატის იდეოლოგია. მიუხედავად იმისა, თუ როგორ მიიწევს წინ პროლეტარიატის განვითარება გლობალიზაციის პროცესში, როგორ იცვლება კლასობრივი ურთიერთობები გლობალიზაციის პროცესში, როგორ ვითარდება კლასობრივი ბრძოლა გლობალიზაციის შედეგად, პროლეტარიატის იდეოლოგიაც ვითარდება გლობალიზაციის წყალობით. მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებელი მოძღვრება არ ცდილობს გლობალიზაციის შეწყვეტას, იგი ხელს უწყობს მის განვითარებას.

მარქსიზმ-ლენინიზმის განახლების აუცილებლობა, მისი მუდმივი ადაპტაცია იმ კლასობრივი ბრძოლის ცვალებად პირობებთან, რომელსაც იგი ემსახურება — ეს ყველაფერი მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს შეესაბამება.

როგორია მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი განვითარების პრინციპი?

ეს კანონი ნიშნავს იმას, რომ მარქსიზმი დაუმარცხებელია, თუ იგი შეთანხმებულია საზოგადოების ობიექტურ ცვლილებებთან დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მეთოდის გამოყენების გზით. თეორია, რომელიც ფენდაფენ მიჰყვება ობიექტურ ცვლილებებს, მატერიალურ ძალად გარდაიქმნება მასათა ბრძოლის გზით. ობიექტურ განვითარებას ჩამორჩენილი თეორია მატერიალურ ძალად ვერ გარდაიქმნება.

თუმცა, მაინც როგორია მარქსიზმის გენერალური გადასინჯვის პროცესი?

შემდგომი განვითარების აუცილებლობის მთავარი მარქსისტული პრინციპისგან განსხვავებით, მარქსიზმის გენერალური გადასინჯვა მისი მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია.

მარქსიზმის გენერალური გადასინჯვა საჭიროა კრიტიკულ სიტუაციებში, რომლებიც მარქსიზმის ძველ-მოდურ ფორმულებთან და დასკვნებთან მწვავე კონფლიქტების გამო ჩნდება (შეუსაბამობა მსოფლიოში რევოლუციურ ცვლილებებსა და მოძველებულ თეორიას შორის).

ჯერ ერთი, იმ შემთხვევებში, როდესაც ძველი ფორმულები გამოუსადეგარია.

მეორეც, იმ შემთხვევებში, როდესაც ძველი ფორმულები უსარგებლო და არაეფექტური გამოდგა.

მესამეც, (მთავარი), იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი კლასობრივი ბრძოლის მოძრაობის წინ წასული რევოლუციური პროცესების შეჩერებას იწყებენ, როდესაც მარქსიზმი რევიზიონისტების მიერ დატყვევების რისკის წინაშე აღმოჩნდება.

რევიზიონისტებისგან განსხვავებით, რომლებიც მარქსიზმის ხელშეუხებელი და მოქმედი პრინციპების გადასინჯვას ახდენენ მათი გაყალბებისა და განადგურების მიზნით, მარქსიზმის გენერალური გადასინჯვა ნიშნავს მარქსიზმის აღდგენას დაბერების მდგომარეობიდან.

ეს აუცილებლად მოხდება, თუ მარქსიზმი თავის რევოლუციურ პოტენციალს დაკარგავს, თუ მისი შემდგომი განვითარების იგნორირება დაუფიქრებლად მოხდება.

ასეთ შემთხვევებში მარქსიზმის აღდგენა შესაძლებელი გახდება ღრმად ჩამჯდარი ჟანგისგან მხოლოდ ახალი რევოლუციური იდეებით, პრინციპებით, ფორმულებითა და დასკვნებით გაწმენდის მეშვეობით. მარქსისტული თეორია არაა მზად დღევანდელ მსოფლიო რევოლუციურ სიტუაციასთან გასამკლავებლად, ვინაიდან ამხანაგ ენვერ ხოჯას გარდაცვალების შემდეგ მისი შემდგომი განვითარებით არავინ იყო დაკავებული. და ეს — მარქსისტული თეორიის განვითარების უკმარისობა — უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

გენერალური გადასინჯვის პრინციპის გამოყენება ნიშნავს ყოველივე იმის გადაადგებას, რამაც მარქსიზმის მამოძრავებელი ძალა მუხრუჭად აქცია. თეორიულად მარქსიზმ-ლენინიზმის კრიზისის დაძლევა მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის გენერალური გადასინჯვის გზითაა შესაძლებელი. აუცილებელია შეუსაბამობის ლიკვიდირება მარქსიზმ-ლენინიზმის ძველ სტანდარტსა და არსებულ მსოფლიო პირობებს შორის სტალინიზმ-ხოჯაიზმის შემდგომი განვითარების მეშვეობით.

მარქსიზმის ისტორია თავისი განვითარების მრავალ კრიტიკულ პერიოდს იცნობს, როდესაც გენერალური გადასინჯვის პრინციპი მის გარდუვალობას ამტკიცებდა. სერიოზული შესწავლა და აუცილებელი დასკვნების გაკეთება გარდაუვალია.

გლობალური კაპიტალიზმის ეკონომიკური კრიზისის შესწავლა სწორია, თუ იგი გენერალური გადასინჯვის შემადგენელი ნაწილია. მარქსიზმი არ შემოიფარგლება კარლ მარქსის წიგნით „კაპიტალი“. უახლესი ეკონომიკური კვლევები უსარგებლოა, თუ გვერდზე არ იქნება მოსროლილი ძველმოდური სტრატეგია და ტაქტიკა, თუ გამოყენებული იქნება პოლიტიკური კლასობრივი ბრძოლის ძველი ინსტრუმენტები, რომლებიც დღესდღეობით გამოუსადეგარია. ეკონომიზმის არსში ჩადებულია პროლეტარიატის გათავისუფლების

მეცნიერების უარყოფა. ეკონომიზმი უარყოფს ამ რევოლუციურ მეცნიერებას თითქოსდა მუშათა კლასის მოძრაობის სპონტანურობისთვის მისი მავნეობის გამო.

მარქსიზმ-ლენინიზმის გენერალურ გადასინჯვაზე უარის თქმა გამოიწვევს იმას, რომ მოძველებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენება სწორედ იმ შედეგს გამოიღებს, რომელსაც ბურჟუაზია ელოდება: სპონტანური მუშათა მოძრაობის კავშირი მეცნიერულ სოციალიზმთან, რომელსაც ლენინი ითხოვდა, კარიკატურას დაემსგავსება, ცხოვრებაში არ გატარდება და საერთოდ შეუძლებელი გახდება მოძველებული სოციალისტური მეცნიერების გამოყენების გამო.

მუშათა კლასი აქაოდა სპონტანურად ახდენს მსოფლიო სოციალიზმის წინ წაყვანას, მიუხედავად სოციალიზმის მეცნიერების მოძველებული იარაღისა. თუმცა ასეთ შემთხვევაში მსოფლიოს პროლეტარიატს აღარ სჭირდება კომუნისტები. და სწორედ სპონტანური მსოფლიო მუშათა მოძრაობის შიგნით მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის „უსარგებლობის“ „დამტკიცებაა“ ეკონომისტების ძირითადი ამოცანა.

დღესდღეობით გლობალიზაციის კრიზისის ჩვენეული გამოკვლევები ემსახურება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ახალი გენერალური ხაზის შექმნას და უარის თქმას ძველზე, რომელიც აღარ მოქმედებს. ესაა მარქსიზმის გენერალური გადასინჯვის პრინციპის სანახევროდ გამოყენების განსხვავება სრულად გამოყენებისაგან.

არსებობს უამრავი ამხანაგი, რომლებიც სხვა შეცდომას უშვებენ მსოფლიო მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის კრიზისის მიზეზის ძებნისას. ყველაზე ადვილია პასუხისმგებლობის გადაბრალება სხვადასხვა ქვეყნის ამხანაგებზე. ეს არაა ამა თუ იმ ქვეყანაში მარქსიზმ-ლენინიზმის მცდარი გამოყენების მაგალითი (სხვადასხვა პირობებში არასწორად გამოყენების შეცდომები). ეს დიდი შეცდომაა. მარქსიზმ-ლენინიზმის პრაქტიკული გამოყენების სისწორე მისი გამარჯვებისთვის საკმარისი არაა!

გაცილებით უფრო დიდი პრობლემა მარქსიზმ-ლენინიზმის გლობალური გადასინჯვის უკმარისობაა. **მარქსისტული თეორიის უმაღლესი დონე ჩვენი პოლიტიკური ხაზის საფუძველია.**

ამ ამხანაგებს არასწორად ესმით მარქსიზმ-ლენინიზმის ხასიათი, კერძოდ კი თეორიის შემდგომი განვითარების მარქსისტული პრინციპის გამოყენების აუცილებლობა.

ჩვენ, მარქსისტ-ლენინელებმა, უნდა ვიმუშაოთ არა მარტო მარქსიზმ-ლენინიზმის გამოყენების პრაქტიკული მხარეზე, არამედ მის თეორიულ ნაწილზეც.

განვითარების გარეშე თეორია კვდება. მომაკვდავი თეორია ნიშნავს მომაკვდავ მოძრაობას, ნებისმიერი რევოლუციური მოძრაობის სიკვდილს.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის გარდაუვალი შესუსტება შეიძლება შევაჩეროთ მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური ხაზის გენერალური გადასინჯვით. გენერალური გადასინჯვა — ესაა მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის ალდგენის ერთადერთი გზა.

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიამ დიდი მსხვერპლის ფასად დაამტკიცა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომი განვითარების პრინციპის უპასუხისმგებლოდ (ან არასწორად) გამოყენება ჩვენს საკუთარ კატასტროფულ დამარცხებასა და ჩვენი კლასობრივი მტრების გამარჯვებას იწვევს.

ეს კვლავ და კვლავ გარდაუვლად მოხდება, თუკი ვერ შევძლებთ ან არ მოვინდომებთ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ამ უმნიშვნელოვანესი გამოცდილების გამოყენებას.

ახალი ეპოქა ქმნის ახალ რევოლუციურ თეორიებს და ანადგურებს მოძღვრებებს, რომლებიც მხოლოდ წინამორბედი ეპოქისთვის გამოდგებოდა.

უნდა ვალიაროთ, რომ სოციალიზმის განადგურება, „ორი სამყაროს“ შეცვლა მსოფლიო იმპერიალიზმით, გლობალური მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისები და მსოფლიო რევოლუციური სიტუაციების წარმოქმნა — ყველა ამ ისტორიული ცვლილების სათანადოდ ახსნა ძველი ყაიდის მარქსიზმ-ლენინიზმით შეუძლებელია. მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთმა კლასიკოსმა თავიანთი მოძღვრებები თავიანთი საკუთარ ისტორიულ ეპოქაში შეიმუშავეს. მათ წინდაწინ განჭვრიტეს განვითარება ფართო მასშტაბებში, თუმცა მათ არ შეეძლოთ მოვლენათა კონკრეტული ანალიზის გაკეთება. ფაქტობრივად ჩვენვე, მარქსისტ-ლენინელებმა, განვაპირობეთ მარქსისტული თეორიის კრიზისი, ვინაიდან ვერ შევძელით მისი მოძველებული ფორმების დაძლევა.

მარქსისტ-ლენინელები ვერ ჩაიგუებენ პირში წყალს ვეებერთელა შეუსაბამობის მიმართ მარქსიზმ-ლენინიზმის მოძველებულ სტანდარტსა და მსოფლიოში დღევანდელ სიტუაციას შორის. ჩვენ თვითკრიტიკულები უნდა ვიყოთ, ეს კი ჩამორჩენილობის დაძლევის ნიშანია.

თავად კომინტერნის (მ-ლ) არსებობაც მარქსიზმ-ლენინიზმის გენერალური გადასინჯვის აუცილებლობის თვითკრიტიკულ რწმენას ემყარებოდა. ჩვენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის უფრო მაღალ დონეზე აყვანას თითქმის 10 წლის განმავლობაში ვცდილობდით. ჩვენ შემთხვევით არ გვექვია სტალინისტ-ხოჯაისტები. ესაა მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა შემდგომი განვითარების შედეგი. მაინც რისი გაკეთებაა საჭირო გენერალური გადასინჯვის ფარგლებში?

ჯერ ერთი, ყველა იმ თეორემის შენახვა და გაუმჯობესება, რომლებიც მოქმედებდნენ არა მარტო სოციალიზმის პირველ და მეორე პერიოდებში, არამედ ვარგისი არიან მსოფლიო სოციალიზმის პერიოდშიც.

მეორეც, ყველა ძველი დოგმის გვერდზე მოსროლა, რომელთა გამოყენებაც უკვე შეუძლებელია გლობალიზაციის გამო, შეცვლილი მსოფლიო სიტუაციის გამო, შეცვლილი წარმოების წესის გამო და შეცვლილი კლასობრივი ურთიერთობების გამო.

და, მესამეც, აუცილებელია ახალი საბაზო პრინციპების შექმნა იმ ძველი დოქტრინების სრულყოფის მიზნით, რომელთა გამოყენებაც დღესდღეობით შესაძლებელია.

ეს ყველაფერი შესაბამისობაში მოვიყვანეთ გენერალური გადასინჯვის მეთოდთან, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსისგან ვისწავლეთ.

დიახ, ჩვენ არ გაგვივითარებია ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ ენვერ ხოჯას მოძღვრებები ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ. ეს ჩვენი ერთ-ერთი უკანასკნელი შეცდომა იყო, რამაც ოპორტუნისტებს ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის დანგრევის საქმეში დროებით გამარჯვების საშუალება მისცა. ეს მსოფლიო ბურჟუაზიისთვის ოპორტუნისტების მიერ მირთმეული საჩუქარი იყო.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი — ესაა მეცნიერება, მიმდინარეობა, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების უმაღლესი საფეხური. ეს მეცნიერება ერთ ადგილას ვერ გაჩერდება. იგი უნდა ვითარდებოდეს და იხვეწებოდეს კლასობრივი ბრძოლის მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებულ თანამედროვე პირობებთან შესაბამისად.

სტალინის თეორია გვასწავლის:

„მარქსიზმს როგორ მეცნიერებას არ შეუძლია ერთ ადგილზე დგომა, — იგი ვითარდება და იხვეწება. თავისი განვითარების გზაზე მარქსიზმს არ შეუძლია არ გამდიდრდეს ახალი გამოცდილებით, ახალი ცოდნით, — აქედან გამომდინარე, მისი ცალკეული ფორმულები და დასკვნები შეუძლებელია არ შეიცვალოს დროის მსვლელობასთან ერთად, შეუძლებელია არ ჩანაცვლდეს ახალი ფორმულებითა და დასკვნებით, რომლებიც ახალ ისტორიულ ამოცანებს უპასუხებენ. მარქსიზმი არ აღიარებს უცვლელ დასკვნებსა და ფორმულებს, რომლებიც ყველა ეპოქისთვის და პერიოდისთვის აუცილებელი იქნება. მარქსიზმი ყოველგვარი დოგმატიზმის მტერია“ (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. რუსულ ენაზე, ტ.16, 1997წ., გვ.136. წერილი ამხანაგ ა. ხოლოპოვს).

დღესდღეობით ეს ნიშნავს სტალინიზმ-ხოჯაიზმის შემდგომ განვითარებას მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებულ გამოცდილებასთან და ცოდნასთან შესაბამისად და ახალი თეორიებისა და დასკვნების გამომუშავებას.

ის, ვინც ამის უარყოფას ცდილობს ე.წ. „მარქსისტულ-ლენინური“ არგუმენტებით, სტალინის თქმით, მარქსიზმის მტერი და დოგმატიკოსია.

დოგმატიკოსები — ესენი არიან მარქსიზმ-ლენინიზმის ნიღაბს ამოფარებული ლაჩრები, რომლებიც ბურჟუაზიის წინაშე თავიანთი კაპიტულაციის გამართლებას ცდილობენ.

ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის დაბლაგვებულ, მოძველებულ და ვადაგასულ დოქტრინებს იცავს, ის იცავს ბურჟუაზიას და არა პროლეტარიატს. ჩვენს ახალ ფორმულებს მუშათა კლასს ჩვენ ამხანაგურად და მოთმინებით ვუხსნით.

თუმცა ჩვენ უკომპრომისო ბრძოლას ვაწარმოებთ არა მარტო დოგმატიზმის (ერთი მხრივ), არამედ რევიზიონიზმის (მეორე მხრივ) წინააღმდეგ.

რაც შეეხება დოგმატიზმსა და რევიზიონიზმს გენერალური გადასინჯვის საკითხთან მიმართებაში, მათი მიდგომები სხვადასხვაგვარადაა აგებული.

ერთი მხრივ, დოგმატიკოსებს, გენერალური გადასინჯვის შესაჩერებლად, შემდეგი მომენტი მოჰყავთ: გადასინჯვები ყოველთვის „უპრინციპო“ და „ზედაპირული“ საქმეა და, ასე განსაჯეთ, „რევიზიონისტულიც“.

ამასობაში „რევიზიონისტები“, თავის მხრივ, სიტყვიტყველად ყოველთვის გენერალური გადასინჯვის მომხრეებად გვევლინებიან, საქმით კი ცხოვრებაში ბურჟუაზიულ რევიზიას ატარებენ (მარქსიზმ-ლენინიზმის რევიზიონისტული გენერალური გადასინჯვა). პირველებიც და მეორეებიც ერთი და იმავე მიზანს ემსახურებიან: მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების შეწყვეტას. ეს სხვა არაფერია, თუ არა მსოფლიო პროლეტარიატის პირდაპირ დამარცხებისკენ წაყვანა.

ცენტრისტების ამოცანა კი ახალი თეორემების ძველებთან შედუღებაა. არადა შეიძლება რამდენიც გნებავთ იმდენი ახალი ღირსშესანიშნავი მარქსისტული იდეის განვითარება და რამდენიც გნებავთ იმდენი ბრწყინვალე მსოფლიო-რევოლუციური ლოზუნგის წამოყენება და ამ ყველაფრის ეფექტურობა მაინც ნულამდე დავა თითოეული ვადაგასული იდეის მოქმედებით, თითოეული მოძველებული ლოზუნგით, რომელიც გვერდზე დროულად არ მოისროლეს. არსებობენ ცენტრისტები, რომლებსაც ამ შეცდომიდან პრინციპი გამოჰყავთ, და ჩვენ უნდა ვამხილოთ და ვებრძოლოთ ასეთი ცენტრისტული გენერალური გადასინჯვის ამ ანტიმარქსისტულ და ეკლექტიკურ მეთოდს.

ჩვენ, სტალინისტ-ხოჯაისტები, ნეო-რევიზიონისტულ მსოფლიო მიმდინარეობებს, რომლებიც გვიტყვენ როგორც „სექტანტებს“, მათ „გაერთიანებულ ფრონტებს“ გარედან ვანგრევთ.

„ერთიანობისა და ბრძოლის“ სახელით ისინი ნამდვილ ერთიანობასა და ნამდვილ ბრძოლას შუაზე ხლიჩავენ რევიზიონისტებთან გაერთიანების მეშვეობით, მსოფლიო რევოლუციაზე უარის თქმის მეშვეობით. ნეო-რევიზიონისტებში შერწყმულია მარქსიზმ-ლენინიზმის დეფორმაციისა და დეგრადაციის პროცესები. და ჩვენ, ჩვენი მხრიდან, ვახდენთ აღდგენისა და ახალი თეორიული საწყისების პროცესთა ურთიერთშერწყმას.

აქამდე მარქსისტულ-ლენინური თეორია ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით კი ორი სოციალისტური ქვეყნის — ლენინურ-სტალინური საბჭოთა კავშირისა და ენვერ ხოჯას ალბანეთის — მუშათა გამოცდილების უდავოდ მეცნიერული განზოგადება იყო.

პროლეტარიატის გლობალურად გაერთიანებული იდეოლოგიის ამოსავალია ის კლასი, რომელიც თავადვე გლობალურად ერთიანდება. ამ კვლავ წარმოქმნილი გლობალურად გაერთიანებული იდეოლოგიიდან

პროლეტართა კლასი ავითარებს მსოფლიო რევოლუციის საკუთარ ცნობიერებას, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის უფრო განვითარებული იდეებით — სტალინიზმ-ხოჯაიზმით — შეიარაღდება.

თავად გლობალურად გაერთიანებული მუშათა კლასის არსებობა განსაზღვრავს მის გლობალურად გაერთიანებულ ცნობიერებას, ღირსშესანიშნავ ცნობიერებას, რომელიც უწინდელ მსოფლიო-რევოლუციურ ცნობიერებას ვერ შეედრება.

დღეს ოქტომბრის რევოლუციის 92-ე წლისთავია. ლენინი და სტალინი ოქტომბრის რევოლუციის მსოფლიო მასშტაბით გაშლას გვასწავლიდნენ. **გამარჯვებისმომტანი დიადი ოქტომბრის თეორია უკვდავია.** თუმცა გამარჯვება უკვდავად მხოლოდ მაშინ რჩება, როდესაც მისი მსოფლიო რევოლუციური თეორიის გამოყენება სწორად მოიაზრება არსებული პირობების ფარგლებში. იმ პერიოდში რუსული პროლეტარიატი რუსულ ბურჟუაზიას ებრძოდა, დღესდღეობით კი მთელი მსოფლიო ებრძვის მსოფლიო ბურჟუაზიას.

ხელისუფლების სათავეში მყოფი თანამედროვე რევიზიონისტების კოლაფსის შემდეგ თანამედროვე რევიზიონისტების როლი ნეო-რევიზიონისტებმა გადაიბარეს, რათა სიტყვით ოქტომბრის რევოლუცია „დაიცვან“, პრაქტიკაში კი ამ უკანასკნელს უღალატონ. განა სრულიად ნათელი არაა, რომ ჩვენ ვაძლიერებთ ჩვენს ბრძოლას, რომლის მიზანია წითელი ოქტომბრის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით, და რომ ოპორტუნისტებს დუმილს ვაიძულებთ? განა სრულიად ნათელი არაა, რომ ოპორტუნისტების დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუკი მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის თეორიას ვავითარებთ? ნეო-რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლის გარეშე ოქტომბრის რევოლუციის დაცვა შეუძლებელია. სხვაგვარად მის ისტორიულ ფინალს ვერ მივალწევთ, მსოფლიო ბურჟუაზიას ვერ დავამარცხებთ.

აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება.

მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორია მიიღწევა:

— ჯერ ერთი, თუ იგი მეცნიერულად ახსნის, თუ როგორ შეიცვალა გლობალური მსოფლიო რევოლუციის ობიექტური ფაქტორები;

— მეორეც, თუ იგი სწორად ასახავს და მეცნიერულად დაასაბუთებს დამდეგ ახალ გლობალურად გაერთიანებულ მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას ამ უკანასკნელის ზოგად ფორმასა და მის გამოცდილებასთან შესაბამისად.

ეს ნიშნავს შემდეგს.

მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორია წინსვლას გააგრძელებს, თუ იგი მსოფლიო რევოლუციის ობიექტურ გლობალურ ფაქტორსა და გლობალურ სუბიექტურ ფაქტორს შესაბამისობაში მეცნიერულ დონეზე მოიყვანს. სხვა სიტყვებით, ოქტომბრის რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორია მსოფლიო რევოლუციის გზამკვლევი მისი შემდგომი განვითარების გზაზე სტალინიზმ-ხოჯაიზმის მეშვეობით.

მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მარქსისტულ-ლენინური თეორია ვერ გაიმარჯვებს:

— ჯერ ერთი, თუ გვერდს აუვლის გლობალიზაციის პირობებში ახალი მსოფლიო პროლეტარული მოძრაობის გამოცდილებას;

— მეორეც, თუ იგი უარს იტყვის „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის წარსული პერიოდის ხმარებიდან გამოსული და ძველი დოქტრინების გადასინჯვაზე, თუ იგი თავადვე დაწყებს გენერალური გადასინჯვის უარყოფას, რომელიც აუცილებელია სტალინიზმ-ხოჯაიზმის შემდგომი განვითარებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის სახელმძღვანელო პრინციპები იმ სახით, როგორც ისინი „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის პერიოდში განვითარდა, აბსოლუტურად აუცილებელ გადასინჯვას დაექვემდებარება, რათა ისინი გლობალურ დონეზე დაიხვეწოს.

ჩვენ ახალი დებულებები უნდა გამოვიმუშაოთ, რათა მსოფლიო რევოლუციისა და მსოფლიო სოციალიზმზე გადასვლის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი გადავჭრაო. სოციალიზმის მოსვლას და, შედეგად, მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ განვითარებას თავისი ფორმა უნდა შეეცვალა, მიეღო გლობალურად გაერთიანებული ფორმა — სტალინიზმ-ხოჯაიზმის ფორმა. მარქსიზმ-ლენინიზმს თავიდან უნდა მოეშორებინა თავისი ძველი ფორმა, რომელიც პასუხობდა „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის მოდელს, ანუ სოციალიზმის პირველ პერიოდს.

რაში მდგომარეობს სტალინიზმ-ხოჯაიზმის მსოფლიო თეორიის ძალა?

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო თეორიის ინტერნაციონალური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ იგი კომუნისტურ ინტერნაციონალს (ახალი ტიპის) საშუალებას აძლევს, აეწყოს გაერთიანებული მსოფლიო სიტუაციის შესაბამისად; და როს მას ესმის მსოფლიო მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულება, და რომ მას შეუძლია ინტერნაციონალურ მოვლენათა გეზის წინასწარ განჭვრეტა და იცის არა მარტო ის, თუ როგორ და როდის ვითარდება მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ და როდის განვითარდება ისინი მომავალში.

მხოლოდ ახალი ტიპის კომუნისტურ ინტერნაციონალს, დახვეწილ სტალინურ-ხოჯაისტურ მსოფლიო თეორიას შეუძლია დამაჯერებლად წინსვლა და მსოფლიო პროლეტარიატისთვის გზის გაკვლევა. და პირიქით — კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც არაა დახვეწილი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო თეორიის მიერ, ბრმად ივლის ერთი და იგივე წერტილის გარშემო, დაკარგავს თვითდაჯერებულობას საკუთარ მოქმედებებში და ვერ მოახერხებს მსოფლიო პროლეტარიატის ხელმძღვანელობას.

სტალინისეული განსაზღვრება:

„მარქსიზმის თეორია შეისწავლის, უწინარეს ყოვლისა, ობიექტურ პროცესებს მათს განვითარებასა და კვდომაში და განსაზღვრავს განვითარების ტენდენციას, მიუთითებს ამა თუ იმ კლასზე ან კლასებზე, რომლებიც გარდუვალად მიდიან ძალაუფლებისაკენ ან რომლებიც გადუვალად ეცემიან, უნდა დაეცნენ“ (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ქართულ ენაზე, ტ.5, 1949წ., გვ. 67-68. ბროშურის — „რუსი კომუნისტების პოლიტიკური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ“ — გეგმის მონახაზი).

ლენინი წინასწარმეტყველებდა: „ობიექტური ისტორიული ვითარება სხვანაირი გახდა“ (ვ.ი. ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ქართულ ენაზე. ტ.21, 1951წ., გვ.169. სხვისი დროშით). რასაკვირველია, ეს მარტებუღია ჩვენს დროშიც:

„უდავოა, ჩვენ ორი ეპოქის მიჯნაზე ვცხოვრობთ, და უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები, ჩვენ თვალწინ რომ ხდება, შეიძლება გავიგოთ მხოლოდ მაშინ, თუ ანალიზს გავუკეთებთ, უწინარეს ყოვლისა, ერთი ეპოქიდან მეორეზე გადასვლის პირობებს. ლაპარაკია დიდ ისტორიულ ეპოქებზე; თვითეულ ეპოქაში არის ხოლმე და იქმნება ცალკეული, ნაწილობრივი მოძრაობა ხან წინ, ხან უკან, არის ხოლმე და იქნება სხვადასხვა გადახვევა მოძრაობის საშუალო ტიპიდან და საშუალო ტემპიდან. ჩვენ არ შეგვიძლია ვიცოდეთ, რა სისწრაფითა და რა წარმატებით განვითარდება ამა თუ იმ ეპოქის ცალკეული ისტორიული მოძრაობა. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ და ვიცით, თუ რომელი კლასი დგას ამა თუ იმ ეპოქის ცენტრში და განსაზღვრავს მის მთავარ შინაარსს, მისი განვითარების მთავარ მიმართულებას, მოცემული ეპოქის ისტორიული ვითარების მთავარ თავისებურებებს და ა.შ. მხოლოდ ამ ბაზაზე, ე.ი. თუ გავითვალისწინებთ უწინარეს ყოვლისა სხვადასხვა „ეპოქის“ (და არა ცალკეული ქვეყნების ისტორიის ცალკეული ეპიზოდების) განსხვავების ძირითადი ნიშნები, შეგვიძლია სწორად ავაგოთ ჩვენი ტაქტიკა; და მხოლოდ მოცემული ეპოქის ძირითადი ნიშნების ცოდნა შეიძლება გამოადგეს ამა თუ იმ ქვეყნის უფრო დეტალურ თავისებურებათა გათვალისწინების ბაზად“ (ვ.ი. ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ქართულ ენაზე. ტ.21, 1951წ., გვ.164. სხვისი დროშით).

ჩვენს პლატფორმაში ვცადეთ, რომ დიდი ყურადღება დაგვეთმო ლენინის სიტყვებისთვის დღევანდელი მსოფლიო პროლეტარიატის მსოფლიო სოციალიზმისკენ მიმავალი მსოფლიო-ისტორიული გზის გაშუქების მეშვეობით.

ახლა უკვე უშუალოდ ჩვენ წინაშე შეგვიძლია დავინახოთ მსოფლიო საზოგადოების ეპოქა მისთვის დამახასიათებელი წარმოების გლობალური წესებით. ჩვენ ვხედავთ ახალ გლობალურ ინდუსტრიულ მუშას როგორც მსოფლიო პროლეტარიატის მამოძრავებელ რევოლუციურ ძალას, რომელიც ეპოქას ქმნის. დღესდღეობით მსოფლიო სოციალიზმის შუქი უკვე გამოკრთის გლობალურად გაერთიანებული კაპიტალიზმის დამტვერიანებული და ტალახიანი ფანჯრებიდან და იგი ჩვენთან საკმაოდ ახლოსაა.

II

ახალი ტიპის სტალინურ-ხოჯაისტური ორგანიზაცია

„პროლეტარული ინტერნაციონალი არ დალუპულა და არც დაიღუპება“

ლენინმა ეს თქვა 90 წლის წინ, კომინტერნის დაარსებისას.

კომინტერნი (ს-ბ) — ესაა მსოფლიოში ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ჯეროვნად აფასებს კომინტერნის სახელოვან დროშას, რომელმაც აქტიურად მიმართა მთელი თავისი მუშაობა რეკონსტრუქციისაკენ და ამ საქმეს უკვე 10 წელია აკეთებს.

რასაკვირველია, ჩვენ სრულებითაც არ ვაპირებდით 90-ე წლისთავის „დავიწყებას“, თუმცა მეტისმეტად დიდი დრო დავხარჯეთ იმათ გამოსავლენად, ვისაც ეს ისტორიული მოვლენა დაავიწყდება. მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში ლამისაა ერთ რევოლუციურ ორგანიზაციასაც არ აღუნიშნავს ეს უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა. არც ერთ ორგანიზაციას არ აღუნიშნავს კომინტერნის შექმნის ლენინისეული საქმის გაგრძელების აუცილებლობა. არც ერთ ორგანიზაციას არ ულაპარაკია საჯაროდ ყველაზე უფრო საჭირობო როტო საკითხის — კომინტერნის რეორგანიზაციის პრობლემის — შესახებ. პრაქტიკულად არ აღმოჩნდა არც ერთი საერთაშორისო ძალა, რომელმაც მხარი დაგვიჭირა კომუნისტური ინტერნაციონალის რეორგანიზების საქმეში. ასეთია სიტუაცია ამჟამად. განა შეუძლიათ მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის ამჟამინდელ ოპორტუნისტულ ბელადებს ამ დუმილზე უფრო ქვემოთ დაცემა მსოფლიო პროლეტარიატისთვის ეგზომ მნიშვნელოვან პერიოდში?

მიუხედავად ყველაფრისა!

ლენინისა და სტალინის კომუნისტური ინტერნაციონალის ძველი მსოფლიო

კომუნისტური მოძრაობა ჯერ კიდევ ცოცხალია!

კომინტერნს არასდროს შეუწყვეტია არსებობა და მარად იცოცხლებს!

მიუხედავად ყველაფრისა!

ლენინმა III ინტერნაციონალის ისტორიული პოზიცია შემდეგნაირად დაახასიათა:

„პირველმა ინტერნაციონალმა საფუძველი ჩაუყარა პროლეტარულ, საერთაშორისო ბრძოლას სოციალიზმისათვის.

მეორე ინტერნაციონალი იყო ნიადაგის მომზადების ეპოქა მთელ რიგ ქვეყნებში მოძრაობის ფართო, მასობრივი გავრცელებისათვის.

მესამე ინტერნაციონალმა შეითვისა II ინტერნაციონალის მუშაობის ნაყოფი, მოჰკვეთა მისი ოპორტუნისტული, სოციალ-შოვინისტური, ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სიბილწე და დაიწყო პროლეტარიატის დიქტატურის განხორციელება...

III, კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიწყო მარქსის უდიდესი ლოზუნგის განხორციელება, ლოზუნგისა, რომელმაც შეაჯამა სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საუკუნოვანი განვითარება, ლოზუნგისა, რომელიც გამოიხატება ცნებით: პროლეტარიატის დიქტატურა.

ეს გენიალური წინასწარჭვრეტა, ეს გენიალური თეორია სინამდვილედ ხდება“ (ვ.ი. ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ქართულ ენაზე. ტ.29, 1952წ., გვ.355-356. მესამე ინტერნაციონალი და მისი ადგილი ისტორიაში).

პირველი და მეორე ინტერნაციონალები წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის ანტიმარქსისტულ ტენდენციებთან ბრძოლის, პრუდონიზმთან, ბაკუნოზმთან, ლასალიანელობასთან და რეფორმიზმის სხვა ანტიმარქსისტულ მიმდინარეობებთან ბრძოლის შედეგად წარმოიშვნენ.

III ინტერნაციონალი, ლენინისეული ინტერნაციონალი, მეორე ინტერნაციონალის ოპორტუნისტული ბელადების ღალატის, სოციალ-შოვინიზმისა და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოიშვა.

ამხანაგ სტალინის კომინფორმი მთლიანად მსოფლიო სოციალისტური ბანაკის შიგნით რევიზიონიზმის საწინააღმდეგო გავლენის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობა, თავის მხრივ, ხელისუფლებაში მყოფი თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოიშვა.

კომინტერნისთვის (ს-ბ) ამოსავალი წერტილი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოღალატეობა წინააღმდეგ ბრძოლა. იგი ამხანაგ ენვერ ხოჯას დეგრადირებადი მსოფლიო მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის შიგნით არსებული ნეო-რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმოიშვა.

კომინტერნმა (ს-ბ) მიიღო ყველაფერი, რაც კომინტერნმა, კომინფორმმა და ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინურმა მსოფლიო მოძრაობამ გააკეთა ნეო-რევიზიონიზმის დასამარცხებლად. კომინტერნმა (ს-ბ) მოახერხა გლობალურად გაერთიანებული პროლეტარიატის მსოფლიო-რევოლუციური არსისა და გლობალურად გაერთიანებული მუშათა მოძრაობის არსის დანახვა.

კომინტერნის (ს-ბ) ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან დაიწყო მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ლოზუნგის — პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის მშენებლობის ლოზუნგის — დანერგვა. კომინტერნმა (ს-ბ) თეორიული საფუძვლები ჩაუყარა მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული პროლეტარიატის ბრძოლას გლობალური სოციალიზმის დასამყარებლად, ახალი მსოფლიო-სოციალისტური ბანაკისა და მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის შესაქმნელად.

ყველა კომუნისტური ინტერნაციონალი შეიქმნა ზემოდან, რათა ხელი შეეწყობოთ მსოფლიოს მეგრძოლი პროლეტარების ინტერნაციონალური ერთიანობის ორგანიზაციის გამტკიცებისა და კონსოლიდაციისთვის.

კომუნისტური ინტერნაციონალის დაშლას ყოველთვის მოსდევდა კომუნისტურ პარტიებს შორის იდეებისა და გამოცდილების სუსტი მიმოცვლის პერიოდი, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების, ურთიერთდამარებისა და საერთო მიზნების, სტრატეგიისა და ტაქტიკის პერიოდი. ამით ხასიათდებოდა ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის პერიოდიც, კერძოდ კი — გათავისუფლება ბურჟუაზიულ-რევიზიონისტული გარემოცვისგან.

გაქრობის მაგივრად კომუნისტური ინტერნაციონალი უძრაობის პერიოდიდან აღმავლობის პერიოდში გადავიდა, რომელშიც მისი თავდაპირველი ტენდენციები გარკვეულწილად დასრულდა კიდეც (იხ. მარქსი, „ახალი ერა“, მე-20 წელი, ტ.1, გვ.589).

III ინტერნაციონალმა გადალახა პირველი და მეორე ინტერნაციონალების თავისებური სუსტი ხასიათი და შეიქმნა როგორც მსოფლიო ბოლშევიკური პარტია თავისი ცნობილი პრინციპებითა და ნორმებით. ეს პრინციპები და ნორმები ჯერაც მოქმედებენ, თუმცაღა გლობალიზაციის პირობებში მათი დახვეწა უნდა მოხდეს.

როგორც კომინტერნი, ასევე კომინფორმი ხასიათდებიან მნიშვნელოვანი დახმარებითა და ხელმძღვანელობით ლენინისა და სტალინის სკკ(ბ)-ის მხრიდან.

მარქსისტულ-ლენინურმა მსოფლიო მოძრაობამ მოახდინა საკუთარი თავის განცალკევება თანამედროვე რევიზიონიზმისგან, ჩინური რევიზიონიზმის — მაოძედუნიდის — ჩათვლით. მაოიზმი თავიდანვე ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოხატავდა კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართ. მოგვიანებით ამან გამოძახილი ჰპოვა მაოისტურ „რევიზიონისტულ პოლემიკაში მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გერენალური ხაზის შესახებ“ (1963). ჩინური რევიზიონიზმის სადემარკაციო ხაზით გამოყოფისას ამხანაგი ენვერ ხოჯა აღნიშნავდა:

„...თანამშრომლობა ჩვენს მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს შორის ქვეშაირიტად რევოლუციურ გზაზე მრავალმხრივი უნდა იყოს“ (ენვერ ხოჯა, „მოხსენება ალბანეთის შრომის პარტიის VII ყრილობაზე“, რუსულ ენაზე, გვ.272).

მოდმე პარტიათა უფრო ინტენსიური კოოპერაციისა და ერთობლივ მოქმედებათა საერთო ძალისხმევის პროცესი ამხანაგ ენვერ ხოჯას ხელმძღვანელობით მეტად დამაიმედებელი დასაწყისი იყო მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის ახალი კომუნისტური ინტერნაციონალის ჩამოსაყალიბებლად. კომინტერნის სულისკვეთების მიღება აუცილებელი პირობაა მისი საორგანიზაციო პრინციპების მისაღებლად.

„ჩვენი დროის მსოფლიო კომუნიზმი ლენინისა და სტალინის, კომინტერნის გმირული ეპოქის საბრძოლო რევოლუციური სულისკვეთებით უნდა ხასიათებოდეს“.

(ენვერ ხოჯა, „ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება ალბანეთის შრომის პარტიის V ყრილობის წინაშე“, რუსულ ენაზე, გვ.246).

ენვერ ხოჯასათვის მსოფლიო კომუნიზმი და კომინტერნი ერთმანეთთან განუყოფლად იყო დაკავშირებული. კომუნიზმი მარქსისტ-ლენინელების სანუკვარი ოცნებაა.

უამრავმა დისკუსიამ ჩაიარა კომუნისტური ინტერნაციონალის, მისი ხელახლა დაბადების აღდგენის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. აზრთა სხვაობები ამ საკითხში ღიად არ განხილულა, თუმცა ალბანეთის შრომის პარტია სრულიად გარკვევით იყო ინფორმირებული მე-7 ყრილობაზე, სადაც მითითებული იყო, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის ხელახლა შექმნა ჯერ კიდევ არ იყო „მომწიფებული“.

ამ ფაქტიდან კეთდება ქედმაღლური და ბოროტგანზრახული დასკვნა, რომ თითქოს „ენვერ ხოჯა ძირითადად კომინტერნის ხელახლა შექმნის წინააღმდეგ გამოვიდოდეს“.

მოდმე პარტიებს შორის არსებული ძმური თანამშრომლობის ყველა აღმონაცენი განადგურდა ალბანეთში რევოლუციონისტული ლაღაბის, სოციალიზმის დანგრევის, მსოფლიო მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის ნეო-რევოლუციონისტული დეგრადაციის შემდეგ. ბრძოლას კომუნისტური ინტერნაციონალის ხელახლა შესაქმნელად კომინტერნი (ს-ხ) გააგრძელებს. 2000 წლიდან კომინტერნი (მ-ლ) პოლიტიკურ-იდეოლოგიური საფუძვლის შექმნის მამოძრავებელ და ხელმძღვანელ ძალად იქცა კომინტერნის აღდგენისთვის გზის გასაკვალად. მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობა მოკლებული იყო თავის სახელმძღვანელო ცენტრს და არ შეეძლო და მზად არ იყო ძლიერი სახელმძღვანელო მსოფლიო ცენტრის ხელახლა შესაქმნელად, რომელსაც თავისი საკუთარი ძალებით ააშენებდა.

ამრიგად, კომინტერნი (მ-ლ) მსოფლიო პირველი კომუნისტური ინტერნაციონალი გახდა, რომელიც მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის შიგნით არსებულ ჯგუფთა შორის არსებული განხეთქილებებისგან დამოუკიდებლად შეიქმნა. ესაა პირველი კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის შიგნით არსებული წინააღმდეგობის მიუხედავად შეიქმნა რამდენიმე ცალკეული ამხანაგის მიერ, რომლებიც მამაცურად ეწინააღმდეგებოდნენ დომინირებად ნეო-რევოლუციონისტულ გავლენას.

კომინტერნი (ს-ხ) შეიქმნა მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის შიგნით კომინტერნის ხელახლა შექმნის ოპონენტთა წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად. კომინტერნს (მ-ლ) მხარს არ უჭერდნენ არც კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები და არც სხვა ორგანიზაციები. იგი დაბადებული იყო სამყაროში, რომელიც მზად არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაეგონა მისი პირველი ბალღური ყვირილი. მიუხედავად ყველაფრისა, კომინტერნი (მ-ლ) ცოცხალია! კომინტერნი (მ-ლ) მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთმა კლასიკოსმა კომუნიზმის დასაცავად შექმნა.

რითი განსხვავდება ძველი ტიპის კომინტერნი ახალი ტიპის კომინტერნისგან?

ჩვენ ვლავარაკობთ ძველ კომინტერნზე, კომუნისტურ ინტერნაციონალზე, „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის პერიოდში, აგრეთვე, ძველ კომინტერნზე, ამხანაგ სტალინის პერიოდის მსოფლიო სოციალისტური ბანაკის საერთაშორისო ორგანიზაციაზე. ეს პერიოდი იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ მსოფლიო პროლეტარიატი ასე თუ ისე ძალაუფლებას დომინირებად მსოფლიო იმპერიალიზმთან ინაწილებდა. თავისი პირველივე დღიდან კომუნისტური ინტერნაციონალი „ერთი“ ქვეყნის პროლეტარიატის პირშე იყო, რასაც არ შეეძლო, თავისი სპეციფიკური ელფერი არ მიეცა მისი ორგანიზაციის ტიპისთვის. კომინტერნის სპეციფიკური ტიპი სათავეს იმ საბჭოთა კავშირის ბოლშევიკური პარტიის სპეციფიკური ტიპიდან იღებს, რომელიც კომუნისტური ინტერნაციონალის საფუძველი და ბერკეტი იყო, რომელიც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის მშვიდობიანი თანაარსებობის ინსტრუმენტი იყო.

ახალი ტიპის კომუნისტური ინტერნაციონალი, სამწუხაროდ, ხასიათდება „ერთ“ ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის არარსებობით, ორი სამყაროს — სოციალისტურისა და კაპიტალისტურის — არარსებობით.

თუმცა ამ პლატფორმაში უკვე გავაშუქეთ გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო პროლეტარიატის გიგანტური პოტენციალის ყველა დადებითი მომენტი. ძალაუზნებრივად იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის ახალი ტიპი გლობალურად გაერთიანებული პროლეტარიატის ახალი ტიპით განისაზღვრება. მსოფლიო პროლეტარიატის მსოფლიო ორგანიზაციის შექმნა გულისხმობს მსოფლიო პროლეტარიატის როგორც გლობალური წარმოების საფუძვლის არსებობას.

ახალი ტიპი კომუნისტური ინტერნაციონალის ძველი ტიპისგან მისი დაარსების სხვადასხვა პერიოდებით განსხვავდება.

კომინტერნის ახალმა ტიპმა მსოფლიო პროლეტარიატის მიერ მსოფლიო ბატონობის მოპოვების უმაღლესი ამოცანა უნდა გადაჭრას. ახალი ტიპის კომინტერნი მზადაა გლობალური პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ასაღებად „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის შუალედური საფეხურის გარეშე.

კომინტერნის ახალი ტიპი განისაზღვრება როგორც პარტია, რომელიც არა მარტო პირდაპირ ანგრევს მსოფლიო ბურჟუაზიის ძალაუფლებას, არამედ, იმავდროულად, აწესებს ახალ მსოფლიო დიქტატურას, რომელიც მსოფლიო სოციალიზმის, უკაპიტალიზმის მსოფლიოსა და მისთანების აშენებას ემსახურება.

ახალი კომუნისტური ინტერნაციონალი — ეს არაა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი თანა-არსებობის ახალი ინსტრუმენტი, როგორც ეს კომინტერნის ძველ პერიოდში იყო. იგი მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის აბსოლუტური ერთპიროვნული მმართველობის ინსტრუმენტია.

შესაძლებელია, რომ ახალი ტიპის კომინტერნი არ შეიქმნას მხოლოდ ძველი კომინტერნიდან ასლის გადაღებით, ვინაიდან მისი შემდგომი განვითარებისთვის ყველაზე უფრო სრულყოფილი ფორმებია საჭირო.

ძველ დროში ინტერნაციონალური სახელმწიფოების ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა ლენინისა და სტალინის საბჭოთა კავშირი იყო, რომელიც თავის საფუძველში მსოფლიო-სოციალისტური სისტემის მნიშვნელოვან ელემენტებს შეიცავდა.

ჩვენ გვჭირდება ინტერნაციონალური ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა კავშირს ჰგავს — მსოფლიო-სოციალისტურ სახელმწიფოთა კავშირი, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების გლობალური სისტემა, რათა გარანტირებული იყოს მსოფლიო სოციალიზმში მაქსიმალურად უმტკივნეულო ტრანსფორმაცია.

ჩვენ ახალი ტიპის კომუნისტური ინტერნაციონალი გვჭირდება, რომელიც მსოფლიოს პროლეტარიატს საშუალებას მისცემს, გააერთიანოს და წინ წაიყვანოს მსოფლიოს მთელი მუშებისგან და ექსპლუატირებული მოსახლეობისგან ჩამოშორებული და ჩამორჩენილი ელემენტები.

კომინტერნის უმაღლესი ტიპი — ესაა მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული კომინტერნი. სტალინურ-ხოჯაისტური ორგანიზაციების ახალი ტიპი — ესაა მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული ტიპი, რომელიც კარდინალურად განსხვავდება მარქსისტულ-ლენინური ორგანიზაციების ყველა ადრინდელი ტიპისგან. სტალინურ-ხოჯაისტური ორგანიზაციების ახალი ტიპი — ესაა მსოფლიო-ბოლშევიკური პარტიის ტიპი. მას დასასრულამდე მიჰყავს მსოფლიოს მასშტაბით ცენტრალიზებული და იმავდროულად მრავალმხრივი კლასობრივი ბრძოლის თითოეული მოთხოვნა.

ახალი ტიპის კომუნისტური ინტერნაციონალი — ესაა მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური გათავისუფლების ძირითადი ინსტრუმენტი. ჩვენ გვჭირდება კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც შედგება ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიებისგან და არა სხვადასხვა ქვეყნის ჯგუფებისგან ან მიმდინარეობებისგან.

ჩვენ გვჭირდება მსოფლიო-კომუნისტური პარტიები თითოეულ ქვეყანაში, რომლებსაც თავიანთი პროლეტარული რაზმების მსოფლიო პროლეტარულ არმიასთან შეერთება შეეძლებათ.

მსოფლიო პროლეტარიატს არ გააჩნია სხვა იარაღი მსოფლიო ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, გარდა თავისი მსოფლიო ორგანიზაციისა, რომელიც ყველა ქვეყნის მებრძოლ ერთეულებს აერთებს და ცენტრალიზებას უკეთებს.

და პირიქით: არ არსებობს მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტია, რომელიც არ იბრძოლებს თითოეული ქვეყნის სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობის მხარდასაჭერად განსაკუთრებით და მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობის შიგნით ურთიერთქმედებისთვის მთლიანობაში!

სწორედ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიები ახდენენ კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის ინიცირებას. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ის პროგრესული ძალაა, რომელიც კომუნისტურ პარტიათა პროლეტარულ გაერთიანებებს მსოფლიო მასშტაბით მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ერთეულებად აქცევს.

გლობალიზაციის პირობებში ინტერნაციონალური მუშათა მოძრაობის განმსაზღვრელი კანონი თითოეულ ცალკე აღებულ ქვეყანაში მუშათა მოძრაობის დამოკიდებულების განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება. პრინციპული განსხვავება კომუნისტურ ინტერნაციონალსა და თითოეული ქვეყნის კომუნისტურ პარტიას შორის სხვა ვერაფერი იქნება!

„ინტერნაციონალი ის არის, რომ ერთმანეთს უახლოვდებოდნენ (ჯერ იდეურად, შემდეგ კი, თავის დროზე, ორგანიზაციულადაც) ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი ჩვენს მძიმე დღეებში ნამდვილად დაიცვან სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, ე.ი. შეკრიბონ საკუთარი ძალები და „მეორეებმა დაუშინონ ტყვია“... (ვ.ი. ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ქართულ ენაზე. ტ.21, 1951წ., გვ.107. მკვდარი შოვინიზმი და ცოცხალი სოციალიზმი).

დღესდღეობით მსოფლიოში კვლავ არასაკმარისად არიან ამხანაგები, ჯგუფები და ორგანიზაციები, რომლებსაც კომუნისტური ინტერნაციონალის საორგანიზაციო ბაზის შექმნა შეუძლიათ. თუმცა მაინც არსებობს რამდენიმე ამხანაგი, რომლებიც კომუნისტურ ინტერნაციონალს ემხრობიან.

ეს ინტერნაციონალისტები ძირითადად მსოფლიო პროლეტარიატის კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმისთვის, კერძოდ კი — კომუნისტური ინტერნაციონალის ხელახლა შექმნისთვის — იბრძვიან.

მსოფლიო პროლეტარიატს სჭირდება ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა, რომელიც ყველა ქვეყნის გაერთიანებას განახორციელებს.

ყველა ქვეყნის შეიარაღებული პროლეტარები (ყველა მათი კლასობრივი მოკავშირის ჩათვლით, რომლებიც ადრე თუ გვიან ერთიმეორეს მიყოლებით შეუერთდებიან) მსოფლიო იმპერიალიზმის გულმოდგინებაზე იქნებიან დამოკიდებული, გაეხმებიან მსოფლიო რევოლუციონიზმის ბადეში, თუკი კომუნისტური ინტერნაციონალის გარეშე ბრძოლას შეეცდებიან.

აქედან გამომდინარე, მსოფლიო პროლეტარიატი ქმნის მსოფლიო რევოლუციონერთა საკუთარ ავანგარდს, რათა ხელი შეუწყოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ავანგარდთა გაერთიანებას. მსოფლიო პროლეტარიატს საკუთარი ნაციონალური რაზმების გაერთიანება სჭირდება.

მსოფლიო პროლეტარიატის ეს ერთიანობა შესაძლებელია მხოლოდ იმ ერთიანი მსოფლიო ორგანიზაციის არსებობის პირობებში, რომლის გადაწყვეტილებები ყველა კომუნისტური პარტიის მიერ შესრულდება. რჩევა ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, სხვადასხვა აზრის გამოთქმა, უმრავლესობის შეხედულებათა მიტანა ორგანიზაციის ყველა სექციამდე, გადაწყვეტილების აუცილებლად მიღება უმრავლესობის აზრის შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების შეგნებულად შესრულება — აი, რას უწოდებენ ბრძოლაში ერთიანობას მთელ მსოფლიოში. განუზომელია ამ ერთიანობის მნიშვნელობა მსოფლიო პროლეტარიატისთვის. დაყოფილი, იზოლირებული, თავ-თავიანთ ქვეყნებად გახლეჩილი, ვითომდა „დამოუკიდებელი“ კომუნისტური პარტიები ვერაფერს ვერ მიაღწევენ. ერთად კი ისინი ყველაფერია და ყველაფერს მიაღწევენ!

კომონტერნო (ს-ხ), გააერთიანე ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები!

კომუნისტური ინტერნაციონალი მოწოდებულია, რათა შექმნას და წარუძღვეს ყველა ქვეყნის პროლეტართა ინტერნაციონალური ორგანიზაციების ნებისმიერ სხვა ფორმას.

ეს სხვა ინტერნაციონალური პროლეტარული ორგანიზაციები, თავის მხრივ, აერთიანებენ ყველა ქვეყნის პროლეტარულ ორგანიზაციებს მსოფლიო დონეზე (ახალგაზრდული ორგანიზაციები, შრომითი კავშირები, ურთიერთდახმარების ორგანიზაციები და მისთ.).

მმართველმა მსოფლიო ბურჟუაზიამ არა მარტო გადასცა პროლეტარიატს ახალი გლობალური იარაღი მსოფლიო ბურჟუაზიასთან საბრძოლველად, არა მარტო დაანგრია ნაციონალური საზღვრები, არა მარტო შეაერთა ყველა ქვეყნის უწინ იზოლირებული პროლეტარიატი, არამედ, და ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დაგვეხმარა, რათა აღმოვჩინილიყავით ახალ მდგომარეობაში, კერძოდ კი, გლობალური მუშის მდგომარეობაში — მიგველო ალიარება მსოფლიო პარტიად, კომუნისტურ ინტერნაციონალად.

კარლ მარქსი უთითებდა „მუშათა კლასის ინტერნაციონალურ თანამშრომლობაზე, რომელიც მისი გათავისუფლების პირველი პირობაა“ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი. თხზულებები 39 ტომად. რუსულ ენაზე, მე-2 გამოცემა, ტ.17, გვ.564. პირველი მონახაზი ნაშრომისა „სამოქალაქო ომი საფრანგეთში“).

მსოფლიო რევოლუციის საერთო ინტერესები თითოეული ქვეყნის რევოლუციურ ინტერესებს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, საერთო მსოფლიო-რევოლუციური პროცესი თითოეულ ქვეყანაში მსოფლიო-რევოლუციურ პროცესს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, მსოფლიო რევოლუციური პროცესი იმპერიალისტური ჯაჭვის უსუსტესი რგოლის ძალას განსაზღვრავს, ასე რომ იგი საკმარისად ძლიერდება ამ ჯაჭვის გასაწყვეტად. აქედან გამომდინარე, ამიერიდან ეს აღარაა ერთი ქვეყნის პროლეტარიატის საქმე და მსოფლიო პროლეტარიატის როგორც ერთი მთლიანის კოლექტიურ საქმედ გარდაიქმნება.

მსოფლიო პროლეტარული პარტიის საერთო ინტერესები თითოეული ქვეყნის კომუნისტური პარტიის ინტერესებს განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტია ერთიანდება და ხდება მსოფლიო პარტიის სექცია, მისი რაზმი, გლობალური ორგანიზაციის ერთეული, პროლეტარიატის მიერ მსოფლიოში ყველგან ძალაუფლების ხელში ჩაგდების მამოძრავებელი ძალა.

შეუძლებელია მუშათა ერთიანობა მთელ მსოფლიოში,

შეუძლებელია მსოფლიო პროლეტარიატის ერთიანობა,

შეუძლებელია თითოეულ ცალკე აღებულ ქვეყანაში პროლეტარიატის ერთიანობა,

შეუძლებელია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა,

შეუძლებელია სოციალისტური რევოლუციის ერთიანობა,

თუ...!

ნაწილი მთლიანს არ ემორჩილება,

ცალკეული ქვეყნის პროლეტარიატი მსოფლიო პროლეტარიატს არ ემორჩილება,

სოციალისტური რევოლუციები მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას არ ემორჩილებიან,

კომუნისტური პარტიები მსოფლიო პარტიას არ ემორჩილებიან

და ა.შ. და ა.შ.

ეს ერთადერთი გზაა რეალური ერთიანობისკენ, ეს ერთადერთი გზაა გათიშულობის თავიდან ასაცილებლად. მხოლოდ ასე შეიძლება ძალაუფლების გამოგლეჯვა მსოფლიო ბურჟუაზიის გრძელი ხელებიდან ცალკეულ ქვეყნებში და მსოფლიო იმპერიალიზმის ზურგში.

მსოფლიო რევოლუციის მხოლოდ ამ გზას შეუძლია სხვადასხვა ქვეყნებში ბურჟუაზიის დესტრუქციული საქმიანობის გადალახვა.

მხოლოდ ამ გზით შეუძლია მარქსისტულ-ლენინურ მსოფლიო მოძრაობას მსოფლიო რევიზიონიზმის გადაგვარებისა და ზიანისმომტანი საქმიანობის გადალახვა.

მხოლოდ ამ გზით შეუძლია მსოფლიო პარტიას საკუთარ რიგებში მსოფლიო ბურჟუაზიის აგენტების ძირგამომთხრელი საქმიანობის გადალახვა.

მხოლოდ ასეთი გზითაა შესაძლებელი მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური ერთიანობის მიღწევა თითოეულ ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში.

საბოლოო ჯამში საყოველთაო გათავისუფლების გამარჯვება ცენტრალიზებულ სტალინურ-ხოჯაისტურ ორგანიზაციებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, კომუნისტური პარტია როგორც პროლეტარიატის ავანგარდი ცალკეულ ქვეყანაში წარმოქმნის მეორე დონეს, მაშინ როცა მსოფლიო პარტია — პირველ დონეს მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონიის მეცენტრალიზებული მნიშვნელობის წყალობით.

ყველაფერი ნათელია, თუ კომუნისტურ პარტიებს ბოლშევიზმის ეს პრინციპი აღარ ახსოვთ, თუკი მხედველობაში მივიღებთ 1943 წელს კომინტერნის დაშლას — მთელი 66 წლის წინ!!! თუმცა მსოფლიო პროლეტარიატს ასეთი რამ არ ეპატიება. კომუნისტური პარტიები მკაცრად მიჰყვებიან მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებებს, რომლებიც მთელი თავიანთი ცხოვრების განმავლობაში იბრძოდნენ კომუნისტური ინტერნაციონალის სულისკვეთებით. მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა შემდგომი განვითარებისთვის ნებისმიერი ხელშეშლა კომუნისტური ინტერნაციონალის აშენებისთვის ხელშეშლაა. ჭეშმარიტმა კომუნისტმა თეორია განუხრელად უნდა დაიცვას.

კომუნისტური ინტერნაციონალი ყოველთვის იყო, არის და იქნება აუცილებელი. კომუნისტური ინტერნაციონალის გამტკიცება — ესაა მსოფლიოში ყველა ამხანაგის საერთო ამოცანა და უმაღლესი მოვალეობა, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე.

ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტია კომუნისტური ინტერნაციონალის სექციები, მსოფლიო პროლეტარიატის გენერალური შტაბის რაზმებია, თუ ისინი უყოყმანოდ იღებენ დემოკრატიული ცენტრალიზმის გლობალურ პარტიულ ნორმებს. მუშათა ბრძოლა დღესდღეობით ინტერნაციონალური კლასობრივი ბრძოლის უმაღლესი ფორმაა. იგი უწინდელი პერიოდებისგან თავისი გლობალური ხასიათით განსხვავდება. დღესდღეობით გლობალური მუშა თავისი საკუთარი კლასობრივი ბრძოლის გლობალურ რაოდენობრიობას გლობალურ თვისობრიობად შემდეგნაირად გარდაქმნის:

— (მთლიანობაში) ახდენს ბრძოლის ცენტრალიზებას ზემოდან ქვემოთ და, ამასთან ერთად, ახდენს მის დემოკრატიზაციას ქვემოდან ზემოთ, ისევე როგორც

— (განსაკუთრებით) ახდენს ბრძოლის ცენტრალიზებას ზემოდან ქვემოთ, იწყებს რა მსოფლიოდან და ამთავრებს ქვეყნით, ისევე როგორც დემოკრატიულ ბრძოლას ზემოდან ქვემოთ, იწყებს რა მსოფლიოთი და ამთავრებს ქვეყნით.

(ეს მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული კლასობრივი ბრძოლის საორგანიზაციო პრინციპია.)

კერძოდ კი,

მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონიის

მნიშვნელოვანი „საკითხის“ განმარტებისას

...ახალი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა თითოეულ ქვეყანაში შეცვლის დეგრადირებულ მარქსისტულ-ლენინურ მოძრაობას. ეს გარდაუვლად მოხდება, ვინაიდან ისინი უარყოფენ იმ ჭეშმარიტებას, რომლის თანახმადაც პროლეტარიატის ჰეგემონია ერთ ცალკე ადებულ ქვეყანაში მსოფლიო პროლეტარიატის საერთო ჰეგემონიის ნაწილია. სწორედ ეს ჭეშმარიტება იყო დამოუკიდებელი მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური ორგანიზაციის გაჩენის აბსოლუტურად ძირითადი იდეა.

მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონია ის თეორიაა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა ბირთვს შეადგენს. ამ თეორიის გარეშე მსოფლიო კაპიტალიზმის დამსობა შეუძლებელია. ამ თეორიის გარეშე მსოფლიო სოციალიზმის მთელი მშენებლობა არარაობად იქცევა.

მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონიის აღიარება შეიცავს კომუნისტური იდეოლოგიის როგორც მისი განუყოფელი ნაწილის აღიარებას. კომუნისტური ინტერნაციონალის გარეშე არ არსებობს მსოფლიო პროლეტარიატის პოლიტიკური ჰეგემონია, ისევე როგორც პროლეტარიატის პოლიტიკური ჰეგემონია ცალკეულ ქვეყნებში.

მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონიის უკუგდება და უარყოფა — ესაა მსოფლიო კაპიტალიზმის წინაშე კაპიტულაცია და მისი ჰეგემონიისთვის დახმარების გაწევა. შეუძლებელია მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონიის მიღება მის ავანგარდზე — კომუნისტურ ინტერნაციონალზე — უარის თქმასთან ერთად. მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონიისა და ცალკეული ქვეყნების პროლეტარიატის ჰეგემონიის ერთმანეთში აღრევის დეზორგანიზაციული იდეები ზიანის მომტანია პროლეტარული ორგანიზაციებისთვის — არა აქვს მნიშვნელობა, კომუნისტური ინტერნაციონალისთვის თუ ცალკეული ქვეყნების კომუნისტური პარტიებისთვის. ისინი ზიანის მომტანია სოციალისტური რევოლუციისთვისაც როგორც ერთ ქვეყანაში, ასევე მთელ მსოფლიოში.

აქედან გამომდინარე, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ კომუნისტური პარტიები მსოფლიო პროლეტარიატის საერთო პარტიის ნაწილებია (ყურადღება მიაქციეთ: სიტყვა „პარტია“ («party») წარმოადგება სიტყვისაგან „ნაწილი“ — «part»). კომუნისტური პარტია პროლეტარიატის განუყოფელი ნაწილი და მისი ავანგარდია. მსოფლიო პარტია მსოფლიო პროლეტარიატის განუყოფელი ნაწილი და მისი ავანგარდია.

პარტია ცალკე ადებულ ქვეყანაში ამ ქვეყნის პროლეტარიატის ნაწილი და მისი ავანგარდია. თითოეული ქვეყნის პროლეტარიატი მსოფლიო პროლეტარიატის განუყოფელი ნაწილია.

თუმცა კომუნისტური ინტერნაციონალი მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდი არაა. ამასთან ერთად, კომუნისტური ინტერნაციონალი მსოფლიო პროლეტარიატის ორგანიზებული რაზმიცაა. ეს განსხვავება მსოფლიოში კლასების გაქრობამდე იარსებებს. მსოფლიო პროლეტარიატის ორგანიზებული რაზმის გა-

რეშე შეუძლებელია ლაპარაკი კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობაზე. კომუნისტური პარტიები თავიანთ ქვეყნებში საკუთარი რაზმების ერთეულებს აყალიბებენ. კომუნისტური ინტერნაციონალი ყველა რაზმს აერთებს და ხელმძღვანელობს ბრძოლის გლობალურ ველზე.

კომუნისტური ინტერნაციონალი არაა სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიების უბრალო ჯამი. კომუნისტური ინტერნაციონალი ბოლშევიკური ორგანიზაციების გლობალური სისტემა და გაერთიანებაა ერთ გლობალურ ერთიანობად თავისი ყველა ფორმით. კომუნისტური ინტერნაციონალი მსოფლიო პროლეტარიატის უმაღლესი, თუმცა, ასე თუ ისე, არც ერთადერთი კლასობრივი ორგანიზაციაა. კომუნისტური ინტერნაციონალი განსაზღვრავს გენერალურ პოლიტიკურ ხაზს და მის ხორცშესხმას გლობალური ხელმძღვანელობის ერთიანობის მიღწევის მეშვეობით. კომუნისტური ინტერნაციონალის პოლიტიკური ხელმძღვანელობა მსოფლიო პროლეტარიატის ორგანიზაციის ყველა ფორმას მოიცავს. კომუნისტური ინტერნაციონალი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი და ცენტრალური ინსტრუმენტია.

რასაკვირველია, კომუნისტური ინტერნაციონალი ასევე უმნიშვნელოვანესი და ცენტრალური ინსტრუმენტია მსოფლიო პროლეტარული დიქტატურისა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებაა ძველი და ახალი ტიპის კომუნისტურ ინტერნაციონალებს შორის.

სოციალიზმი ძველ დროში სხვადასხვა ქვეყანაში კომუნისტური პარტიების მიერ შენდებოდა. მსოფლიო სოციალიზმი კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით შენდება.

მსოფლიო მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის ოპორტუნისტები უამრავ ეშმაკობას მიმართავენ, მაგრამ მაინც დამარცხდებიან, ვინაიდან მათ არ სურთ და არც შეუძლიათ საკუთარი პოზიციის დამორჩილება მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონიის ორგანიზებული სისტემისთვის. მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მტკიცების თანახმად, ყველა ოპორტუნისტი მარცხდება. კომუნისტურ პარტიათა „დამოუკიდებელი“ გლობალური ასოციაციების ოპორტუნისტული თეორია სტალინიზმ-ხოჯაიზმის თეორიასთან და პრაქტიკასთან გადაულახავ წინააღმდეგობაში იმყოფება.

სანამ არსებობს მსოფლიო კაპიტალი და ნაციონალურ ბურჟუაზიას ბუქსირით მიათრევს, იგი ბუქსირზე თითოეული ქვეყნის პროლეტარიატსაც იბამს. მსოფლიო პროლეტარიატის ჰეგემონია ერთადერთი საშუალებაა, რომელიც თითოეული ქვეყნის პროლეტარიატს ამ უიმედო სიტუაციიდან გამოსვლის საშუალებას აძლევს.

ოპორტუნისტულ ასოციაციათა ლიდერებსა და ნეო-რევოლუციონისტულ დაჯგუფებებს ინტერნაციონალიზმი ჩვენსავით — სტალინისტ-ხოჯაისტებივით — არ ესმის. ისინი თავიანთ ინტერნაციონალიზმს თავიანთი ქვეყნებიდან ჰორიზონტალური მზერით ფარგლავენ. თუმცა მსოფლიო პროლეტარიატი ირჩევს დიალექტიკურ გზას, რომელიც აერთიანებს ინტერნაციონალიზმის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ფორმებს, რათა

თავისუფალი, გაერთიანებული, დამოუკიდებელი, სოციალისტური მსოფლიოს

დიადი იღვის მიღწევაზე გააკეთოს კონცენტრირება.

მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური ინტერესებისადმი დამორჩილების გარეშე სოციალიზმის კარებს ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეაღებს. მსოფლიო სოციალიზმში შემავალი კარი ჩარაზული აღმოჩნდება.

ოპორტუნისტი ბელადები საზეიმოდ გვირდებიან „აღთქმული მიწის“ დაბრუნებას. ეს ბელადები ელოდებიან და ლოცულობენ, ლოცულობენ და ელოდებიან, თუმცა მათ არ შეუძლიათ პასუხის გაცემა მუშის კითხვაზე იმის შესახებ, თუ საიდან მოვა ეს „აღთქმული მიწა“. და ოპორტუნისტები საკუთარ თავს იმშვიდებენ კაპიტულანტური მაგიური შეჩვენებით: „იზრუნეთ თქვენს საკუთარ სოციალიზმზე!“. ნუთუ ესაა კონსტრუქციული ინტერნაციონალიზმი? ნუთუ ესაა ძლიერი მსოფლიო-რევოლუციური მოძრაობა? ოპორტუნისტები წინასწარვე წამგებიან ბრძოლას აწარმოებენ, სანამ გვერდზე არ მოისვრიან იმ მცდარ ფორმულას, რომლის თანახმადაც მსოფლიო რევოლუციის საფუძველი და ბერკეტი ვითომდა „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის ხელში დარჩება.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის პარტიების ნარჩენები ცდილობენ, დავიწყებას მისცენ ამხანაგ ენვერ ხოჯას პერიოდში მათ ქვეყანაში მარქსისტულ-ლენინური პარტიების გამორჩეული როლის სახელოვანი ხსოვნა. ფაქტობრივად მათი ოპორტუნისტული „ერა“ „ქვიტოს მსოფლიო ცენტრიდან“ დაიწყო.

მათი ოპორტუნისტი ბელადები მსოფლიოს თავიანთი საკუთარი ინტერესების ქრილიდან შესცქერიან. ისინი რეგულარულად ატარებენ „ინტერნაციონალურ კონფერენციებს“ და აქვეყნებენ თავიანთ ბეჭდვით ორგანოებს ზოგადი ხასიათის სტატიებით. თავიანთ საკუთარ ცენტრალურ ორგანოებში ისინი რეგულარულად აქვეყნებენ ინფორმაციას გაერთიანებული ორგანიზაციების შესახებ. თუმცა ისინი თავიანთ ზრახვებს არ ამჟღავნებენ. ისინი ცდილობენ აჟიოტაჟის შემცირებას, როგორც კი მათ შორის სერიოზული წინააღმდეგობები გაჩნდება ხოლმე.

ზოგიერთი მათგანი თავის „კომუნისტურ“ დროშას სკივრში ღრმად მაღავს, ზოგი კი — გვერდით ინახავს. ყველა მათგანი ამჯობინებს სოციალისტური რევოლუციის უკანა პლანზე დატოვებას. ისინი ძალისხმევას ქვეყნის შიგნით პრობლემებისკენ მიმართავენ, რათა ეს ძალისხმევა მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური კლასობრივი ბრძოლისკენ არ მიმართონ. ამრიგად, მათ არაფერში სჭირდებათ კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელიც მსოფლიო სოციალიზმისთვის იბრძვის „საკუთარ“ ქვეყანაში სოციალიზმის მაგივრად.

და პირიქით: კომუნისტური ინტერნაციონალი, თავის მხრივ, მსოფლიო პროლეტარიატის საერთო ინტერესებს გამოხატავს და ამ ჯგუფებს იძულებულს გახდის, თავიანთი ინტერესების დამცველები პოზიცია დაიკავონ. ეს დაჯგუფებები არ აძლევენ კომუნისტურ ინტერნაციონალს მათი „მონოპოლიზების“ უფლებას. ისინი ცდილობენ, შეეწინააღმდეგონ „კონკურენციას“ კომუნისტური ინტერნაციონალის მხრიდან. ისინი თავი-

ანთ ქვეყნებში რევიზიონისტებთან გაერთიანებას ამჯობინებენ, ნაცვლად იმისა, რომ „გარეთა“ მსოფლიო ორგანიზაციას დაემორჩილონ, რომელიც მათ ხელმძღვანელობას გაუწევს.

ეს ყველაფერი **წვრილბურჟუაზიული კლასობრივი ხასიათის გამონატლება**, კაპიტულაცია, თავიანთი საკუთარი ქვეყნის პროლეტარიატისთვის ღალატი და, მეტიც, მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური კლასობრივი ინტერესების ღალატია. ისინი მაოისტურ „ავტონომიას“ დიდად არ გასცდნენ.

დღესდღეობით მსოფლიო პროლეტარიატი მხოლოდ ისეთ კომუნისტურ პარტიებს საჭიროებს სხვადასხვა ქვეყნებში, რომლებიც, პირველ რიგში, უსიტყვოდ მოემსახურებიან მსოფლიო რევოლუციას და თავიანთ პროლეტარულ რაზმებს მსოფლიო პროლეტარული არმიის რაზმებად აქცევენ.

მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობა ამის გამო არა მარტო შემობრუნების პუნქტი, არამედ გზაჯვარედინიცაა. ორიდან ერთი:

ან — ან

ან:

— „პრიმიტიულობა და კრუჟკოვშჩინა“ საერთაშორისო დონეზე (შეიძლება ნაციონალურ საფეხურს შევადაროთ), იხ. ლენინი — „რა ვაკეთოთ?“; მიმოფანტული ორგანიზაციები განსხვავებული პოლიტიკური და იდეოლოგიური მიმდინარეობებით, კლასობრივად უცხო ელემენტების თავშესაფრები;

— ინტერნაციონალური კავშირები, სუსტად ორგანიზებული ფორმები, რომლებიც ხელს არ უწყობენ რეალურ გაერთიანებას, იმ სხვადასხვა ქვეყნების ჯგუფის საერთაშორისო დღესასწაულები, რომლებიც ამ გზით ჰორიზონტალურად თანამშრომლობენ;

— მოძმე ფედერალური კავშირები; დამოუკიდებელ ორგანიზაციათა ინტერნაციონალური კომბინაციები და ა.შ.

ეს თავმოკვეთილი მსოფლიო მოძრაობაა საერთო მიზნის გარეშე, ძველი მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის ფედერალისტური ნარჩენები სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე ოპორტუნისტული ორგანიზაციის მეთაურობით. ჩვენ ასეთ საერთაშორისო მოძრაობებს „ანტილენინურებს“ ვუწოდებთ, ვინაიდან ისინი ამახინჯებენ ლენინის ნაშრომის — „რა ვაკეთოთ?“ — ინტერნაციონალურ მნიშვნელობას, რომელიც გლობალურ დონეს შეეხება. არსებითად, იმ პერიოდის რუსეთში ლენინის ოპონენტებსა და ეგრეთ წოდებულ დღევანდელ „მარქსისტულ-ლენინურ მოძრაობას“ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

ან:

— მიზანმიმართული ბრძოლა ნაირგვარი ეგრეთ წოდებული „მარქსისტულ-ლენინური“ მსოფლიო ასოციაციების წინააღმდეგ;

— ვერტიკალური სტრუქტურის მქონე სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა ბოლშევიკური პარტიის მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებთან შესაბამისად, თავისი საკუთარი გლობალური სტრატეგიითა და ტაქტიკით, თავისი საკუთარი დემოკრატიული ცენტრალიზმით. ესაა განახლებული მარქსისტულ-ლენინური მოძრაობა, რომელიც საერთაშორისო ხელმძღვანელი ცენტრია; ლენინის ნაშრომის — „რა ვაკეთოთ?“ — მსოფლიო მასშტაბით გამოყენება.

მსოფლიო პროლეტარიატის გლობალურ იარაღს მსოფლიო ბურჟუაზიის გლობალური იარაღის დამარცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ იგი მკაცრად ორგანიზებული მსოფლიო პროლეტარული არმიის ხელში იქნება, რომელსაც თავისი სამეთაურო ნაწილი უხელმძღვანელებს გლობალურ კლასობრივ ბრძოლებში.

ეს საკითხი მთელი სიმწვავეთა და პირდაპირობით უნდა დაისვას. იგი ხუთი ბელადის მოძღვრებათა საფუძველზე უნდა გადაიჭრას. სხვაგვარად მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის სერიოზულად აღქმა შეუძლებელია!

არსებობს მხოლოდ ორი გზა: მსოფლიო პარტიის შექმნის მხარდაჭერა ან წინააღმდეგობის გაწევა. ამ პრინციპულ საკითხში კომპრომისი გამორიცხულია. სტალინურ-ხოჯაისტურ მოძრაობას მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის გარეშე მომავალი არ გააჩნია.

კომინტერნის (მ-ლ) დაფუძნებასთან დაკავშირებული 2000 წლის 31 დეკემბრის განცხადების ბირთვი იყო ოპორტუნისტთან კავშირის გაწყვეტა და მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის გამოცხადება მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის ბოლშევიზაციის საფუძველად. ამავე დროს, თითქმის 10-წლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ **შეუძლებელია მსოფლიო ოპორტუნისტული მოძრაობის ბოლშევიზაცია, მის წინააღმდეგ მხოლოდ ბრძოლაა საჭირო ბოლშევიზმზე მყარად დაყრდნობით.**

ხუთი ბელადის კომინტერნის (მ-ლ) მიერ შექმნილი პოპულარობა დამაჯერებლად ესახება მრავალ ორგანიზაციას, რომლებმაც ხუთი ბელადი საკუთარ სიმბოლოდ აქციეს. კომინტერნის (მ-ლ) ეს გამარჯვება მსოფლიო ოპორტუნისტულ მოძრაობაზე პირველი ნაბიჯია, რათა ჩამოვყალიბოთ ჩვენი საკუთარი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა — მარქსიზმ-ლენინიზმის გლობალური ბასტიონი ეგრეთ წოდებული „მარქსიზმ-ლენინიზმის“ წინააღმდეგ.

ჩვენი პლატფორმა იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენს მიერ 2000 წელს საერთაშორისო ოპორტუნისტთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ოპორტუნისტთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტით დასრულდება, ასე რომ თითოეულ ამხანაგს თავადვე შეუძლია დასკვნების გაკეთება.

აქამდე კომინტერნს (მ-ლ) უკიდურესად ცენტრალისტური პოზიცია ეკავა ძველი მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის მსოფლიო რევოლუციურ ფრთაში, სადაც ოპორტუნისტი ბელადები ჩვენს იზოლირებას ცდილობდნენ.

თითქმის 10 წლის შემდეგ დადგა ჟამი სწორხაზოვანი და პერმანენტული ბრძოლისა ძველი მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის მოლაპატებთან. ამჟამად დადგა დრო, როცა სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა სადემარკაციო ხაზით უნდა გამოვეყოთ. სახელის „კომინტერნად (ს-ს)“ გადარქმევა ლოგიკურად გამომდინარეობს ოპორტუნისტის წინააღმდეგ განვლილი ბრძოლიდან. **ახალი ტერმინი — „სტალინიზმ-ხოჯაიზმი“ — ახალ რევოლუციურ გულებს მოიპოვებს, გაახარებს და სიამაყით აავსებს მათ. მხოლოდ წვრილბურჟუაზიული ელემენტები დაფრთხებიან.**

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა ერთადერთი ჭეშმარიტი მიმდევარია ამხანაგ ენვერ ხოჯას ძველი გმირული მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობისა, რომელიც მთელი გმირული კომუნისტური მსოფლიო მოძრაობის ერთადერთი ჭეშმარიტი მიმდევარი იყო.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა — ესაა მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მსოფლიო მოძრაობა. ეს საუკეთესო განმარტებაა, რომელიც ახალი კომინტერნის გლობალურ პოლიტიკურ ხაზს გამოხატავს.

ძველ კომუნისტებს უყვართ ჩვენთვის „გამთიშველების“, „სექტანტების“ დარქმევა, მაშინ როცა სტალინისტ-ხოჯაისტები საკუთარ ხაზს ოპორტუნისტული მარშისგან გათავისუფლებას უწოდებენ. ჩვენ ბოლშევიზმის ძველ ტრადიციებს მივყვებით და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, მივბაძოთ ლენინის მაგალითს, რომელმაც გაბედულად გაწვიტა კავშირი მეორე ინტერნაციონალთან, რათა მესამე ინტერნაციონალი შეექმნა.

ჩვენ არ ვიცით და ვერ ვიწინასწარმეტყველებთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მსოფლიო ასპარეზზე უახლოესი წლების მანძილზე. რაც ზუსტად ვიცით და რაშიც დარწმუნებული ვართ, ისაა, რომ ჩვენი კომინტერნი (ს-ს) დაულალავად აგრძელებს მსოფლიო რევოლუციურ ბრძოლას და სტალინიზმ-ხოჯაიზმის ჩვენს ახალ იდეებს მთელ მსოფლიოში ავრცელებს. შეიქმნა გლობალიზაციის პირობები და ის დრო, როდესაც ერთი პარტია ერთ ქვეყანაში ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს ხელმძღვანელობდა, საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს, ისევე როგორც „პრიმიტიულობისა და კრუჟკოვშჩინის“ დრო. **კომუნისტური მსოფლიო ცენტრის გარდაქმნის გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.**

ვისაც მართლა უნდა, რომ დაზღვეული იყოს ნეო-რევოზიონისტული მსოფლიო ცენტრების მორჩილებისგან, ბოლშევიკური მსოფლიო ცენტრის შექმნაში მონაწილეობს. კომუნისტურ ინტერნაციონალს წუწუნით ვერ ალადგენ. ამის გაკეთება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი.

კომინტერნი (მ-ლ) ნეო-რევოზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად შეიქმნა. თავის მხრივ, ნეო-რევოზიონისტები ცდილობენ, პროლეტარებს უარი ათქმევიონონ კომუნისტური ინტერნაციონალის ხელახლა შექმნაზე. **სიტყვით — კომუნისტური ინტერნაციონალის „დაცვა“, საქმით კი — მისი აღორძინების საბოტაჟი.** კომუნისტური ინტერნაციონალის ხელახლა შექმნის საკითხში ოპორტუნისტის არსი მჟღავნდება.

ისინი, ვინც კომინტერნის აღდგენის „მოუმიწიფებლობის“ აბსოლუტიზირებას ახდენენ (და ეს ხდება მისი დაშლიდან 66 წლის შემდეგ!) და ვინც იმის დამტკიცებას ცდილობს, თითქოს კომუნისტური ინტერნაციონალის „დრო ჯერ არ დამდგარა“, მსოფლიო პროლეტარიატი სერიოზულად არც კი აღიქვამს მსოფლიო კრიზისით განპირობებულ მსოფლიო რევოლუციურ სიტუაციაში.

კომუნისტური ინტერნაციონალის აუცილებლობისადმი სერიოზული დამოკიდებულება კომინტერნისთვის (ს-ს) კომუნისტის პატიოსნების მაჩვენებელია.

არა ოპორტუნისტული ჯგუფების მსოფლიო ასოციაციებს, არამედ მსოფლიო ბოლშევიკურ პარტიას შეუძლია მსოფლიო პროლეტარიატის გაძღოლა. თუ ლენინმა შეძლო თავის ქვეყანაში კრუჟკოვშჩინის წარმატებით გადალახვა, სტალინელ-ხოჯაისტები ამას გლობალურ დონეზე მოახერხებენ. სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ერთიანობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაიჭრება მიმდინარე ამოცანა: ერთიანობა მისი (მოძრაობის) ახალი გლობალური ცენტრის — მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის — შესაქმნელად!

არ არსებობს სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის სხვა „ერთიანობა“, გარდა ერთიანობა კომუნისტური ინტერნაციონალის ხელახლა შესაქმნელად!

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ან კვდება კომუნისტური ინტერნაციონალის მხრიდან ხელმძღვანელობის გარეშე, ან კიდევ გადალახავს საყოველთაო კრიზისის მსოფლიო პარტიის ხელახლა შესაქმნელად შეგნებული და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმით.

მიგვაჩნია, რომ დღევანდელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მსოფლიო პროლეტარიატის უმაღლესი ინტერესების კონკრეტიზაციას, უწინარეს ყოვლისა კი, კომუნისტური ინტერნაციონალის ხელახლა შექმნას საჭიროებს. მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მსოფლიო ხელმძღვანელ ცენტრს საჭიროებს. ეს სხვა არაფერს ნიშნავს, გარდა ერთგულებისა ბოლშევიზმის სტალინისეული თორმეტი თეზისის მიმართ — დემოკრატიული ცენტრალიზმის გლობალური ნორმებით შეიარაღებას.

მსოფლიო პროლეტარიატისთვის განსაკუთრებით მავნებელია ის „მარქსისტულ-ლენინური“ პარტიები, რომლებმაც „დამოუკიდებელ სამეფოთა“ იმიჯი შეიქმნეს. ლენინმა ამხილა „ლიგის კონცეფციის“ ფუნდამენტ-

ტური ოპორტუნისმი და პარტიის ახალი ტიპი შექმნა. ეს იყო ლენინური ბოლშევიკური პარტია, თავდაპირველად ნაციონალურ, შემდეგ კი ინტერნაციონალურ დონეზე — მსოფლიო პარტია, კომინტერნი.

ყოფილი მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობა მხარს უჭერდა ამხანაგ ენვერ ხოჯას სოციალისტურ ალბანეთს როგორც მსოფლიო რევოლუციის ბერკეტს. ამით მოძმე პარტიები მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის ინტერნაციონალიზმს გამოხატავდნენ. თუმცა პროლეტარიატის დიქტატურის უკანასკნელი ქვეყნის დამხობის შემდეგ მარქსისტულ-ლენინურმა მსოფლიო მოძრაობამ დაკარგა თავისი ხელმძღვანელი მსოფლიო ცენტრი და ბურჟუაზიულ-რევოლუციური სამყაროს დაუფარავი ზეწოლის ზემოქმედებით ოპორტუნისმი შეაბიჯა. სრულიად ნათელი იყო, რომ ოპორტუნისმის მეშვეობით მოძრაობის შიგნით არსებული რევოლუციური ელემენტების დეზორიენტირების მცდელობა ხორციელდებოდა. ეს რევოლუციური ელემენტები უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ვინაიდან ვერ მოახერხეს მოძრაობის დაბრუნება მის რევოლუციურ ფესვებთან. ამრიგად, მათ დრო სჭირდებოდათ თავისი საკუთარი რეორგანიზაციისთვის მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის ბაზაზე. ამჟამად მზად ვართ, რომ შევექმნათ საკუთარი მსოფლიო ცენტრი — კომუნისტური ინტერნაციონალი, ახალი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა კომინტერნის (ს-ს) ხელმძღვანელობით, რომელიც საკმარისად ძლიერი იქნება იმისთვის, რომ წინ აღუდგეს ნებისმიერ ნეო-რევოლუციონისტულ მსოფლიო მოძრაობას და დაამარცხოს იგი.

სტალინი აღნიშნავდა, რომ მნიშვნელობა არა აქვს, პატარაა თუ დიდი ორგანიზაცია, მთავარი ისაა, თუ როგორია მისი პოლიტიკური ხაზი, სწორია თუ არა მისი იდეოლოგიური ნიადაგი.

სწორედ მსოფლიო პროლეტარიატი და სხვა არავინ წყვეტს, თუ რა ემსახურება მის რევოლუციურ ინტერესებს. ჩვენ გვჯერა მსოფლიო პროლეტარიატის. ჩვენი პოზიცია სრულიად ცალსახაა: **მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი ძალაა როგორც მთლიანობაში, ასევე მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში, თუკი მას ლენინურ-სტალინური ტიპის მსოფლიო ბოლშევიკური პარტია წარმართავს.** აქედან გამომდინარე, 2000 წელს კომინტერნი (ს-ს) დაარსდა.

ჩვენ ვესალმებით იმ ამხანაგებს, რომლებსაც უნდათ, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა შეძლებისდაგვარად სწრაფად დაიწოს მუშაობა, რომლებსაც ბოლშევიკური მსოფლიო პარტიის და, აქედან გამომდინარე, საერთაშორისო დემოკრატიული ცენტრალიზმის ნახვა სურთ. ჩვენ მათ უყოყმანოთ ვართმევთ ხელს. ჩვენ არ გვსურს ვინმეს ძალით შემოერთება, თუმცა მზად ვართ დიდი მონდომებითა და გულწრფელობით შევთავაზოთ ყველას ინტერნაციონალური დახმარება. კომინტერნს (ს-ს) მხოლოდ თავისი საკუთარი ძალისხმევითა და მცდელობებით შეუძლია კარგი მაგალითის მოცემა.

თუმცა კომინტერნი (ს-ს) არასდროს მიიღებს იმ ნაციონალური „მარქსისტულ-ლენინური“ პარტიების ამა თუ იმ ტენდენციას, რომლებიც „საკუთარ სამეფოს“ იცავენ. ჩვენ არ შეგვიძლია მსოფლიო პროლეტარიატს ვემსახუროთ ისე, რომ გვერდზე არ მოვისროლოთ გარკვეული ნაციონალისტური, ანგარებიანი, ობსტრუქციონისტული ტენდენციები, „საკუთარ“ ქვეყანაში სოციალიზმის გახუნებული ლოზუნგი. პროლეტარული ცნობიერებისა და მსოფლიო პროლეტარიატის ჩვეულებებისკენ მიმავალი გზა — ესაა პერმანენტული კლასობრივი ბრძოლის გზა, მსოფლიოს თითოეული ქვეყნის მოძრაობათა ძველი და მავნებელი ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გზა.

ერთი ქვეყნის პროლეტარიატის ცალკეული ინტერესები (ან კიდევ გარკვეული ქვეყნების ჯგუფური ინტერესები) მსოფლიო პროლეტარიატის საერთო ინტერესებს ემორჩილებიან და არა პირიქით.

თავისი ქვეყნის კარგი კომუნისტი — ესაა, უწინარეს ყოვლისა, კარგი მსოფლიო კომუნისტი!

თუმცა, თუ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას პირველ რიგში საკუთარი ქვეყნის სამსახურში ჩავაყენებთ, მაშინვე მინიმუმამდე დავა ამ თეორიის ინტერნაციონალური არსი. აქედან გამომდინარე, ასეთ პირობებში რევოლუციური მოძრაობა საკუთარ ქვეყანაში ვეღარ განვითარდება მსოფლიო-პროლეტარული მოძრაობის ინტერესების შესაბამისად.

რაც ჩვენ გვჭირდება, ესაა მსოფლიო პროლეტარიატის სტალინურ-ხოჯაისტური თეორია მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში, რომლის მეშვეობითაც მსოფლიო-რევოლუციური მოძრაობა თითოეულ ქვეყანაში მოახერხებს განვითარებას.

სტალინი აღნიშნავდა, რომ „...**კომუნისტური პარტია პროლეტარიატის მონოლითური პარტიაა და არა სხვადასხვაგვარი კლასობრივი ელემენტების ბლოკის პარტია**“ (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ქართულ ენაზე, ტ.11, 1950წ., გვ.313. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) მემარჯვენე გადახრის შესახებ).

ამის გამო კომუნისტური ინტერნაციონალი ყალიბდება მთელი მსოფლიო პროლეტარიატისგან როგორც ერთი მთლიანი, იგი არაა პარტია, რომელიც თავის თავში მექანიკურად აერთიანებს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ოპორტუნისტული ტენდენციების მქონე ამა თუ იმ კლასობრივ ელემენტს.

მსოფლიო პროლეტარიატის სახელით ჩვენ, სტალინისტ-ხოჯაისტებს, არა მარტო გამბედაობა, არამედ ვალდებულებაც გვაქვს, რომ განვაცხადოთ: **თითოეული ორგანიზაცია, თითოეული ჯგუფი, თითოეული მოძრაობა მსოფლიოს ქვეყნებში, თითოეული მოძრაობა მსოფლიოში მოწინააღმდეგედ ჩაითვლება, თუ ისინი კომუნისტური ინტერნაციონალის აღდგენას შეეწინააღმდეგებიან.**

მხოლოდ მაშინ შეიძლება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ნაწილად ყოფნა, როცა მსოფლიო ბოლშევიკური პარტიისთვის იბრძვი.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა ან მხარდაუჭერლობა — აი, რის საფუძველზე გამოეყოფა ოპორტუნობი მარქსიზმ-ლენინიზმს. რაც უფრო სწრაფად და საფუძვლიანად გაკეთდება ეს, მით უკეთესია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობისთვის, მით უკეთესია მსოფლიო პროლეტარიატისთვის.

რაც არ უნდა იყოს, შესაძლებელია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის მომავალი განვითარების სამი მიმართულების განჭვრეტა:

1. ყველაფრის ხელუხლებლად დატოვების ტენდენცია მარქსიზმ-ლენინიზმის იმ მოძველებული დოგმატიზმისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, რომლებიც მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის განვითარებას აფერხებენ. ამას უსიცოცხლო, ბებრულ სიჯიუტემდე და დოგმატიზმამდე მივყავართ. ეს ტენდენცია სხვა არაფერია, თუ არა კომუნისტური ინტერნაციონალის უარყოფა.
2. მოძველებული დოქტრინების ჩანაცვლება არა სწორი მოძღვრებებით, არამედ ოპორტუნისტული დოქტრინებით. ეს გარდაუვლად გამოიწვევს განხეთქილებასა და, აქედან გამომდინარე, დამარცხებას. შედეგი აშკარაა: ანტიმარქსისტულ პრინციპებს კომუნისტური ინტერნაციონალის აღდგენა რევიზიონისტული ჭაობისკენ მიათრევს და იგი კლასობრივი მტრების ხელში ინსტრუმენტად იქცევა.
3. იმ ჭეშმარიტი ბოლშევიკური მსოფლიო პარტიის რეორგანიზაციის ტენდენცია, რომელიც მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა საფუძველზე.

პირველი ორი ტენდენცია რეგრესიულია. მხოლოდ მესამე ტენდენციაა სწორი, მომავალიც მხოლოდ მას გააჩნია.

„რევოლუციური პროლეტარიატის — კაპიტალისტური სისტემის მესაფლავის — ინტერნაციონალური ამოცანების შესასრულებლად კომუნისტური ინტერნაციონალი ერთადერთი საყოველთაო ძალაა, რომლის პროგრამაც პროლეტარიატის დიქტატურა და კომუნიზმია, და რომელიც ღიად მოქმედებს როგორც ინტერნაციონალური პროლეტარული რევოლუციის ორგანიზატორი“ (კომინტერნის პროგრამა, 1928).

„კომინტერნის (ს-ს) თეორია და პრაქტიკა — ესაა მსოფლიო რევოლუციის ორგანიზაცია ზოგადად და მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება კონკრეტულად“ (კომინტერნი (ს-ს)).

მსოფლიო პარტია — ესაა პროლეტარიატის საერთაშორისო კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა.

კომინტერნი (ს-ს) მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებული პროლეტარიატის მსოფლიო მოძრაობის შეგნებული მატარებელია.

„ამოცანად ისახავს რა იმას, რომ პროლეტარიატმა შესძლოს თავისი დიადი ისტორიული მისიის შესრულება, საერთაშორისო კომუნისტური პარტია რაზმავს მას დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად, რომელიც უპირისპირდება ყველა ბურჟუაზიულ პარტიას, ხელმძღვანელობს უწევს მისი კლასობრივი ბრძოლის ყოველგვარ გამოხატულებას, ააშკარავებს მის წინაშე ექსპლუატატორების ინტერესების შეურთებელ წინააღმდეგობას ექსპლუატირებულთა ინტერესებისადმი და ურკვევს მას მომავალი სოციალური რევოლუციის ისტორიულ მნიშვნელობას და აუცილებელ პირობებს“ (ვ.ი. ლენინი. თხზულებანი. მე-4 გამოცემა, ქართულ ენაზე. ტ.29, 1952წ., გვ.105. რკპ(ბ) პროგრამის პროექტი).

ამჟამად მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატის ავანგარდის იდეოლოგიურად შერჩევის გაკეთება შეგვიძლია. ახლა ეს ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. კომინტერნის (ს-ს) იდეოლოგიური მომზადების სათანადო დონის გარეშე პირველ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამთ, მეორეზე კი ლაპარაკიც აღარ იქნება.

მსოფლიო პროლეტარიატის ჩამოუყალიბებელი ავანგარდის ბრძოლაში გაშვება, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად მსოფლიო პროლეტარიატსა და მშრომელ მასებზე, არა მარტო სიბრიყვე, არამედ დანაშაულიც იქნება. თუ მსოფლიო რევოლუციურ პარტიას ყველა ქვეყნის რევოლუციურ კლასთა ავანგარდის უმრავლესობა არ ხელმძღვანელობს, მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო პარტია მთლიანად ეყრდნობა პროლეტართა უმრავლესობას თითოეულ ქვეყანაში, მხოლოდ მაშინ დაემორჩილება უმცირესობა უმრავლესობას. პროლეტარიატის უმრავლესობის წინაშე ასევე დანაშაული იქნებოდა ბრძოლის გამოუცხადებლობა, თუკი უმცირესობა ჯერ კიდევ ყოყმანობს. ამ მსოფლიო პარტიის, როგორც ხელმძღვანელი გლობალური ძალის გარეშე (ისევე როგორც მსოფლიოს ქვეყნებში აბსოლუტურ უმრავლესობაზე დაყრდნობის გარეშე), ლაპარაკიც კი ზედმეტია მსოფლიო რევოლუციური მოქმედებების ერთიანობაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურაზე.

კომუნისტური მსოფლიო პარტია არ აპირებს თავისი ხელმძღვანელი როლის განაწილებას სხვა პარტიებთან. პროლეტარული მსოფლიო პარტია ფუნდამენტური ძალაა პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის სისტემაში.

ოქტომბრის რევოლუციამ 92 წლის წინ მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვა, რომ მუშათა კლასსა და მრომელ მასებს მეთაურობდა პარტია, რომელიც უშიშრად იბრძოდა ბოლშევიზმის დროშით ანტიმარქსისტული და

ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ, რომელიც აყალიბებდა, აერთიანებდა და აახლოებდა ორგანიზაციებს ამ ბრძოლის მეშვეობით, რომელიც რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური თეორიის პოზიციებზე იდგა, რომელიც რკინისებრი დისციპლინითა და უნაკლო, მიზანმიმართული ხელმძღვანელობით ხასიათდებოდა, რომელსაც მანამდე არსებული სოციალისტური პარტიები ვერ შეედრებოდნენ.

რევოლუციური პარტიის როლის შესახებ ლენინის მიერ გამოქვეყნებულმა თეორიამ, რომელიც სტალინმა მიზანმიმართულად განავითარა, ერთ-ერთი ფუნდამენტური და უმნიშვნელოვანესი გაკვეთილია. ბოლშევიკური პარტიის როლის თეორიის გაგების გარეშე ნებისმიერი ქვეყნის მუშათა კლასის პარტია წარმატებას ვერ მიაღწევს, ისევე როგორც ვერ მიაღწევს წარმატებას მსოფლიო კომუნისტური პარტია, ისევე როგორც ვერ მიაღწევს წარმატებას კომუნისტური ინტერნაციონალი, რათა საბოლოოდ უზრუნველყოს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება მსოფლიო დონეზე.

III

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა — ესაა მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მსოფლიო მოძრაობა.

ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის წყარო არ დაწრეტილა. ეს წყარო ჩვენი ყოველდღიური კლასობრივი ბრძოლისა და სოციალიზმზე ჩვენი პრინციპული შეხედულებების სასიცოცხლო მნიშვნელობის ელემენტად რჩება. ამრიგად, ჩვენ ვიცავთ გაცილებით მეტს, ვიდრე ეს მისი სახელოვანი ისტორიაა.

კომინტერნი (ს-ხ) მსოფლიოში ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც დაუღალავად და განუხრელად იცავს ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის რევოლუციურ ხაზსა და სახელოვან ტრადიციას, მიუხედავად იმისა, რომ მოძმე ხოჯაისტური პარტიები, განსაკუთრებით კი — ალბანეთის შრომის პარტია, პრაქტიკულად მთლიანად ჩაეფლნენ ოპორტუნისტების ჭაობში.

კომინტერნი (ს-ხ) ამხანაგ ენვერ ხოჯას ალბანეთის შრომის პარტიას ლენინისა და სტალინის ბოლშევიკური პარტიის ერთნაირად მაღალ დონეზე აყენებს. ორთავე მათგანი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ცენტრალური ხელმძღვანელი ძალა იყო (ამასთან ერთად, არ უნდა დავივიწყოთ მარქსისა და ენგელსის მანამდელი მიღწევებიც). ჩვენი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ღირებული, თუ ჩვენ, კომუნისტებმა, ვიცით მისი მიღწევების დაცვა. დიადი კომუნისტური ტრადიცია — ეს ის მტკიცე ნიადაგია, რომელზეც ჩვენ გამარჯვების მარშით მივდივართ.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების შესაბამისად სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა განსაკუთრებით მხარს უჭერს რუს და ალბანელ ამხანაგებს, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის დროშას მაღლა აფრიალებენ. მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტია პროლეტარიატის დიქტატურის ახალი მონაპოვარის აქტიური წარმმართველი ძალაა, რომელსაც მთელი მსოფლიო პროლეტარიატის გათავისუფლების სამსხვერპლოზე ყველაზე მეტი მსხვერპლი მიაქვს.

მხოლოდ ორი ჭეშმარიტად სოციალისტური ქვეყანა კვალავდა გზას მსოფლიო სოციალიზმისაკენ. ისინი გზამკვლელები იყვნენ და მაგალითს იძლეოდნენ. მთელ მსოფლიო პროლეტარიატს მიჰყავს თქვენი ბრძოლა თქვენი საბოლოო გამარჯვებისათვის, ლენინისა და სტალინის ყოფილი საბჭოთა კავშირის მუშათა გამარჯვებისათვის, ისევე როგორც ამხანაგ ენვერ ხოჯას ყოფილი ალბანეთის სოციალისტური რესპუბლიკის მუშათა გამარჯვებისათვის!

რა არის განსხვავება ახალ სტალინურ-ხოჯაისტურ მსოფლიო მოძრაობასა და ამხანაგ ენვერ ხოჯას ყოფილ მარქსისტულ-ლენინურ მოძრაობას შორის?

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ახალი ტიპი ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის ძველი ტიპიგან ძირითადად თავისი გლობალური ხასიათით განსხვავდება.

მათ პერიოდში სოციალისტური ქვეყანა და, შესაბამისად, ამხანაგ სტალინის სოციალისტური ბანაკი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის „საფუძვლად და მამოძრავებელ ძალად“ კვალიფიცირდებოდა.

ეს არ მოქმედებს სოციალიზმის მეორე პერიოდში. გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო რევოლუციის „საფუძველი და მამოძრავებელი ძალა“ მეტისმეტად დიდი გახდა „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმისთვის. მსოფლიო იმპერიალიზმმა სოციალისტური ნიადაგის ლიკვიდირება მოახდინა და საფუძვლად და მამოძრავებელ ძალად მსოფლიო რევოლუცია განამტკიცა ამ უკანასკნელის მთელ მსოფლიოში გავრცელებით.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა დღესდღეობით კომუნისტური მსოფლიო მოძრაობის ახალი ტიპია, რომელიც გზას გვიხსნის სოციალიზმის მეორე პერიოდისკენ — მსოფლიო სოციალიზმისკენ. დღესდღეობით, კლასობრივ ურთიერთობათა კარდინალურად შეცვლილ სიტუაციაში მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებული პროლეტარიატი ცალკეულ ქვეყნებში იმ სოციალისტური რევოლუციის „საფუძველი და მამოძრავებელი ძალა“ ხდება, რომელიც პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურითაა გარანტირებული.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა შეიძლება დავახასიათოთ როგორც ახალი მსოფლიო-სოციალისტური მოძრაობა. სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა ისეთი სოციალისტური მოძრაობაა, რომელიც თანამედროვე გლობალური კლასობრივი ბრძოლის ყველა ფორმას აერთიანებს.

მსოფლიო რევოლუციური მოძრაობისა და ინტერნაციონალური კლასობრივი ბრძოლის კონკრეტული ფორმების წყაროა მსოფლიო კაპიტალიზმის მემკვიდრეობითი წინააღმდეგობები, განსაკუთრებით კი წინააღმდეგობა მსოფლიო კაპიტალსა და მსოფლიო შრომას შორის, მსოფლიო პროლეტარიატსა და მსოფლიო ბურჟუაზიას შორის. ეს ძირითადი წინააღმდეგობები მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარებას განაპირობებენ.

ჩვენ, კომუნისტები, მსოფლიო პროლეტარიატის მოთხოვნილებების დაუყოვნებლივი და განუწყვეტელი დაკმაყოფილებისთვის ვიბრძვით, თუმცა დღევანდელ გლობალურ ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში ჩვენ პარალელურად წარმოვადგენთ უახლოესი მომავლის მსოფლიო სოციალისტურ მოძრაობას და შორეული მომავლის მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას.

თითოეული ცალკე აღებული ქვეყნის პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში ჩვენ მსოფლიო პროლეტარიატის გლობალური კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს ვიცავთ.

დღევანდელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მსოფლიო სოციალიზმის ზღურბლზე დგას. ჩვენ აღარ ვიბრძვით სოციალიზმისთვის „ერთ“ ქვეყანაში, როგორც ეს ლენინის პერიოდში იყო. ჩვენ აღარ ვიბრძვით ყოფილი სოციალისტური ბანაკის პირობებში, რომელიც „ერთი“ სოციალისტური ქვეყნიდან აღმოცენდა, როგორც ეს სტალინის პერიოდში იყო. და ჩვენ აღარ ვიბრძვით ორი ანტაგონისტური სოციალური ფორმაციის — ბურჟუაზიულ-რევოლუციონისტურისა და სოციალისტურის — მქონე მსოფლიოს პირობებში, როგორც ეს ენვერ ხოჯას პერიოდში იყო.

„მსოფლიო პროლეტარიატო, შეაერთე ყველა რევოლუციური ძალა ლენინისა და სტალინის საბჭოთა კავშირის დასაცავად!“

„მსოფლიო პროლეტარიატო, შეაერთე ყველა რევოლუციური ძალა ენვერ ხოჯას სოციალისტური ალბანეთის დასაცავად!“

ეს იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ორი სწორი ფორმულა მსოფლიო რევოლუციურ ბრძოლაში იმპერიალიზმისა და რევოლუციონიზმის წინააღმდეგ ძველ დროში, როდესაც ძირითადი კონფლიქტი მსოფლიო კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის მიმდინარეობდა.

მას შემდეგ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა შეიცვალა, იგი გარდაიქმნა მსოფლიო კაპიტალიზმის პირდაპირი და გლობალური განადგურების მოძრაობად პირდაპირი, გლობალური კლასობრივი ბრძოლის გზით კაპიტალისტური გლობალიზაციის ორ ძირითად კლასს — მსოფლიო პროლეტარიატსა და მსოფლიო ბურჟუაზიას — შორის.

დღევანდელი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის არსი კაპიტალისტური სამყაროს სოციალისტურ სამყაროდ ერთბაშად ტრანსფორმაციაში მდგომარეობს, სოციალისტურ და კაპიტალისტურ მსოფლიო ბანაკებს შორის შუალედური ბრძოლის გარეშე.

ჩვენ აღარ ვიბრძვით ყოფილი „სოციალისტური მსოფლიო ბანაკის“ (ამხანაგ სტალინის პერიოდში არსებული სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის) პირობებში.

[სოციალისტური ქვეყნები, მთლიანობაში, სოციალისტურ და კაპიტალისტურ სამყაროთა მშვიდობიანი თანაარსებობის გადასალახავად იბრძვიან და მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობითა და დახმარებით სარგებლობენ].

ჩვენ სრულიად ახალი „მსოფლიო სოციალისტური ბანაკისთვის (მსოფლიოს ყველა ქვეყნის მსოფლიო სოციალიზმის ბანაკი) ვიბრძვით.

[მსოფლიოს ყველა ქვეყნის მსოფლიო პროლეტარიატი მთლიანობაში მსოფლიო სოციალიზმისთვის იბრძვის, „მშვიდობიანი თანაარსებობის“ პერიოდის გვერდის ავლით, რომელიც მსოფლიო კაპიტალიზმის დამპალი სისტემის გლობალიზაციის პირობებში საჭირო აღარაა].

ამის გამო ჩვენ ვიბრძვით გლობალური სოციალისტური ბანაკისთვის მსოფლიო კაპიტალიზმის გლობალური ძალაუფლების პირდაპირ ხელში ჩაგდებას გზით.

მსოფლიოს პროლეტარიატის დიქტატურა, არსებითად, პროლეტარიატის ყველა უწინდელი დიქტატურისგან განსხვავდება. ეს ერთადერთი დიქტატურაა, რომელიც ანადგურებს ნებისმიერი კლასობრივი დიქტატურის გარდუვალობას, ქვეყნებში თავად პროლეტარიატის დიქტატურის ჩათვლით და, მეტიც, პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის ჩათვლით.

ესაა პარიზის კომუნის — როგორც მაქსისა და ენგელსის პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე ადრეული მოდელის — არსებითი განსხვავება. ეს ასევე არსებითი განსხვავებაა პროლეტარიატის დიქტატურის ლენინისეული მოდელისა „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის პირობებში. ეს პროლეტარიატის განვითარებული დიქტატურის — სტალინის მსოფლიო სოციალისტური ბანაკის — პირობების ასევე არსებითი განსხვავებაა. და ბოლოს, მაგრამ არა უკანასკნელ რიგში, ეს არსებითი განსხვავებაა ენვერ ხოჯას პროლეტარული დიქტატურისა იმპერიალისტური და სოციალ-იმპერიალისტური მსოფლიო ძალაუფლების პირობებში.

ამრიგად, ვაჯამებთ:

პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურა — ესაა დიქტატურა მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებული მსოფლიო სოციალიზმის პირობებში, პროლეტარიატის დიქტატურის უმაღლესი და უკანასკნელი ფორმა.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა — ესაა დღევანდელი მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობა, რომელიც პირდაპირ იბრძვის მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურისთვის.

ჩვენ გავიარეთ პირველი ეპოქა სოციალიზმისა, რომელიც ძალაუფლებას კაპიტალიზმს უნაწილებდა. ჩვენ მსოფლიო სოციალისტური ეპოქის ზღურბლზე ვდგავართ. ეს ნიშნავს

მსოფლიოს ორ ნაწილად დაყოფის გარდუვალობის გადალახვას.

ამაშია ჩვენი ახალი მსოფლიო საპროგრამო განცხადების, დახვეწილი სტალინიზმ-ხოჯაიზმის, არსი.

არასდროს აღარ გავუყოფთ ძალაუფლებას კაპიტალიზმს, ბურჟუაზიას.

სტალინი გვიხსნის განსხვავებას სოციალიზმის პირველ და მეორე ეპოქებს შორის და ნაციონალური საკითხის გლობალურად გადაწვეტას მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვებად ახასიათებს. ეს მნიშვნელოვანი განსაზღვრება აქტუალურადვე რჩება მსოფლიო სოციალიზმის პერიოდში ნაციონალური საკითხის გადაჭრისას.

სტალინი სერიოზულ შეცდომაზე ლაპარაკობდა:

„...მარქსისტისათვის შეუწყნარებელია ისეთ სხვადასხვაგვარ მოვლენათა აღრევა და ერთ გროვაში მოქცევა, როგორცაა „სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში“ და „სოციალიზმის გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით“. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სხვადასხვაგვარი მოვლენები ასახავენ ორ სრულიად სხვადასხვა ეპოქას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მარტო დროით (რაც მეტად მნიშვნელოვანია), არამედ თვით თავიანთი არსითაც ...

მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდი უწინარეს ყოვლისა სწორედ იმით განსხვავდება ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდისაგან, რომ იგი ახდენს იმპერიალიზმის ლიკვიდაციას *ყველა ქვეყანაში*, სპობს როგორც მისწრაფებას სხვა ერების დაპყრობისაკენ, ისე შიშს ეროვნული დამონების საფრთხის წინაშე, საფუძველს უსპობს ეროვნულ უნდობლობასა და ეროვნულ შუღლს, აერთიანებს ერებს მსოფლიო სოციალისტური მეურნეობის ერთიან სისტემაში და ამრიგად ქმნის რეალურ პირობებს, რომლებიც აუცილებელია ყველა ერის ერთ მთლიანობად თანდათანობით შერწყმისათვის“ (ი.ბ. სტალინი. თხზულებანი. ქართულ ენაზე, ტ.11, 1950წ., გვ.379-380. ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი).

ამხანაგ სტალინის ეს ჩინებული განმარტება კომინტერნის (ს-ხ) მსოფლიო პროგრამული პლატფორმის განუყოფელი ნაწილია.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა იბრძვის:

- იმპერიალიზმის ლიკვიდაციისთვის ყველა ქვეყანაში;
- სხვა ერების დამორჩილების აუცილებლობის გადალახვისთვის;
- ეროვნული ჩაგვრის საშიშროების აღმოსაფხვრელად;
- ეროვნული უნდობლობისა და ეროვნული შუღლის აღმოსაფხვრელად;
- ყველა ერის გასაერთიანებლად სოციალისტური მსოფლიო ეკონომიკის მდგრად სისტემაში;
- პირობების შესაქმნელად ყველა ერის ერთ ერად თანდათან გარდასაქმნელად.

მსოფლიო პროლეტარიატო, შეაერთე ყველა ქვეყნის სოციალისტური რევოლუცია!

მსოფლიო პროლეტარიატო, შეაერთე მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის ყველა ქვეყანა!

მსოფლიო კომუნისტური რევოლუცია ყველაზე უფრო რადიკალური დარტყმაა კერძო საკუთრებაზე, რომელიც ყველა უწინდელ საზოგადოებაში კერძომესაკუთრეობასთან განვლილ ბრძოლებს ვერ შეედრება. ესაა ბრძოლა კერძომესაკუთრეობის არმქონე უკლასო საზოგადოებისთვის, ეს მსოფლიო კომუნიზმია. სხვა სიტყვებით, კომუნისტები მხარს უჭერენ მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობას მსოფლიო კაპიტალიზმის არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა წინააღმდეგ. ჩვენ, სტალინისტ-ხოჯაისტები, მსოფლიო პროლეტარიატის საერთო მიზნებისა და ინტერესებისთვის ვიბრძვით, თუმცა ამავე დროს თანამედროვე მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაში მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მომავალს — კომუნიზმსაც — წარმოვადგენთ.

ამის პარალელურად, მსოფლიო იმპერიალიზმი განწირულია იმისთვის, რომ მსოფლიო რევოლუციის მამოძრავებელი ძალების მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებაში დაგვეხმაროს. და მხოლოდ დროის ამბავია ის, თუ როდის დაიწყებენ მოქმედებას მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის გლობალური ცენტრის შექმნის მეშვეობით ეს მამოძრავებელი ძალები, როდის ჩანაცვლდება ძველი მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობა, რომელმაც დაკარგა „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის თავისი პარტია, გლობალურად გაერთიანებული მსოფლიო მოძრაობით, რომელსაც ეყოლება თავისი საკუთარი ცენტრისტული პარტია — სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო პარტია.

ჩვენს ახალ მოძრაობას ესაჭიროება ახალი ცენტრი, მსოფლიო ბანაკი, ასე რომ *საერთო* გლობალური პროლეტარული მოძრაობა და პროლეტარული მოძრაობა ცალკეულ ქვეყნებში შეძლებენ გაერთიანებას საერთაშორისო კლასობრივი ბრძოლის ურთიერთდაკავშირებულ და ერთიან მოძრაობად.

მხოლოდ ამ მიმართულებით გავხსნით მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციასა და ცალკეულ ქვეყნებში პროლეტარულ მოძრაობას შორის დიალექტიკურ ურთიერთობათა ჩვენს ახლებურ გაგებას. სხვა სიტყვებით,

სოციალისტური რევოლუციის ეს ორი სხვადასხვა ფორმა დიალექტიკურად უნდა შეერწყას ერთმანეთს ერთ მთლიანობად, რათა მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული რევოლუციური პროცესი აამოძრაოს.

ასეთი მსოფლიო სოციალისტური ბანაკის შექმნით მსოფლიო პროლეტარიატი ახდენს მსოფლიო მასშტაბით გაერთიანებული თავისი კლასობრივი ბრძოლის ცენტრალიზებას, აძლიერებს და აჩქარებს თავის საკუთარ მსოფლიო-რევოლუციურ მოძრაობას, რათა შეცვალოს პოლიტიკური ძალაუფლება მსოფლიოს მასშტაბით. მხოლოდ სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო ბანაკი აძლევს კლასობრივ ბრძოლას თითოეულ ქვეანაში თავისი საკუთარი გარდაქმნისა და თავისი საკუთარი ძალის როგორც მსოფლიოს გაერთიანებული რევოლუციური კლასობრივი მოძრაობის გაძლიერების საშუალებას. ამრიგად, ესაა დაჩქარების გლობალური პროცესი, რომელშიც თანდათან ჩაერთვება თითოეული ქვეყნის დამოუკიდებელი მოძრაობები და რომელიც მათ ძალას შემატებს.

ეს გლობალური პროცესი შეუძლებელია ცალკეულ ქვეყნებში რევოლუციური მოძრაობის ქვეშარტი, თვითგანვითარებადი პროცესის გარეშე. კლასობრივი ბრძოლის გლობალურ პირობებში გლობალური და ნაციონალური კლასობრივი ბრძოლა თავის საკუთარ განვითარებას განიცდის, რომელიც მსოფლიო კაპიტალიზმის ნაციონალური და გლობალური კლასობრივი წინააღმდეგობებითაა განპირობებული.

არადა კლასობრივი ბრძოლა დღესდღეობით თავის უმაღლეს წერტილს მიაღწევს, თუ კლასობრივი ბრძოლის ორივე ფორმა — გლობალური და ნაციონალური — ურთიერთშესაბამისობაში იქნება მოყვანილი, თუკი ისინი ერთმანეთს წასწევნენ წინ არა თავიანთ საკუთარ მოძრაობაზე უარის თქმით, არამედ, პირიქით, მისი შესაბამისობაში მოყვანით სხვა თვითგანვითარებად მოძრაობასთან.

მთლიანობაში სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა კლასობრივი ბრძოლის ნაციონალური რაზმების მთელ ძალასა და მოხერხებულობას ავითარებს. კლასობრივი ბრძოლა ცალკეულ ქვეყნებში არ შეიძლება იზოლირებული იყოს ნაციონალური ჩარჩოებით, არ შეიძლება თითოეულ ქვეანაში დამოუკიდებლად იყოს წარმოდგენილი. კლასობრივი ბრძოლა ცალკე აღებულ ქვეყანაში გლობალური კლასობრივი ბრძოლის ნაწილია და ამის გამო მას ვერ გამოეყოფა, რამეთუ მთლიანის ნაწილია. კლასობრივი ბრძოლის გლობალურ პირობებში ცალკე აღებული ქვეყნები კლასობრივ ბრძოლაში დამოუკიდებლად ვერ გაიმარჯვებენ.

ისინი არ უნდა ჩაიკეტონ თავიანთ ნაციონალურ საზღვრებში და ამის შედეგად არ უნდა წავიდნენ თავიანთი მიზნებისა და ინტერესების წინააღმდეგ. თუმცა სიმართლე იმაში მდგომარეობს, რომ **პროლეტარიატი თავის ბედს საკუთარ ქვეანაში განსაზღვრავს და წყვიტავს ძირითადად თავისი კლასობრივი ბრძოლის გლობალურ ბრძოლის ველზე.**

და პირიქით: კლასობრივი ბრძოლის ნაციონალური რაზმები, თავის მხრივ, გაერთიანებული, საყოველთაო სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობის სიძლიერეს უზრუნველყოფენ. ნაციონალური კლასობრივი ბრძოლის მოძრაობის გარეშე გლობალური მოძრაობა, როგორც ერთი მთლიანი, წყლის ნაყვავა და ვერ შეძლებს წარმატებით ემსახუროს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ნაციონალურ რაზმებს.

მთელი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ძლიერებისა და მობილურობის გარეშე მისი ნაციონალური განყოფილებების ძალაც და მობილურობაც ბრმა და უმისამართოა. ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი სრულიად უმწეონი აღმოჩნდება, როდესაც **გლობალურ პოლიტიკურ და სამხედრო საფრთხეებსა და კონტრრევოლუციურ ინტერვენციებს გადაეყრებიან.**

და პირიქით: ნაციონალურ დონეზე კლასობრივი ბრძოლის სიძლიერისა და მოქნილობის გარეშე მსოფლიო მოძრაობის ბრძოლა გლობალურ დონეზე ღონემიხდილი და უმოძრაო იქნებოდა.

მოვლენათა ამ გზით განვითარების თავიდან ასაცილებლად ყველა ნაციონალური რაზმის ძალა და მოძრაობა გლობალურ ძალასა და მოძრაობას უნდა შევუსაბამოთ.

გლობალური და ნაციონალური რევოლუციური მოძრაობების ურთიერთქმედება გლობალური და ნაციონალური კონტრრევოლუციის ურთიერთქმედებასთანაა დაკავშირებული.

ერთი მხრივ, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობები ერთმანებთან მსოფლიო მოძრაობის სრულფასოვანი მდგრადი ერთიანობის მისაღწევად. მეორე მხრივ, მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტია სხვადასხვა ქვეყნებში არსებული გამაერთიანებელი მოძრაობის ცენტრალიზებას ახდენს. ამრიგად, მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა საკუთარ შესაძლებლობებს მაქსიმალურად ფართოდ შლის ზოგადად მსოფლიო ბურჟუაზიისთვის და კერძოდ სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიისთვის აუცილებელი დარტყმის მისაყენებლად. ესაა **ურთიერთქმედების საშუალება, სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ფუნქციონირების არსი.**

ამ საშუალების გარეშე შეუძლებელია ურთიერთქმედება ნაწილებსა და მთლიანს შორის და განუხორციელებადია როგორც სოციალისტური მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება, ასევე სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ერთ ქვეყანაში.

სტალინურ-ხოჯაისტური ერთიანობის კანონი გვიჩვენებს, რომ პროლეტარიატის გაერთიანება, მისი რევოლუციური ინტერესების გაძლიერება თითოეულ ქვეყანაში და მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანება და მისი საერთო გლობალური ინტერესების გაძლიერება, უდავოდ, თანხვედრებიან.

იმ მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის უნივერსალობა და მრავალმხრივობა, რომელიც თითოეულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის უნივერსალობითა და მრავალმხრივობით გამოიხატება, მათი გაერთიანებული, კოორდინირებული მოქმედების როგორც ერთი მთლიანის

ძალის ტიპიური მიდგომა და დემონსტრირებაა, ფაქტობრივად მსოფლიო პროლეტარიატის დღევანდელი კლასობრივი ბრძოლის გლობალური რევოლუციური პროცესის იერსახეა.

მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის არსი არ მდგომარეობს იმის მტკიცებაში, რომ „ნაწილები და მთლიანი“ ურთიერთქმედებენ (ამა თუ იმ ქვეანაში რევოლუციურ მოძრაობათა დახურულ ურთიერთქმედებასთან შედარებით).

საქმე იმაშია, თუ როგორ ურთიერთქმედებს მსოფლიო რევოლუცია სხვადასხვა სოციალისტურ რევოლუციებთან ცალკე აღებულ ქვეყნებში.

დამახასიათებელია გადასვლა სოციალისტური რევოლუციებიდან მსოფლიო რევოლუციაზე, რაც საწყისი წერტილია ცალკე აღებულ ქვეყნებში რევოლუციის გავრცელებისა და გაძლიერებისთვის.

ცალკეულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციების გლობალიზაცია, მათი გავრცელება და გაერთიანება მსოფლიო რევოლუციის მიზნით (ერთი მხრივ) და მსოფლიო რევოლუციის გლობალიზაცია, მისი საერთო ძალის უკუშეღწევა და განმტკიცება ცალკეული ქვეყნების შიგნით (მეორე მხრივ) ურთიერთგანმაპირობებელია.

რას ნიშნავს ეს?

1. ცალკეული ქვეყნების სოციალისტური რევოლუციების გლობალიზაცია მსოფლიო რევოლუციას არა მარტო მთელი ძალით განვითარებაში ეხმარება, არამედ ამავე დროს მსოფლიო რევოლუციას ისეთ მდგომარეობაშიც აყენებს, რომელიც ქვეყნებში ცალკეული რევოლუციების ერთიანობის გარდუვალობის გარანტიას იძლევა.

2. მსოფლიო რევოლუციის გლობალიზაციის ტენდენცია არა მარტო ერთ მუშტად კრავს სოციალისტურ რევოლუციას ცალკეულ ქვეყანაში და მსოფლიო რევოლუციას, არამედ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციების დაცვასაც ახდენს.

გარდა ამისა, სტალინიზმ-ხოჯაიზმმა აღმოაჩინა გლობალიზაციის ორი ტენდენცია: [გლობალურად გაერთიანებული კაპიტალიზმის ანტაგონისტური ხასიათი და გლობალურად გაერთიანებული სოციალიზმის არაანტაგონისტური ხასიათი; გარდა ამისა, სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობის არაანტაგონისტური ხასიათი]:

ა) ქვეყნებიდან წამოსული [„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“];

ბ) უკან, ქვეყნებში, მიმავალი [„მსოფლიო პროლეტარიატო, გააერთიანე ყველა ქვეყანა!“].

თავდაპირველად პირველი ტენდენცია დომინირებადი იყო, თუმცა მისი განვითარების პერიოდში დომინირებადი გახდა მეორე. ორივე ტენდენცია ერთმანეთს ერწყმის თავიანთი იგივეობის დასამტკიცებლად, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული კომუნიზმის მომზადებაში მდგომარეობს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მსოფლიო-რევოლუციური პროცესის ტემპი; ტემპი იმავე სისწრაფით იზრდება, როგორც ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციები ზრდადი ტემპებით ერთიანდებიან და თანდათან ერწყმიან მსოფლიო რევოლუციას.

და პირიქით.

მსოფლიო რევოლუციის უკუშეღწევის ტემპი ცალკე აღებულ ქვეყნებში იმატებს იმის მიხედვით, როგორც იმატებს ცალკე აღებული სოციალისტური რევოლუციების ტემპი.

მსოფლიო რევოლუციის ტემპი და ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის ტემპი ურთიერთს განაპირობებენ.

შეიარაღებული გზით მსოფლიო პროლეტარიატის ხელში ძალაუფლების გადასვლის არსი გამოიხატება როგორც ნაციონალური მებრძოლი რაზმების მაქსიმალურად დაახლოებასა და საბოლოო ურთიერთშერწყმაში გიგანტურ პროლეტარულ მსოფლიო არმიად, არამედ თითოეულ ცალკე აღებულ ქვეყანაში რევოლუციური მსოფლიო არმიის მაქსიმალურად უკუშეღწევასა და განმტკიცებაში.

მსოფლიო რევოლუციისა და ცალკე აღებულ ქვეყანაში რევოლუციის ურთიერთქმედებასთან ერთად განვიხილეთ მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურისა და ცალკე აღებულ ქვეყნებში პროლეტარიატის დიქტატურის განვითარებაც, აგრეთვე მათი სპეციფიკური ურთიერთობანი, მათი გავრცელება, გაერთიანება, გამტკიცება, ტემპი და ურთიერთსტაბილიზაცია. ორი სიტყვით რომ ვთქვათ, განვიხილეთ ერთიან, დაუმარცხებელ მმართველ სისტემად მათი საერთო განვითარების ერთიანობა!

ამრიგად, სამეცნიერო შინაარსით ავავსეთ სტალინიზმ-ხოჯაიზმის, როგორც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის, თეორიისა და პრაქტიკის (მთლიანობაში) და პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის (კერძოდ) განსაზღვრება.

თითოეული ახალი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობა, რომელიც მსოფლიოს მრავალი რევოლუციური მოძრაობისგან შედგება, ყოველთვის ყველა წინამორბედი მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის შედეგია. და ეს გულისხმობს არა მარტო წინამორბედი რევოლუციების მოქცევას, არამედ მიქცევასაც (სტალინი).

მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია არ შემოიფარგლება რევოლუციათა უზრალო თანამიმდევრობით. ცალკეული რევოლუციები მემკვიდრეობითობას საჭიროებენ თავიანთი საკუთარი შეცდომებისა და სისუსტეების გამოსასწორებლად, ასე რომ ისინი კვლავ და კვლავ გარდაუვლად იფეთქებენ ხოლმე.

მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის არსი პერმანენტობაშია, რომელიც მის მოძრაობათა მრავალწახნაგოვან სპექტრს თანდათან აერთიანებს. გადასვლის ამ პერმანენტულ პროცესს მსოფლიო რევოლუციის განვითარების უმაღლესი წერტილისკენ მივყავართ. მსოფლიო კომუნიზმი გადასვლის უკანასკნელი საფეხუ-

რია. „ნაწილები და მთლიანი“ ერთიანობის მეშვეობით იგივეობას აღწევენ. ეს იმას ნიშნავს, რომ „ნაწილები-სა და მთლიანის“ ურთიერთდამოკიდებულება და თანმიმდევრობა ქრება (ერების გაქრობა, მსოფლიო სახელმწიფოს გაქრობა). მსოფლიო რევოლუცია კლასობრივი საზოგადოების, ნაციონალური სახელმწიფოების, კლასების, სახელმწიფოების უკანასკნელი რევოლუციაა. მსოფლიო კომუნიზმი — ესაა სამყარო კლასობრივი რევოლუციების გარეშე. არ არსებობენ კლასები — არ არსებობენ, შესაბამისად, კლასთა რევოლუციები.

მსოფლიო რევოლუციის საბოლოო ამოცანას ასე განვმარტავთ:

ყველაგვარი რევოლუციური კლასის გარდუქვალობის აღმოფხვრა. მხოლოდ სოციალისტურ

მსოფლიო რევოლუციას შეუძლია ამ მიზნის მიღწევა, არც ერთ სხვა რევოლუციას ეს არ შეუძლია.

სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა ცალკეულ ქვეყნებში და სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა ერთმანეთს ერწყმინა როგორც ერთი მთლიანი. ამრიგად, მთელი სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა სახეშეცვლილია. მსოფლიო კომუნიზმში სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა კარგავს თავის კლასობრივ ხასიათს და უკლასო მსოფლიო საზოგადოების ყველაზე უფრო პროგრესულ მოძრაობად გარდაიქმნება.

„ნაწილებისა და მთლიანის“ იგივეობის განხორციელების შემდეგ სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა არსებობას გააგრძელებს კლასობრივი ბრძოლის თავისი ნაციონალური რაზმების გარეშეც. ეს ნიშნავს მისი ყველა ადგილობრივი ნაციონალური მოძრაობის სამსახურზე უარის თქმას, მხოლოდ მთლიანის როლის შენარჩუნებათან ერთად. და ეს მთლიანად შეესაბამება განვითარების კანონს. დიახ, სხვა რამ მთლიანად გამოირიცხულია! წინააღმდეგ შემთხვევაში სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა გახდება უმაღლესი, საბოლოო კლასობრივი მოძრაობა ჯერ კიდევ კომუნიზმის ერის დადგომამდე!

თავდაპირველად იგი იძულებულია, თავდაუზოგავად იბრძოლოს კაპიტალისტური გლობალიზაციის უამრავ გადმონაშთთან.

თავისი განვითარების მანძილზე იგი იძენს სულ უფრო და უფრო მეტ კომუნისტურ ატრიბუტსა და მახასიათებელს. სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობის ცვალებადი ხასიათის დიალექტიკა შემდეგნაირად გვესმის:

თავდაპირველად:

= დაყრდნობა კლასობრივი ბრძოლის მხარდაჭერაზე ყველა ქვეყანაში, რომელიც მადლიერებას გამოხატავს თავისი საერთო, ცენტრალიზებული, კოორდინირებული ძალაუფლების მიღწევისთვის გაწეული დახმარების გამო. ქვეყნებში მიმდინარე კლასობრივი ბრძოლა სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის როგორც მთლიანის განვითარებას განსაზღვრავს.

შემდეგ:

= კლასობრივი ბრძოლის ტენდენცია ცალკეულ ქვეყნებში, რომელიც ერთ მთლიანად უნდა გაერთიანდეს იმ გლობალური კლასობრივი ბრძოლის სახით, რომელიც ამიერიდან ცალკეულ ქვეყნებში კლასობრივი ბრძოლის განმსაზღვრელი იქნება.

და ბოლოს:

= ცალკეული ქვეყნების კლასობრივი ბრძოლის ურთიერთშერწყმა ისეთ დონეზე, რომ მთელი გლობალური სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა ცალკეულ ქვეყნებში საჭირო აღარ იქნება, საიდანაც მისი საბოლოო დაშლა და გაქრობა გამომდინარეობს.

განვითარების ამ უმაღლეს საფეხურზე ასვლის შემდეგ სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა თავიდან იშორებს საკუთარი საყოველთაო-პროლეტარული კლასობრივი ხასიათის ვიწრო ჩარჩოებს და კარს უღებს მსოფლიო კომუნიზმს.

ამრიგად, განვსაზღვრეთ მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის კანონზომიერებები, მისი როლი კომუნიზმის ისტორიასა და კაცობრიობის ისტორიაში.

სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა ცალკეულ ქვეყნებში და მსოფლიოში იგივეობამდე მიდის, ვინაიდან მთლიანის ნაწილები ერთიანდება და, შედეგად, თავად სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის არსიც იცვლება: ამის შემდეგ მას შეეძლება არსებობა ნაციონალური მებრძოლი რაზმების გარეშე, მეტიც, მან აუცილებლად მათ გარეშე უნდა იარსებოს, რათა ახალი არსი შეიძინოს. და ეს ყველაფერი მას შემდეგ ხდება, რაც იგი თავისი არსებობის დასაწყისში ძალას მსოფლიოს ქვეყნების რაზმებიდან იკრეფს, რომლებიც მანამდე სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ზრდას განაპირობებენ. და მათ გარეშე სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა როგორც მთლიანი ასეთად ვეღარ განვითარდება.

რამია განსხვავება პროლეტარულ ინტერნაციონალიზმებს შორის

სოციალიზმის სხვადასხვა პერიოდებში?

„ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმის პერიოდის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მთავარი განსხვავება მსოფლიო სოციალიზმის პერიოდის პროლეტარული ინტერნაციონალიზმისაგან ისაა, რომ სოციალიზმის დამყარება „ერთ“ ქვეყანაში აუცილებლად მოითხოვდა უკლებლივ ყველა ქვეყნის პროლეტართა სოლიდარობასა და გაერთიანებულ დახმარებას.

მსოფლიო სოციალიზმის მხარდაჭერა კი გლობალური მასშტაბით მოხდება. მსოფლიო სოციალიზმი საჭიროებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მხრიდან უპირობო მაქსიმალურ მხარდაჭერას სოლიდარობის მეშვეობით. მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ნიშნავს იმას, რომ კლასობრივი ბრძოლა „საკუთარ ქვეყანაში“ უკვე მარტო „საკუთარ ქვეყანაში“ სოციალისტურ რევოლუციას

აღარ ემსახურება და იგი ყველა დანარჩენი ქვეყნის სოლიდარობითაა განმტკიცებული. მეტიც, კლასობრივი ბრძოლა „საკუთარ ქვეყანაში“ გადაიქცევა ბრძოლად მსოფლიო სოციალისტური რევოლუციისთვის, იმ მსოფლიო პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციურ ბრძოლად, რომელიც სათავეში ჩაუდგება თითოეულ ქვეყანაში მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას. მსოფლიო პროლეტარიატმა ძველი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი თავდაყირა დააყენა და მის ცვალებად ხასიათსაც მუდმივად განსაზღვრავს.

ამის გამო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პირველი, ძველი ლენინისეული განმარტება, მივიღებთ რა ამოსავალ წერტილად კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე, მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებულ პირობებს, შემდეგნაირად უნდა დაიხვეწოს.

დღესდღეობით არსებობს ერთი ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი:

თავდადებული შრომა სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობისა და მსოფლიო პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციური ბრძოლის გასავითარებლად, დახმარების გაწევა (პროპაგანდით, მორალური და მატერიალური დახმარებით) მხოლოდ ასეთი ბრძოლისთვის და მხოლოდ ასეთი გეზისთვის უკვლევლივ ყველა ქვეყნის პროლეტარიატის მიერ.

ვინაა პროლეტარული ინტერნაციონალისტი გლობალიზაციის პირობებში?

ესაა ის, ვინც ნებისმიერ სიტუაციაში იბრძვის მთელ მსოფლიოში ექსპლუატაციისა და ჩაგვრის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ.

ესაა ის, ვინც იცის ექსპლუატაციისა და ჩაგვრის მიზეზები გლობალიზაციის პირობებში.

ესაა ის, ვინც მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებებით ხელმძღვანელობს.

ესაა ის, ვინც ჩაგრულთა ძალებს მსოფლიო პროლეტარიატის ხელმძღვანელობით აერთიანებს.

ესაა ის, ვინც აყალიბებს და ხელმძღვანელობს პროლეტარულ ბრძოლას კაპიტალისტური მსოფლიო სისტემის რევოლუციური სახით გასანადგურებლად კოორდინირების გზით და ბრძოლას ეწევა როგორც ნაციონალურ, ასევე გლობალურ დონეზე.

ჩვენ ლენინისეულ განმარტებას ამხანაგ ენვერ ხოჯას განმარტებით ვავსებთ: „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — ესაა ცალ-ცალკე თითოეული ქვეყნის პროლეტარიატისა და მთლიანობაში მსოფლიო პროლეტარიატის შეხედულებათა და მოქმედებათა ერთიანობა...“ (ენვერ ხოჯა, „მოსხენება ალბანეთის შრომის პარტიის VII ყრილობაზე“, 1976წ., რუსულ ენაზე, გვ.254).

სიკვდილი ნეო-რევიზიონისტულ ლალატს!

მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრება ერთადერთი იდეოლოგიური იარაღია, რომლის მეშვეობითაც ერთხელ უკვე მოხერხდა ბურჟუაზიულ-რევიზიონისტული იდეოლოგიის დამარცხება. მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრება ერთადერთი იდეოლოგია იყო, რომელმაც ბურჟუაზიულ-რევიზიონისტული იდეოლოგია დაამარცხა.

მსოფლიო იმპერიალიზმი ისტორიულად იძულებული იყო, ბურჟუაზიულ-რევიზიონისტული იარაღი თავისი კლასობრივი მტრების წინააღმდეგ გამოეყენებინა — და ეს უკვე მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის ისტორიული გამარჯვების ტოლფასია. მარქსიზმით შენიღბული პროლეტარული კლასობრივი იდეოლოგიის არასწორად გამოყენება ბურჟუაზიის სისუსტის ნიშანია. მართლაც რომ არაა ძალის დამადასტურებელი ის, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგია „ერთ“ ქვეყანაში მარცხდება, და მხოლოდ კლასობრივმა, პროლეტარულმა იდეოლოგიამ შეიძლება მიგვიყვანოს გამარჯვებამდე.

დღევანდელი რევიზიონიზმი ბურჟუაზიული იდეოლოგიის — ეგრეთ წოდებული „მარქსიზმ-ლენინიზმის“ — პარაზიტული და გახრწნილი შენიღვაა. ნეო-რევიზიონიზმი — ესაა ბურჟუაზიული „ანტირევიზიონიზმი“ და შენიღბული ანტიკომუნისმი.

ფარდის უკან რევიზიონიზმს გვაწოდებენ მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის ფორმით, რათა შენიღბონ განადგურებული რევოლუციური შინაარსი, განადგურებული რევოლუციური სულისკვეთება, მათი შემგუებულობა და, საბოლოო ჯამში, მსოფლიო ბურჟუაზიის იდეოლოგიით ჩანაცვლება. კონტრრევოლუციის ეს „რევოლუციური“ ნიღაბი პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციურ არმიაში განხეთქილების შეტანის საქმეს ემსახურება.

რევიზიონიზმი ძირითადად ბურჟუაზიის კლასობრივი პოლიტიკის კონტრრევოლუციური იდეოლოგიური იარაღია, რათა რევოლუციური პროლეტარული კლასობრივი მოძრაობა ბურჟუაზიის კლასობრივ საზოგადოებას შეაგუოს ჩაგვრის სისტემისა და კაპიტალისტური ექსპლუატაციის დამყარების ან განმტკიცების და სოციალისტური საზოგადოების დამყარების ან გაძლიერების აღმოფხვრის მიზნით.

რევიზიონიზმის ისტორია — ესაა ბურჟუაზიის ამაო მცდელობათა ისტორია რევიზიონიზმის წინააღმდეგ კომუნისტთა ბრძოლის იძულებითი კაპიტულირების მიზნით.

ბურჟუაზია ამ ამაო მცდელობებს ეგრეთ წოდებული „ანტირევიზიონიზმით“ ნიღბავს, რათა მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის ანტირევიზიონისტული მოძღვრებები ბურჟუაზიულ-რევიზიონისტული იდეოლოგიით გააყალბოს.

ნეო-რევიზიონიზმის კანონი ბურჟუაზიის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა რევოლუციური შინაარსისა და სულისკვეთების წინააღმდეგ ბრძოლის კანონზომიერი აუცილებლობის გამო-

ხატულებათა. ბურჟუაზიას აწყობს მარქსიზმის ფორმის გათიშვა მისი შინაარსისგან, რათა მიალწიოს კაპიტალიზმის მთავარ მიზანს და რათა, განსაკუთრებით, კაპიტალიზმის რესტავრაცია მოახდინოს (თანამედროვე რევოლუციონიზმის კანონი).

რევოლუციონიზმის შემდგომი განვითარების კანონის დაახლოებით ასაღწერად ზოოლოგიურ ტერმინოლოგიას მივმართოთ: თუ გველი ტყავს იცვლის, ეს ნიშნავს, რომ სხეულს მხოლოდ ტყავის მკვდარი გარეკანი სცილდება. ამ აღწერას ჩვენ რევოლუციონიზმის შემდგომი განვითარების პროცესის ასახსნელად ვიყენებთ.

რევოლუციონიზმის აღორძინების ეს პროცესი ყოველთვის აუცილებელი იყო ბურჟუაზიისათვის მას შემდეგ, რაც მარქსიზმმა, ლენინიზმმა, სტალინიზმმა და ხოჯაიზმმა პრაქტიკულად მთლიანად დაანგრეს რევოლუციონიზმის ქმედითუნიანიანობა (სანამ კაპიტალისტური გავლენა არსებობს, რევოლუციონიზმის მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელია).

მარქსიზმ-ლენინიზმის განვითარების ნებისმიერ პერიოდში მსოფლიო ბურჟუაზიის იდეოლოგია ყოველთვის იძულებული იყო, რომ „რევოლუციონისტული ტყავი ეცვალა“. ჩვენ ამას მარქსიზმის, ლენინიზმის, სტალინიზმისა და ხოჯაიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიული იდეოლოგიის „ოთხ რევოლუციონისტულ ადაპტაციურ ფაზას“ ვუწოდებთ. კაპიტალისტური იდეოლოგიის აღდგენის ეს ოთხი ისტორიული პერიოდი საჭირო იყო იმისთვის, რომ ბურჟუაზია კვლავ ფეხზე დამდგარიყო და მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსი ამ უკანასკნელთა საკუთარი იარაღით დაემარცხებინა. რევოლუციონიზმს მუდამ უწევს თავისი არსის იერსახის განახლება ტყავის გამოცვლით ყოველი მხილების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ნილაბს ჩამოჰგლეჯენ ხოლმე, და მას შემდეგ, რაც იგი მარქსიზმ-ლენინიზმმა დაანგრია. რევოლუციონიზმის მიერ „ტყავის გამოცვლის“ აუცილებლობა — ესაა ოთხი ფაზისგან შემდგარი პროცესი, რომლის მეშვეობითაც რევოლუციონიზმი ეგუება მარქსიზმის განვითარებას დასაწყისიდან ხოჯაიზმამდე და ამ უკანასკნელის ჩათვლით. ნეო-რევოლუციონიზმი რევოლუციონიზმის უმაღლესი, ყველაზე განვითარებული და ყველაზე სახიფათო ფორმაა, ყველა ადრინდელ ფორმასთან შედარებით.

კაპიტალისტური იდეოლოგიის მიერ „ტყავის გამოცვლა“ მხოლოდ მსოფლიო მასშტაბით სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახდება შეუძლებელი.

ნეო-რევოლუციონიზმს „ტყავის გამოცვლა“ მსოფლიო მასშტაბით სტალინიზმ-ხოჯაიზმის გლობალიზაციის გამო სჭირდება. ჩვენ მზად ვართ, რომ დარტყმას დარტყმითვე ვუპასუხოთ!

ამრიგად, ჩვენს საკუთარ რიგებში არსებული ნეო-რევოლუციონისტები ახალი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ყველაზე სახიფათო მტრები არიან. ჩვენი სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობის პარალიზების, გათიშვისა და ლიკვიდაციის მიზნით ისინი იყენებენ „სტალინურ-ხოჯაისტურ“ საფარველს — ოპორტუნიზმთან გაერთიანების მეგობრული მცდელობებით დაწყებული და გლობალურ დონეზე ჩვენს წინააღმდეგ იარაღის ღიად მომართვით დამთავრებული.

ნეო-რევოლუციონისტები სიტყვით მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის ანტი-რევოლუციონისტულ მოძღვრებებს იყენებენ, რათა საქმით რევოლუციონიზმს შეუერთდნენ — აი, რითი ხასიათდება მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული თანამედროვე რევოლუციონიზმი, რომელიც ტყავს იცვლის და ნეო-რევოლუციონიზმად გარდაიქმნება.

ნეო-რევოლუციონიზმი — ესაა ეკლექტიზმი, ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ მოატყუოს მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებები ამ უკანასკნელთა ნაწილობრივ გამოყენების მეშვეობით. ნეო-რევოლუციონიზმი — ესაა მარქსიზმ-ლენინიზმისა და თანამედროვე რევოლუციონიზმს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის, სტალინიზმ-ხოჯაიზმისა და ნეო-რევოლუციონიზმს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის კლასობრივ-შემგუებლური პოლიტიკის გამოყენება.

ნეო-რევოლუციონისტულ მსოფლიო მოძრაობაში შედის უამრავი მიმდინარეობა და ტენდენცია: მაოიზმის, ტროცკიზმის, გევარიზმის, კასტროიზმის, კიმირსენიზმის, ბერიანიზმისა და მისთანების კონგლომერატები და ამაღამები.

ჩვენ მათ ნეო-მაოიზმს, ნეო-ტროცკიზმსა და მისთანებს ვუწოდებთ. რატომ? მათ ასეთ მარქსისტულ კლასიფიკაციას იმიტომ ვანიჭებთ, რომ ყველა ეს რევოლუციონისტული მიმდინარეობა და ტენდენცია უკვე იყო მხილებული, გახსნილი და დამარცხებული მარქსისტ-ლენინელების მიერ.

ამრიგად, მათ „ტყავის გამოცვლა“ ვაიძულეთ. ამის შედეგად მათ ანტიმაოიზმის, ანტიტროცკიზმისა და მისთანების ნილაბი აიფარეს (თუმცა მხოლოდ სიტყვით). მათ არ გააჩნიათ სხვა შესაძლებლობა თავიანთი მაიოსტური, ტროცკისტული, კიმირსენისტული და სხვა იდეოლოგიების დასაცავად. ეს გარდაუვლად ხდება, რამეთუ სხვაგვარად ბურჟუაზიას არ შეუძლია ოპორტუნიისტული იდეოლოგიის წარმატებით მხარდაჭერა.

ეს მართებულია რევოლუციონიზმის ნებისმიერი სხვა მიმდინარეობისა და ტენდენციის შემთხვევაშიც.

ნეო-რევოლუციონიზმმა იმ წერტილამდე მიაღწია, როდესაც ათასობით ორგანიზაცია უწოდებს თავის თავს „მარქსისტულ-ლენინურს“. არადა სინამდვილეში ისინი მარქსისტულ-ლენინურები არ არიან. ამ პირობებში მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობის ერთიანობა თითქმის შეუძლებელია: მსოფლიო ბურჟუაზიამ მოახერხა განხეთქილების ჩამოგდება. თუმცა მსოფლიო ბურჟუაზიამ წარმატებას მხოლოდ ტაქტიკაში მიაღწია, ვინაიდან მრავალი მარქსისტ-ლენინელი არასაკმარისი სიმტკიცით ებრძოდა ნეო-რევოლუციონიზმს. თუ გვინდა რომ თვითკრიტიკულები ვიყოთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ მარქსისტულ-ლენინური მსოფლიო მოძრაობა, პირველ რიგში, თავისმა საკუთარმა სიბრმავემ და საკუთარმა ილუზიებმა დააზარალა. ანტირევოლუციონისტული ბრძოლა სულაც არ ამოიწურება თანამედროვე რევოლუციონიზმზე გამარჯვებით. რევოლუციონისტულ

ლი „რეალურად არსებული სოციალიზმი“ დაემხო, რევიზიონისტული იდეოლოგია კი ცოცხალია! ნეო-რევიზიონიზმის საფრთხე ჯეროვნად უნდა შევაფასოთ.

ამ მსოფლიო შავი ჭირისაგან სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის შექმნის მეშვეობით გავთავისუფლდებით. და ეს უდიდეს გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიოში მყოფ სტალინისტ-ხოჯაისტ ამხანაგებზე. ჩვენმა ახალმა გადაწყვეტილებებმა თავიანთი გარდუვალობა დაამტკიცეს. ჩვენი მსოფლიო პროგრამული პლატფორმა ყველას უჩვენებს, თუ რაოდენ ღრმა უფსკრულია მარქსისტ-ლენინელებსა და ეგრეთ წოდებულ „მარქსისტ-ლენინელებს“ შორის.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა ერთადერთი მოძრაობაა, რომელსაც შეუძლია და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რევიზიონისტების გამორეკვა მათი ბუნაგებიდან. ჩვენ გამოვაძევებთ მათ ანტირევიზიონისტული ბრძოლის ველზე და იქ დავამარცხებთ.

ნეო-რევიზიონისტული მსოფლიო მოძრაობის შიგნით არსებული ერთი ამ მიმდინარეობათაგანი ნაწილობრივ ყოფილი ჩვენი მოძმე პარტიების წევრი ამხანაგები არიან. ამხანაგ ენვერ ხოჯას ხანაში ჩვენ გვერდიგვერდ ვიბრძოდით მარქსისტულ-ლენინურ მსოფლიო მოძრაობაში. ისინი იმ ჩვენი მსოფლიო მოძრაობიდან გამოსული მოლაღატეები არიან, რომელიც ერთხელ უკვე ეგზომ გმირულად და გამარჯვებით აღუდგა წინ თანამედროვე რევიზიონიზმს. ზოგიერთი ამ მოლაღატეთაგანი დუმის ინარჩუნებს ამხანაგ ენვერ ხოჯას დროშასთან მიმართებაში, ზოგი კი ამხანაგ ენვერ ხოჯას თავისი მუხანათური ბუნებისთვის იყენებს. ისინი ინანებენ თავიანთ საქციელს! ყველა, ვინც სტალინიზმ-ხოჯაიზმს ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა ფორმალურად, მხოლოდ სიტყვით მხარდაჭერით ებრძვის, დამარცხდება ზუსტად ისევე, როგორც ერთხელ უკვე იწვნიეს ჩვენგან დამარცხება თანამედროვე რევიზიონისტებმა.

ვისაც არ შეუძლია გლობალურ რევიზიონიზმთან ბრძოლა, ის ვერც გლობალური სოციალიზმისთვის იბრძოლებს და ვერც სოციალიზმს ააღორძინებს მსოფლიო დონეზე.

თანამედროვე რევიზიონიზმი კაპიტალიზმის რესტავრაციის ბურჟუაზიული იდეოლოგია იყო, ეს იყო ბურჟუაზიული იდეოლოგია დაკარგული ძალაუფლების მოსაპოვებლად და მსოფლიო სოციალიზმზე გადასვლის აღსაკვეთად.

განვითარების გარკვეულ ეტაპზე სოციალისტური საზოგადოების მატერიალურმა საწარმოო ძალებმა სახელმწიფო-კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობებთან კონფლიქტი გამოიწვია. ამ რევიზიონისტული საწარმოო ურთიერთობების შიგნით მათ შემდგომი განვითარება აღარ შეუძლიათ. სახელმწიფო კაპიტალიზმის საწარმოო ურთიერთობები სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობებს თავიანთი ბრჭყალებით ავიწროებენ. ისინი არ აძლევენ მათ ადგილს შემდგომი განვითარებისათვის. ყოველთვის არსებობდა გათიშულობა საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობების ერთიანობასა და ჰარმონიას შორის წარმოების შემდგომი კრიზისის განვითარებით. საწარმოო ძალების გამოყენება შეუძლებელი ხდებოდა გამოუსადეგარობის გამო. ეს გამოიხატებოდა დეფიციტებში, განაწილების შეყოვნებებში, უმუშევრობაში, კომერციულ დაწესებულებათა გაკოტრებასა და მისთ. ეგრეთ წოდებული „სოციალისტური“ ეკონომიკა დაცემისკენ და, საბოლოო ჯამში, კოლაფსისკენ მიექანებოდა. **სოციალიზმის პერველმა პერიოდმა დაამტკიცა, რომ კაპიტალიზმის რესტავრაცია შესაძლებელია.**

სოციალიზმის მეორე პერიოდმა უნდა დაამტკიცოს, რომ კაპიტალიზმის რესტავრაციაც გადალახვადია. კაპიტალიზმის რესტავრაცია სოციალიზმის რესტავრაციის წინა პერიოდია. სოციალიზმის რესტავრაცია მხოლოდ მსოფლიო სოციალიზმს შეიძლება ნიშნავდეს.

ანტირევიზიონისტული ბრძოლის სრულყოფით მსოფლიო პროლეტარიატი სწავლობს მსოფლიო სოციალიზმის სრულყოფას, სწავლობს მსოფლიო კაპიტალისტური რესტავრაციისა და, ამასთან ერთად, თითოეულ ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციის აღმოფხვრის სრულყოფას.

არა მარტო კაპიტალიზმი, არამედ მსოფლიო დონეზე რესტავრაციის საფრთხეც მთლიანად უნდა გადაილახოს, სხვაგვარად მსოფლიო კომუნიზმს მომავალი არ გააჩნია. მხოლოდ მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვებისას არის შეუძლებელი კაპიტალიზმის აღდგენა. ამის გამო მსოფლიო რევოლუციური პროლეტარიატის მოვალეობაა ანტირევიზიონისტული კლასობრივი ბრძოლის საგანძურის მუდმივად გამდიდრება.

მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გულისთვის ცეცხლში გავდივართ. ჩვენ დაუნდობლად ვიბრძვით იმპერიალიზმისა და რევიზიონიზმის წინააღმდეგ. ჩვენ საფრთხეს თავს არ ვარიდებთ. რევიზიონიზმის დამარცხების გარეშე შეუძლებელია მსოფლიო კაპიტალიზმის დამარცხებაც და მსოფლიო სოციალიზმის ტრიუმფიც!

ნეო-რევიზიონიზმის გადალახვა, მისთვის „ტყავის გამოცვლის“ შესაძლებლობის წართმევა, მისი სოფისტიკისა და ტყუილის მხილება — ჩვენი ანტირევიზიონისტული ბრძოლის ეს ელემენტები ჩვენი საბოლოო მიზანი არაა. რით განსხვავდება რევიზიონიზმის ჩვენეული კრიტიკა რევიზიონიზმის ბურჟუაზიული, წვრილ-ბურჟუაზიული და ოპორტუნისტული „კრიტიკისაგან“?

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ანტირევიზიონისტული ბრძოლის ძირეული განსხვავება შემდეგში მდგომარეობს.

რევიზიონიზმის ბარდუპალობის აღმოფხვრა მთავარი მიზანია ანტირევიზიონისტული ბრძოლისა პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის დასამყარებლად, ბრძოლისა მსოფლიო სოციალიზმისთვის მთელი მსოფლიო კაპიტალიზმის დანგრევისა და განადგურების გზით. **სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა** — ესაა რევოლუციური ბრძოლის გამარჯვების მომგანი მსოფლიო მოძრაობა მსოფლიო რევიზიონიზმის გარდუვალობის წინააღმდეგ.

მხოლოდ მსოფლიო სოციალიზმია ხელისუფლების სათავეში რევიზიონიზმის მოსვლის გარდუვალობის განადგურების საფუძველი.

თუმცა ეს სრულიადაც არ იძლევა რევიზიონიზმის, მსოფლიო კაპიტალიზმის რესტავრაციის შესაძლებლობის გაუქმებას, ჩვენ მხოლოდ მისი გარდუვალობის განსაკუთრებულ ხასიათს ვაუქმებთ.

ეს სხვა არაფერს ნიშნავს, გარდა კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებისა კაპიტალიზმის შესაძლო რესტავრაციის წინააღმდეგ მსოფლიო სოციალიზმის მთელი ეპოქის პერიოდში. საბოლოო ჯამში მსოფლიო კაპიტალისტური რესტავრაციის შესაძლებლობის გაუქმებაც უქმდება და მასთან ერთად უქმდება კლასობრივი საზოგადოება, ოღონდ არა უადრეს კომუნიზმის დადგომისა.

კაპიტალისტური რესტავრაციის გარდუვალობის გადალახვა კაპიტალიზმის რესტავრაციის გარდუვალობის გაუქმების შესაძლებლობას იძლევა, ეს კი, თავის მხრივ, კაპიტალისტური რესტავრაციის შეუძლებლობას იწვევს.

თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ უწინდელ დროში ბრძოლის განზოგადება და ნეო-რევიზიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების განზოგადება, თუ მათ ერთ მთლიანად გავაერთიანებთ, მსოფლიო სოციალიზმის მომავალი ეპოქის ანტირევიზიონისტულ საფუძველს ჩამოაყალიბებს.

ნეო-რევიზიონიზმის განვითარება გახრწნის მუდმივი პროცესი და სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ანტირევიზიონისტული ბრძოლის პროცესის დამახინჯების პროცესია. რევოლუციური მოძრაობის გლობალური განხეთქილების ტაქტიკა, ათასობით ოპორტუნისტული ორგანიზაციის შექმნა, ფრაქციულობა — გადაგვარების ყველა ეს პროცესი პარაზიტული მსოფლიო იმპერიალიზმის დაცემისა და დაღუპვის პროცესის გამონატულებაა. მსოფლიო კაპიტალიზმი რევიზიონიზმის ხავსს ეჭიდება, რათა მსოფლიო რევოლუცია გადაავადოს. მსოფლიო ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური, რევიზიონისტული ტაქტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთი კლასიკოსის მოძღვრებათა წინააღმდეგაა მიმართული. მათი მსოფლიო ორგანიზაციები და მათი მსოფლიო მოძრაობა მიმართულია კომუნიზმის წინააღმდეგ, კომუნისტური მსოფლიო რევოლუციის წინააღმდეგ, რევოლუციონერთა წინააღმდეგ და თავისუფლებისთვის მებრძოლთა წინააღმდეგ მთელ მსოფლიოში, მსოფლიო პროლეტარიატის — მათი მესაფლავის — წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ კიოტოს კონფერენციამდე შეინიშნებოდა ამ მსოფლიო მოძრაობის ორგანიზატორთა ტენდენციები თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ მიმართული მარქსისტულ-ლენინური ბრძოლის შესამცილებლად. და კიოტოს დეკლარაციაც თავისთავად ანტირევიზიონიზმის კაპიტულაციის დოკუმენტი იყო. ამხანაგ ენვენ ხოჯას მთელი რევოლუციური სულისკვეთება ამოიძიკვა კიოტოს დეკლარაციიდან. ამ დეკლარაციის მიღების შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და იგი ღია კარი აღმოჩნდა რევიზიონიზმის მარქსიზმ-ლენინიზმთან ხელახლა შესაერთებლად. ამან მარქსისტულ-ლენინური პარტიებისა და ორგანიზაციების ინტერნაციონალურ კონფერენციათა (მლპმიკ) მოძრაობა რევიზიონისტთა ხელში ჩააგდო, მიიყვანა დეგრადაციამდე და კაპიტულაციამდე, ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის გამრული მიზნებისგან მოწყვეტამდე. ნეო-რევიზიონიზმის კაპიტულაცია კონტრრევოლუციურია და სხვა არაფერია, თუ არა კლასობრივი მტრის იდეოლოგიისადმი დამორჩილება.

კიოტოს დეკლარაციის გამოქვეყნებისთანავე ამხანაგ ენვერ ხოჯას ძველ გენერალურ ხაზზე ერთობლივად დაბრუნებას ვიმედოვნებდით. თუმცა მლპმიკ-ი თავიანთ ნეო-რევიზიონისტულ ხაზს აგერ უკვე ათწლეულების მანძილზე მიჰყვებიან. ჩვენ ღიად ვაგრძელებთ ოპორტუნისტი ლიდერების როგორც მოლაღატეების მხილებას.

ჩვენ მომავალშიც ღიად შევებრძოლებით მლპმიკ-ს როგორც ნეო-რევიზიონისტული მსოფლიო მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო წარმომადგენელს. მათ თვალვებთან სარკე მიგვაქვს, რათა შევახსენოთ, თუ რა მზაკვრულად მოექცნენ ისინი ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინური მოძრაობის ისტორიას. ჩვენ, კომინტერნმა, კი არ მოვისროლეთ გვერდზე მარქსიზმ-ლენინიზმი, ეს გააკეთა მლპმიკ-ის ბანაკმა — ყოფილმა მარქსისტულ-ლენინური პარტიებმა და მათ თანამზრახველებმა. ოპორტუნისტთან გაერთიანება ბურჟუაზიასთან გაერთიანება და საერთაშორისო რევოლუციურ მუშათა კლასში განხეთქილების შეტანაა.

ნეო-რევიზიონისტები სოციალიზმის აღორძინების მოლაღატეები არიან, რომლებმაც რევიზიონიზმის უკანასკნელი გამარჯვების დანახვისას ფარ-ხმალი დაყარეს. ნეო-რევიზიონიზმი — ესაა რევიზიონიზმის პოლიტიკური ძალაუფლების რესტავრაციის გზამკვლევი, თანამედროვე რევიზიონიზმის აღორძინება გაერთიანებულ კაპიტალისტურ მსოფლიოში სოციალიზმის აღმოსაფხვრელად. იგი რევიზიონისტული პასუხია სოციალიზმის გლობალურ რესტავრაციაზე.

თუ რევიზიონიზმი ახალი ბურჟუაზიის იდეოლოგიური იარაღი იყო პროლეტარიატის დიქტატურის გასანადგურებლად, ნეო-რევიზიონიზმი ძველი ბურჟუაზიის იდეოლოგიური იარაღია პროლეტარიატის დიქტატურის რევოლუციური გზით დაბრუნების აღმოსაფხვრელად.

ნეო-რევინიზონიზმი „ერთ“ ქვეყანაში სოციალიზმს ერთადერთი მიზნით ასხამს ხოტბა-დიდებას: ეს მოდელი ისტორიულად მოწყვლადი და გაუქმებადი აღმოჩნდა. ნეო-რევინიზონიზმი პროლეტარიატს თავაზობს ნაწილობრივ მარქსიზმ-ლენინიზმს, კერძოდ კი მის იმ ნაწილს, რომელიც უვნებელია მსოფლიო კაპიტალისტისთვის. ამავდროს ნეო-რევინიზონისტები სოციალისტური მსოფლიო რევოლუციის წინააღმდეგ იბრძვიან, ვინაიდან რევინიზონიზმი სასიკვდილოდაა განწირული, თუკი მსოფლიო კაპიტალიზმის დაცემა არ შეჩერდება.

ლოზუნგს — „მსოფლიო პროლეტარიატო, შეაერთე ყველა ქვეყანა მსოფლიო რევოლუციისთვის!“ — სიტყვით ეთანხმებიან, საქმით კი თითოეული ქვეყნის პროლეტარიატი მსოფლიო რევოლუციურ პროლეტარიატს უპირისპირდება. და პირიქით, რევოლუციური მსოფლიო პროლეტარიატი ცალკეული ქვეყნების პროლეტარიატს უპირისპირდება. ესაა მსოფლიო რევინიზონიზმის ცენტრალური ფორმულა.

კაპიტულაცია ნეო-რევინიზონიზმის წინაშე კონტრრევოლუციურია და კლასობრივი მტრის იდეოლოგიისადმი დამორჩილებას ნიშნავს.

ნეო-რევინიზონიზმი რევინიზონიზმის შენიღბული სახესხვაობაა, რომელიც სტალინურ-ხოჯაისტური ანტი-რევინიზონისტული ბრძოლის დროშას იყენებს თანამედროვე რევინიზონიზმის გადასარჩენად. არადა, ათასგვარი ელფერის მქონე რევინიზონისტი წითლად თუ გადაიღებება, ამით კომუნისტებად მაინც ვერ გადაიქცევიან!

არ არსებობს სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა სტალინურ-ხოჯაისტური თეორიის გარეშე. სწორედ ამიტომ ცდილობენ სტალინურ-ხოჯაისტური თეორიის დამახინჯებას, მის დაპირისპირებას მარქსიზმ-ლენინიზმთან, მისთვის თავის არიდებას, უსარგებლოდ გამოცხადებას, მისი ზედმეტობის დამტკიცებას, მის გაუქმებას, მის ჩანაცვლებას ნეო-რევინიზონისტული იდეოლოგიით. სტალინიზმ-ხოჯაიზმის იდეოლოგიისთვის თავის მოკვეთა სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის განიარაღებისა და, აქედან გამომდინარე, ბურჟუაზიის ხელში მისი ჩაგდებას საფუძველია. სწორედ ეს დაემართა ამხანაგ ენვერ ხოჯას მარქსისტულ-ლენინურ მსოფლიო მოძრაობას.

და პირიქით: სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის დანგრევა სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო თეორიის დანგრევას ემსახურება. ეს ყველაფერი მსოფლიო ბურჟუაზიის ანტიკომუნისტური ტაქტიკის ნაწილია მსოფლიო რევოლუციის გამარჯვების აღმოსაფხვრელად, მსოფლიო სოციალიზმის გარდუვალობისთვის წინააღმდეგობის გასაწევად.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობა ყველაზე უფრო განვითარებული და ყველაზე უფრო მტკიცე ბასტიონია მსოფლიოში არსებული ყველა ოპორტუნისტული ტენდენციის წინააღმდეგ. **სტალინიზმ-ხოჯაიზმი რევინიზონიზმის წინააღმდეგ მიმართული მარქსიზმ-ლენინიზმის უძლიერესი იარაღია.** მსოფლიო პროლეტარიატს დღესდღეობით ესაჭიროება ეს მკაფიო სტალინურ-ხოჯაისტური განცალკევება მსოფლიოს ყველა ოპორტუნისტული ტენდენციისგან, რათა თავის საკუთარ რევოლუციურ გზას დაადგეს პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად...

რევინიზონისტებმა სტალინისა და ენვერ ხოჯას ცინე-სიმაგრეს შეუტყეს.

თუმცა მათი ანტირევინიზონისტული ცინე-სიმაგრე აუღებელი აღმოჩნდა.

ამხანაგ სტალინისა და ამხანაგ ენვერ ხოჯას ანტირევინიზონისტული ცინე-სიმაგრე დაუმარცხებელია.

სტალინისა და ენვერ ხოჯას პერიოდში რევინიზონისტებს არ ჰქონდათ პოლიტიკური ძალაუფლების საკუთარ ხელში აღების შანსი.

სტალინისა და ენვერ ხოჯას ღირსშესანიშნავი სახელები ყოველთვის რევინიზონიზმის დამარცხების მომასწავებელია.

სტალინიზმ-ხოჯაიზმი რევინიზონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიულად დემონსტრირებას ახდენს და შეუძლებელია უარის თქმა მასზე „როგორც რევინიზონიზმის წინააღმდეგ მიმართულ მოძველებულ იარაღზე“.

სტალინიზმ-ხოჯაიზმის შესწავლა რევინიზონიზმზე გამარჯვების შესწავლას ნიშნავს!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარიატის ერთიანობას!

მოდით, მსოფლიო პროლეტარული კლასობრივი ასოციაცია მსოფლიო დონემდე ავიყვანოთ, სადაც მსოფლიო ბურჟუაზიის დაქსაქსულობა და განხეთქილება ბუდობს, სადაც გლობალური რევინიზონისტული მოძრაობების დაქსაქსულობა და გათიშულობა ბუდობს, — და სოციალისტური მსოფლიო რევოლუციის გამარჯვება გარანტირებული იქნება.

გაერთიანება მიიღწევა საკუთარ კლასობრივ ბანაკში დაქსაქსულობის გადალახვით და საერთაშორისო ბურჟუაზიის იმავდროული განხეთქილებით კლასობრივი მტრის ბანაკში.

მსოფლიო პროლეტარიატის სტრატეგია და ტაქტიკა სძლევს თავის საკუთარ დაქსაქსულობასა და დეზორგანიზაციას, ერთი მხრივ, და იმავდროულად მსოფლიო ბურჟუაზიის ბანაკის შიგნით არსებული ანტაგონისტური წინააღმდეგობების გამოყენების სტრატეგიასა და ტაქტიკას მასში გათიშულობისა და დეზორგანიზაციის შესატანად, მეორე მხრივ.

ამ (და მხოლოდ ამ) ერთიანობის გასახორციელებლად ვებრძვით ოპორტუნისტულ ტენდენციებთან და უცხო კლასობრივ ელემენტებთან გაერთიანებას, ვინაიდან არაფერში არ გვჭირდება იმ ოპორტუნისტთა დახმარება, რომლებსაც მსოფლიო იმპერიალიზმი მსოფლიო კომუნისტური რევოლუციის შესაწყვეტად იყენებს.

სტალინისტ-ხოჯაისტების ერთიანობის ფასი ჩირადაც არ ეღირებოდა, ის რომ მსოფლიო პროლეტარიატს არ ემსახურებოდეს მთელ მსოფლიოში მიმოფანტული ყველა სხვა პოლიტიკური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ერთიანობა უსარგებლო იქნებოდა, ის რომ მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის — ახალი ტიპის კომუნისტური ინტერნაციონალის — ერთიანობის საქმეს არ ემსახურებოდეს.

და რისთვისაა საჭირო მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის ერთიანობა, თუ იგი მსოფლიო პროლეტარიატს არ ემსახურება, თუ ჩაგრული და ექსპლუატირებული კლასების, მსოფლიო მასების ასოციაციების ერთიანობას არ ემსახურება მსოფლიო იმპერიალიზმის დასამხობად.

მსოფლიო პროლეტარიატის გამაერთიანებელი ძალები მოქმედებენ როგორც ბუნებრივი ძალები: ბრმად, ძალადობრივად, დამანგრეველად, — მანამ, სანამ მსოფლიო პროლეტარიატი მათ შეისწავლის და გამოიყენებს.

თუმცა, თუ მსოფლიო პროლეტარიატი, ბოლოს და ბოლოს, მიხვდება, ჩაწვდება მათი ბრძოლის არსს, მათ მიმართულებას, მათ მოქმედებას, მაშინ მხოლოდ თავად პროლეტარიატზე იქნება დამოკიდებული მათი სულ უფრო და უფრო მეტი დამორჩილება პროლეტარიატის ნება-სურვილისთვის და თავისი ისტორიული მისიის საკუთარი ხელით განხორციელება.

სანამ თითოეული ქვეყნის პროლეტარიატი ჯიუტად აცხადებს უარს მათი გლობალური ბუნებისა და ინტერნაციონალური მსოფლიო-კლასობრივი ხასიათის გაცნობიერებაზე, რაც ნიშნავს უწინდელი გაერთიანების ნაციონალური ჩარჩოებისა და ნაციონალური ჯაჭვებისგან გათავისუფლებას (და ამ გაცნობიერების წინააღმდეგ იბრძვიან მსოფლიო ბურჟუაზია და მისი რევიზიონისტული დამცველები, რომლებიც თავიანთ კონტრრევოლუციურ ძალებს მსოფლიო პროლეტარიატის გაერთიანების რევოლუციური ძალების წინააღმდეგ მიმართავენ) — მანამ იარსებებს გლობალური კაპიტალის დაქირავებული მონობა მსოფლიო პროლეტარიატის წინააღმდეგ და მსოფლიო პროლეტარიატი მათ დაქვემდებარებაში დარჩება. თუმცა ერთ მშვენიერ დღეს, საკუთარი ინტერნაციონალური არსის გაცნობიერების შემდეგ, გაერთიანებული ძალები მსოფლიო პროლეტარიატის ხელში მბრძანებელი დემონებიდან ყურმოჭრილ მონებად გადაიქცევიან (იხ. ფრიდრიხ ენგელსი — „ანტი-დიურინგი“).

მსოფლიო კაპიტალისტი ყველა ქვეყნის შრომას შრომის სამყაროდ აერთიანებს მსოფლიო კაპიტალის აკუმულირებისთვის.

თუმცა, თუ მსოფლიო მუშა თავადვე ხდება მთელი გაერთიანებული მსოფლიო შრომის მფლობელი, თუკი, გარდა ამისა, მსოფლიო მუშა თავისი საკუთარი ასოციაციის მფლობელი ხდება, მაშინ გლობალური შრომის სასაქონლო ბუნება უქმდება.

პროლეტარტა გაერთიანების ხელში ჩაგდება (რაც გლობალური შრომის განვითარების ობიექტური შედეგია) საწყისი წერიტილია საკუთარი თავის, როგორც კლასის, შესაცნობად. ამას მსოფლიო რევოლუციის სუბიექტური ფაქტორის განვითარებას ვუწოდებთ.

გლობალურად გაერთიანებული მსოფლიო მუშა თავადვე სრულყოფს გაერთიანებულ მსოფლიო შრომას. და ამ გზით მსოფლიო მუშა მსოფლიო შრომაზე დამოკიდებულებისგან თავისუფლდება.

საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობის განვითარების დონე პირდაპირაა დამოკიდებული პროლეტარტა საერთაშორისო ორგანიზაციის განვითარებას დონეზე, ვინაიდან ინტერნაციონალური პროლეტარული მოძრაობის ძალა მის ინტერნაციონალურ ერთიანობაზეა დამოკიდებული.

პროლეტარტა ინტერნაციონალური ორგანიზაციის განვითარების დონე, კვლავ და კვლავ, პირდაპირაა დამოკიდებული მსოფლიო პროლეტარულ კლასობრივ შეგნებაზე, ვინაიდან ინტერნაციონალური ერთიანობის ძალა მსოფლიო რევოლუციურ კლასობრივ შეგნებაზეა დამოკიდებული.

მსოფლიო-რევოლუციური კლასობრივი შეგნების განვითარების დონე პირდაპირაა დამოკიდებული სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის ერთიანობის განვითარებაზე, ვინაიდან მსოფლიო-რევოლუციური კლასობრივ შეგნების ძალა დამოკიდებულია პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე, რომლის მატარებელიცაა სტალინურ-ხოჯაისტური მოძრაობა კომინტერნის ხელმძღვანელობით.

მთელი მსოფლიოს პროლეტარები არა მარტო გარდაიქმნიან მსოფლიო პროლეტარიატის კლასად მათი გლობალური კლასობრივი ბრძოლის მეშვეობით, არამედ იმ ახალი თავისი ინტერნაციონალური შეგნებითაც, რომელიც მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობაში მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტურ პარტიას შეაქვს.

მთელი მსოფლიოს პროლეტარები არა მარტო კლასად გარდაიქმნება მათი გლობალური კლასობრივი ბრძოლის ერთიანობის შედეგად, არამედ თავისი ახალი ინტერნაციონალური შეგნების მეშვეობითაც, რომელიც მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობაში მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტურ პარტიას შეაქვს. **მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა მატარებელია საყოველთაო-კამუნისტური შეგნებისა, რომელიც მსოფლიო მუშათა მოძრაობაში შედის.**

მსოფლიო სოციალიზმი მხოლოდ მაშინ გახდება ძალა, როცა მსოფლიო პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლის გაცნობიერებულ მიზნად გადაიქცევა, როდესაც მსოფლიო პროლეტარიატი ყველა ქვეყნის პროლეტარიატს, შემდეგ კი მთელ მშრომელთა მასებს გააერთიანებს ახალი მსოფლიო-რევოლუციური სულისკვეთებით. მსოფლიო პროლეტარიატი თავის საყოველთაო-რევოლუციურ შეგნებას დროის იმავე შუალედში გამოიმუშავებს, რომელიც პროლეტარებს თავის საკუთარ ქვეყანაში თავისი საკუთარი სოციალისტური შეგ-

ნების გამოსამუშავებლად სჭირდებათ. გლობალური პირობები დღევანდელი კომინტერნისთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ეს ძველი კომინტერნის პერიოდში იყო. ეს თითოეულ ქვეყანაში მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას დააჩქარებს. მხოლოდ მსოფლიო პროლეტარიატს ესმის ტერმინის — „მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია თითოეულ ქვეყანაში“ — ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

ინტერნაციონალური მუშათა მოძრაობისა და გლობალურ პირობებში მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის შეერთება უმაღლესი ფორმაა ლენინური თეზისისა:

„მუშათა მოძრაობისა და მეცნიერული სოციალიზმის შეერთება“.

მსოფლიო სტალინურ-ხოჯაისტური პარტიის ამოცანაა თითოეულ ცალკე აღებულ ქვეყანაში რევოლუციური პროლეტარული მოძრაობის გამტკიცება.

პოლიტიკურ-იდეოლოგიური პლატფორმა, ეს პროგრამული სახელმძღვანელო, ჩვენს გამარჯვების მომტან გზას გააგრძელებს იმ ჯუნგლებში, რომლებითაც ჩვენი სტალინურ-ხოჯაისტური მსოფლიო მოძრაობის დახვედრას ცდილობენ მსოფლიო იმპერიალიზმის ლოზუნგის — „დაე, ათასმა ყვავილმა იყვავილოს!“ — გამოყენებით.

ერთად ყოფნისას ვსწავლობთ ამ პლატფორმის გამოყენებას კლასობრივ ბრძოლაში მსოფლიო ბურჟუაზიისა და ჩვენს რიგებში არსებული მისი აგენტების წინააღმდეგ!

რეაქციული ძალები ქმნიან იდეოლოგიურ ქაოსს, თუმცა, რაც უფრო მეტად ილწვიან ამ სარბიელზე, მით უფრო სწრაფად იკვლევს გზას იდეოლოგიური სიაშკარავე მსოფლიო რევოლუციის ინტერესებისთვის.

ამიერიდან „კომუნისტური ინტერნაციონალი (სტალინურ-ხოჯაისტური)“ გვერქმევა.

გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმის ხუთ კლასიკოსს— მარქსს, ენგელსს, ლენინს, სტალინსა და ენვერ ხოჯას!

გაუმარჯოს სტალინურ-ხოჯაისტურ მსოფლიო თეორიას!

გაუმარჯოს სტალინურ-ხოჯაისტურ მსოფლიო პარტიას, კომუნისტურ ინტერნაციონალს (სტალინურ-ხოჯაისტურს)!

გაუმარჯოს სტალინურ-ხოჯაისტურ მსოფლიო მოძრაობას (სხმმ)!

**მსოფლიო პროლეტარიატო, გააერთიანე ყველა ქვეყანა!
კაპიტალისტური სამყარო რევოლუციური ცეცხლით გადავბუგოთ!**

დასასრული